

ჯანდაცვის სექტორის დაფინანსების სისტემის რეფორმა საქართველოში

სამუშაო დოკუმენტი:

პირითადი ფინანსური გზავი კახეთის რეგიონისათვის

მესამე ვერსია

ირეი ნემეცი, ჰიუბერტ შტუკერი და დავით ხუბუა

თბილისი, 2 სექტემბერი, 2005 წელი

სურათების ჩამონათვალი

- სურათი 1. ოჯახების მიერ ნაღდი ფულის ხარჯების წილი (2002)
- სურათი 2. ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ხარჯების სტრუქტურა
- სურათი 3. მარეგულირებელი ინფორმაციის ნაკადი
- სურათი 4. ვარიანტი 1 – ფინანსური ინფორმაციის ნაკადი და ანამლაურება ფინანსთა სამინისტროს (MoF) მიერ
- სურათი 5. ვარიანტი 2 – ფინანსური ინფორმაციის ნაკადი და ანამლაურება სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ (SUSIF) მიერ
- სურათი 6. სტატისტიკური ინფორმაციის ნაკადი
- სურათი 7. სუბსიდირებული მედიკამენტების სარგებლის ზოგადი სქემა
- სურათი 8. მედიკამენტებით უზრუნველყოფის სქემა – ვარიანტი 1
- სურათი 9. მედიკამენტებით უზრუნველყოფის სქემა – ვარიანტი 2

ცხრილების ჩამონათვალი

- ცხრილი 1. კახეთის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა (%)
- ცხრილი 2. საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ლარებში (2002)
- ცხრილი 3. 15 წლის ასაკის ზემოთ მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა
- ცხრილი 4. მოწყვლადობა კატეგორიების მიხედვით (%)
- ცხრილი 5. დაავადებათა გავრცელება და სიხშირე
- ცხრილი 6. შობადობა და დედათა სიკვდილიანობა
- ცხრილი 7. სამედიცინო დაწესებულებების სტრუქტურა
- ცხრილი 8. ჯანდაცვის სფეროს საკადრო რესურსები
- ცხრილი 9. კახეთის რეგიონის პირველადი ჯანდაცვის (პჯდ) სისტემის საკადრო რესურსები
- ცხრილი 10. პჯდ პერსონალის დეგალური განაწილება
- ცხრილი 11. მიმართვების/მიღების მაჩვენებელი
- ცხრილი 12. იმუნიზაციის მაჩვენებელი
- ცხრილი 13. პჯდ გუნდის ბიუჯეტი 2004-2005 წლებში
- ცხრილი 14. პჯდ უზრუნველყოფელთა შემოსავლების სტრუქტურა
- ცხრილი 15. სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობის შემცირება

- ცხრილი 16. პჯდ სამედიცინო დაწესებულებების განაწილება მათი მფლობელობის მიხედვით
- ცხრილი 17. პჯდ სამედიცინო დაწესებულებების განაწილება მათი ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით
- ცხრილი 18. პჯდ სამედიცინო დაწესებულებების განაწილება მათზე მიმაგრებული უბნების მიხედვით
- ცხრილი 19. იმუნიზაცია ბაზისურ პაკეტში
- ცხრილი 20. პრევენციული გასინჯვები ბაზისურ პაკეტში
- ცხრილი 21. ლაბორატორიული გამოკვლევები ბაზისურ პაკეტში
- ცხრილი 22. სუბსიდირებული მედიკამენტების მოგადი სქემის პარამეტრები
- ცხრილი 23. ღირებულების მოდელის რეზიუმე
- ცხრილი 24. ურთიერთკავშირი მიმაგრებული უბნის მოსახლეობასა და ერთ სულზე გათვლილ ხარჯებს შორის
- ცხრილი 25. ურთიერთკავშირი მიმაგრებული უბნის მოსახლეობასა და ერთ სულზე გათვლილ ხარჯებს შორის (მედპერსონალის ცვალებადი ხელფასი)
- ცხრილი 26. ურთიერთკავშირი ერთი სამედიცინო გუნდის ხარჯებსა და პრაქტიკის მოცულობას შორის
- ცხრილი 27. ბიუჯეტისა და კაპიტაციური მეთოდის შერწყმის ვარიანტები
- ცხრილი 28. ცალკეული პრაქტიკის წლიური ბიუჯეტი (ლარი)
- ცხრილი 29. ცალკეული პრაქტიკის წლიური კაპიტაციური მაჩვენებელი (ლარი)
- ცხრილი 30. ასაკობრივი მაჩვენებელი კაპიტაციური მეთოდისათვის
- ცხრილი 31. მომსახურებისათვის “ჯიბიდან” გადასახდელი თანხის გარიფები
- ცხრილი 32. რეფორმირებული პჯდ დაწესებულებების სტრუქტურა ჯანდაცვის პოლიტიკის განყოფილების წინადადებების მიხედვით (ვარიანტი 1)
- ცხრილი 33. რეფორმირებული პჯდ დაწესებულებების სტრუქტურა მათი სიდიდის მიხედვით
- ცხრილი 34. კახეთში (ჯანდაცვის პოლიტიკის განყოფილების წინადადებების მიხედვით) პჯდ ქსელის დაფინანსების საერთო მოცულობა
- ცხრილი 35. კახეთში (სრულად ოპტიმიზირებული) პჯდ ქსელის დაფინანსების საერთო მოცულობა
- ცხრილი 36. სუბსიდირებული მედიკამენტების სქემის ხარჯები – ვარიანტი 1
- ცხრილი 37. სუბსიდირებული მედიკამენტების სქემის ხარჯები – ვარიანტი 2
- ცხრილი 38. მედიკამენტებზე საერთო ხარჯების დაჯამება – ვარიანტი 1

ცხრილი 39. მედიკამენტებზე საერთო ხარჯების დაჯამება – ვარიანტი 2

ცხრილი 40. კახეთის რეგიონში დაფინანსებაში არსებული დეფიციტი და ჰჯდ ქსელის სრული ოპტიმიზაციით მიღებული შედეგები

ცხრილი 41. სახელმწიფო დაფინანსების გამრდის საჭიროება სხვადასხვა სცენარების მიხედვით

1. რეზიუმე

ძირითადი ფინანსური გეგმა კახეთის რეგიონისათვის შემუშავებულია ევროკავშირის/Tacis-ის პროექტის “საქართველოში პირველადი ჯანდაცვის განვითარების ხელშეწყობა: ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის რეფორმა” ფარგლებში. პროექტი ხორციელდება კომპანიების GVG და EPOS კონსორციუმის მიერ.

განხილულ იქნა რელევანტური საბაზისო მონაცემები, რომლებიც უკავშირდება გეგმის საგანს. პჯდ რეფორმირებული ობიექტების ქსელი წარმოადგენს ევროკავშირის მიერ აღრე განხორციელებული პროექტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დონორ ორგანიზაციებს შორის მიღწეული უახლესი შეთანხმებების შედეგს. განხორციელდა მოცემული ქსელის აღწერა და შეფასება. ქსელი შედგენა 57 სამედიცინო ობიექტისაგან, სადაც განთავსებულია 264 პჯდ სამედიცინო გუნდი და რომელთაგან თითოეული ემსახურება დაახლოებით 15060 ადამიანს. მოსახლეობის მოცვის სიდიდის თვალსაზრისით სამედიცინო ობიექტები იყოფა 3 კატეგორიად – მაღალმთიან რაიონებში განთავსებული სამედიცინო ობიექტები, რომელთა მომსახურების არეალი მოიცავს 1000 მოსახლეს, სოფლის რაიონების სამედიცინო ობიექტები 1500 მოსახლეზე და ქალაქებში 2000 მოსახლეზე.

პჯდ ახალი დაწესებულებების იურიდიული სტატუსის შესახებ დისკუსიებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მასზე, რომ ისინი იყვნენ დამოუკიდებელი (შესაძლოა არაკომერციული) სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი ჯანდაცვის მეორეული და მესამეული დონეებისაგან ოფიციალურად განცალკევებული ორგანიზაციები, რომლებთანაც სახელმწიფო შემსყიდველი დადებს შრომით ხელშეკრულებებს.

პჯდ მომსახურებათა ყოვლისმომცველი პაკეტი შედგება ხუთი კომპონენტისაგან – პრევენციული, სამკურნალო, ლაბორატორიული მომსახურება, მედიკამენტები და აღმინისტრირება. პრევენციულ, ლაბორატორიულ, მედიკამენტებით უზრუნველყოფისა და აღმინისტრირების კომპონენტებში შეტანილი სერვისები ძირითადი გეგმის მიერ პოზიტიურადაა განსაზღვრული სერვისების შესაბამისი ჩამონათვალის მეშვეობით, ხოლო სამკურნალო კომპონენტი განსაზღვრულია ნეგატიურად. წარმოდგენილია მედიკამენტების სუბსიდირების ზოგადი სქემა რომელსაც, მათი ღირებულების სამი საკვანძო პარამეტრის მიხედვით შეფასების მიზნით თან ახლავს მოდელირების კვლევის მრავალმხრივი შედეგები.

ანაზღაურების მექანიზმი შემუშავებულია ისეთ ვარიანტებში, რომლებშიავე შერწყმულია საბიუჯეტო და კაპიტაციური ანაზღაურების პრინციპები, ხოლო შესაბამისი გარიფები დაანგარიშებულია პჯდ დაწესებულებების სხვადასხვა ტიპების ხარჯების მოდელის საფუძველზე.

ანაზღაურების მექანიზმი და რეფორმირებული პჯდ ობიექტების ქსელის აღწერილობა წარმოადგენს კახეთის რეგიონისა და მთლიანად საქართველოსათვის საერთო საბიუჯეტო მოთხოვნების გათვლების საფუძველს.

გათვლების ძირითადი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ გაანგარიშებულ იქნა პჯდ დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე. საბაზისო პაკეტი და კახეთში დაგეგმილი ყოველწლიურად საჭიროებს 10 ლარს ერთ სულ მოსახლეზე ყოველგვარი

ამორტიზაციის ჩათვლით. თუ ამას დაემატება მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი, საჭირო გახდება აღნიშნულ თანხაზე კიდევ 5-7 ლარის დამატება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვის მექანიზმებს და განაპირობებს მოსახლეობის დაინტერესებას მიმართონ პჯდ დაწესებულებას. ყველაზე რთული ამოცანაა შეივსოს ის დეფიციტი, რომელიც არსებობს მიმდინარე დაფინანსებით ერთ სულ მოსახლეზე 4 ლარსა (კახეთის რეგიონში უფრო ნაკლები) და ხანგრძლივ პერსპექტივაში სასურველ 10-15 ლარიან დაფინანსებას შორის. შეფასებული და გაანგარიშებულ იქნა ამ დეფიციტის აღმოფხვრის სხვადასხვა გზები, რომელიც ითვალისწინებს ქსელის შემდგომ ოპტიმიზაციას პჯდ გუნდების დაფინანსების ბოძიერი შემცირებით, სახელმწიფო დაფინანსების გაზრდას და ოფიციალური თანაგადახდების დაწესების პოტენციურ შესაძლებლობებს.

აღწერილია ის საკვანძო ფუნქციონალური პროცედურები, რომლებიც უნდა დაინერგოს რეფორმირებულ პჯდ დაწესებულებებში და განსაზღვრულია განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების ნუსხა და ამასთან ერთად წარმოდგენილია დანერგვის ორგანიზაციული სტრუქტურის ვარიანტი.

2. შესავალი

ძირითადი ფინანსური გეგმა კახეთის რეგიონისათვის შემუშავებულია ევროკავშირის/Tacis-ის პროექტის “საქართველოში პირველადი ჯანდაცვის განვითარების ხელშეწყობა: ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის რეფორმა” ფარგლებში. პროექტი ხორციელდება კომპანიების GVG და EPOS კონსორციუმის მიერ.

პროექტის ამოცანებია მხარი დაუჭიროს ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავს პჯდ სერვისების მდგრად დაფინანსებას, სადაც აქცენტი გაკეთებული იქნება პჯდ სამსახურებისადმი სისტემატური და მაკროეკონომიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე მოსახლეობის ურარბესი ფენებისათვის და ასევე პროექტი ითვალისწინებს პჯდ სისტემის ფინანსური მექანიზმებისა და ადმინისტრაციული პროცესების რეფორმების ხელმძღვანელობას. პროექტის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების პილოგირება მოხდება კახეთის რეგიონში მომავალში ქვეყნის მასშტაბით მისი განვრცობის მიზნით.

პროექტის ერთ-ერთ სამიზნეს წარმოადგენს კახეთის რეგიონისათვის რეგიონალური ჯანდაცვის დაფინანსების ძირითადი გეგმის შემუშავება, რომელიც ინტეგრირებული იქნება ჯანდაცვის ეროვნული სისტემის დაფინანსების ძირითადი გეგმაში.

მოცემული გეგმის ამოცანაა რეფორმირებული პჯდ სისტემის საკვანძო პარამეტრების განსაზღვრა, კერძოდ საქართველოს პჯდ სისტემის მომსახურებათა საბაზისო პაკეტი და საქართველოს მოსახლეობისათვის მისი უზრუნველყოფის ძირითადი პირობები, პჯდ მიმწოდებელთა სტატუსი და ქსელი, პჯდ სერვისების სახელმწიფო შემსყიდველის სტატუსი და საქმიანობა, ანაზღაურების მექანიზმები და შესაბამისი გარიფების გათვლა, რეფორმირებულ პჯდ დაწესებულებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურების პრინციპების განსაზღვრა. ყველა ეს ასპექტი მოქცეულია კახეთის რეგიონისათვის, ისე მთელი ქვეყნისათვის შემუშავებულ სპეციფიკურ ფინანსურ ჩარჩოებში.

ძირითადი გეგმა ეფუძნება როგორც პროექტის გუნდის მიერ, ასევე ამ სფეროში მომუშავე პროექტის სხვა გუნდებთან – DFID/OPM, USAID/CoReform, WB ერთობლივი მუშაობით მიღწეულ შედეგებს და პჯდ საბჭოს მიერ მიღებულ წინასწარ გადაწყვეტილებებს.

რამდენადაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჯერ კიდევ არ არის მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ძირითადი გეგმის ნაწილი წარმოდგენილია ვარიანტების სახით, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს შემდგომი განხილვისა და გადაწყვეტილებების საგანს.

წარმოდგენილი გექსტური ნაწილის უდიდესი ნაწილი და მასში მოცემული მეთოდოლოგია ფართოდაა მიღებული და შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა პილოტური რეგიონებისთვისაც. ეს განსაკუთრებით ეხება იმერეთსა და აჭარას, რომლებიც წარმოადგენენ სხვა პროექტების პილოტურ რეგიონებს.

ძირითად გეგმას გააჩნია მარტივი სტრუქტურა:

- კახეთის მოსახლეობის შესახებ სათანადო მონაცემების წარმოდგენა და მათი შედარება ქვეყნის დემოგრაფიულ, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემებთან;

- ვინ უზრუნველყოფს პჯდ-ს ამჟამად და ვინ გახდება მომავალში იურიდიული სტაგუსის მქონე პჯდ მიმწოდებელი, მათი სპეციალობა, მათი აკრედიტაციის, ორგანიზაციული მოწყობისა და მენეჯმენტის ასპექტები;
- ვინ იხდის პჯდ სერვისებისათვის? ძირითადი სახელმწიფო შემსყიდველის იურიდიული სტაგუსი, მისი უფლება-მოვალეობები, კონტრაქტირებასთან და სხვა შემსყიდველებთან დაკავშირებული საკითხები;
- მოსახლეობის რა მომსახურების უზრუნველყოფა ხდება პჯდ-ს სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში და რა პირობებით უნდა მოხდეს ამ სერვისების მიწოდება;
- როგორ განხორციელდება სერვისების ანაზღაურება სხვადასხვა წყაროებიდან?
- როგორია საბიუჯეტო შედეგები რეფორმირებული პჯდ სიგემისათვის როგორც კახეთის რეგიონში, ასევე მთელი ქვეყნის კონტექსტში;
- რა ძირითადი პრობლემები უკავშირდება დანერგვის პროცესს და რომელი ადმინისტრაციული პროცედურების განხორციელება არის საჭირო?

3. რეგიონის ძირითადი მონაცემები

3.1. დემოგრაფიული და სოციალური მონაცემები

კახეთის რეგიონი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება აზერბაიჯანი. მისი ფართობი შეადგენს 11400 კვ.კმ, ხოლო მოსახლეობა 412000. ადმინისტრაციული ცენტრია გელაფი, რომლის მოსახლეობაა 28000. მანძილი თელავიდან თბილისამდე 147 კმ-ია. კახეთის რეგიონი შედგება რვა ადმინისტრაციული ერთეულისაგან – რაიონისაგან.

რეგიონში ცხრა ქალაქი და 276 სოფელია. მოსახლეობის 52%-ს ქალები შეადგენენ, ხოლო 48%-ს მამაკაცები. 21% ცხოვრობს ქალაქის გიჰის დასახლებებში, ხოლო 79% კი სოფლად, მათ შორის მაღალმთიან რაიონებში. თელავი წარმოადგენს ყველაზე ურბანიზირებულ რაიონს (მოსახლეობის 31% ცხოვრობს ქალაქში და 69% სოფლად), ხოლო ყველაზე აგრარული რეგიონია ლაგოდეხი (19% და 87%).

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კახეთის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას მთელი ქვეყნის მაჩვენებლებთან შედარებით^{1.1}

ასაკობრივი ჯგუფი	კახეთი	საქართველო
10 წლამდე ასაკის	8.7	9.8
10-19	14.5	15.4
20-29	14.4	15.4
30-39	11.7	13.3
40-49	14.7	14.8
50-59	10.2	10.5
60-69	13.2	10.6
70-79	9.5	7.9
80-89	2.5	2.0
90 და უფროსი ასაკის	0.5	0.3
საშუალო საკი, წლები	40.4	38.1
60+ ასაკის მოსახლეობა	25.7	20.8
70+ ასაკის მოსახლეობა	12.5	10.2

ცხრილი 1. კახეთის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურა (%-ში)

ცხრილი გვიჩვენებს, რომ კახეთის მოსახლეობა ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით უფრო ხანდაზმულია.

კახეთში მაცხოვრებელთა ეთნიკური შემადგენლობა შემდეგია: ქართველები – 85.9%, აზერბაიჯანელები – 9%, ოსები – 1.4%, სომხები – 0.7%, რუსები – 0.6%.


კომლის საშუალო სიდიდე კახეთში შეადგენს 3.5-ს, ყველაზე დაბალი ქვეყანაში.

კახეთის მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ძირითადი წყაროა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობა და ვალის აღება. ორივეს წყაროს წილი საერთო შემოსავალში თანაბარია.

¹ წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2002 წელი

	კახეთი	საქართველო
ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები	31.7	40.8
ხელფასებიდან	7.9	15.4
თვითდასაქმებით	6.0	7.7
სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვიდან	10.6	7.7
ქონებიდან (გაქირავება, ანაბარის პროცენტი, ა.შ.)	0.4	0.3
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	3.1	3.3
უცხოეთში მომუშავეთა დახმარებები	1.2	2.9
ნათესაებისგან და მეგობრებისგან მიღებული დახმარება	2.5	3.4
არაფულადი შემოსავლები	26.1	19.8
შემოსავალი, სულ	57.9	60.6
სხვა ფულადი შემოსავლები	11.9	11.9
საკუთრების დაგირავება	0.7	2.4
ვალის აღება	11.2	9.5
შემოსავალი, სულ	43.7	52.7
ფულადი და არაფულადი შემოსავლები, სულ	69.8	72.5

ცხრილი 2. საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე (ლარებში)



სურათი 1. ოჯახის ფულადი ხარჯების წილობრივი განაწილება (2002) მოცემულ სურათზე წარმოდგენილია ოჯახის დანახარჯების სტრუქტურა.

კახეთის მოსახლეობაში ფულადი დანახარჯების უდიდესი წილი მოდის საკვებზე, სასმელებსა და თამბაქოზე (51%) და გრანსპორტზე (13%). ეს ხარჯები, ელექტრობასა და გათბობაზე დანახარჯებთან ერთად შეადგენს საერთო ხარჯების 2/3-ს. ჯანდაცვის დანახარჯები ფულადი სახით შეადგენს მხოლოდ 9%, ანუ 4.7 ლარს თითოეულ ოჯახზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ საშუალოდ ყოველი მეოთხე კახეთში 60 წლის ასაკსაა გადაცილებული (25.7%) ამკარა ხდება, რომ ეს თანხა ძალზედ მცირეა იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს მოსახლეობის მინიმალური სამედიცინო საჭიროებები.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კახეთის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის, განსახლების ტიპისა და სქესის მიხედვით.

	კახეთი, სულ	ქალაქად	სოფლად	ქალები	მამაკაცები
მოსახლეობა 15 წლის ასაკს ზემოთ	324.3	59.6	264.8	172.2	152.1
შრომითი რესურსები ² , 1000 ადამიანი	230.0	36.8	193.2	111.6	118.3
შრომითი რესურსები ³ , 1000 ადამიანი	232.7	37.7	195.0	113.0	119.8
დასაქმებული, 1000 ადამიანი	215.5	30.0	185.5	104.5	111.0
დაქირავებული, 1000 ადამიანი	45.1	15.1	30.1	22.5	22.6
თვითდაქირავებული, 1000 ადამიანი	170.3	14.8	155.5	82.0	88.3
სხვა დასაქმებული, 1000 ადამიანი	0.1	0.1	0.0	0.0	0.0
უმუშევარი*, 1000 ადამიანი	14.5	6.8	7.6	7.1	7.3
უმუშევარი**, 1000 ადამიანი	17.2	7.7	9.5	8.4	8.8
რეგისტრირებული უმუშევარი, 1000 ადამიანი	1.3	0.5	0.8	0.8	0.5
არარეგისტრირებული უმუშევარი, 1000 ადამიანი	13.2	6.3	6.8	6.3	6.8
სხვა უმუშევარი*, 1000 ადამიანი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა უმუშევარი**, 1000 ადამიანი	2.8	0.9	1.9	1.3	1.4
შრომითი რესურსების გარეთ დარჩენილი მოსახლეობა*, 1000 ადამიანი	82.8	21.1	61.7	56.1	26.7
შრომითი რესურსების გარეთ დარჩენილი მოსახლეობა**, 1000 ადამიანი	80.0	20.2	59.8	54.7	25.3
უმუშევრობის მაჩვენებელი*, პროცენტულად	6.3	18.5	4.0	6.4	6.2
უმუშევრობის მაჩვენებელი**, პროცენტულად	7.4	20.5	4.9	7.5	7.3

ცხრილი 3. 15 წლის ასაკზე უფროსი მოსახლეობის ეკონომიკური სტატუსი

მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის შემოსავალი საკმაოდ არათანაბრად არის გადანაწილებული. ყველაზე შეძლებული ოჯახების (20%) შემოსავალი რეგიონის ოჯახების საერთო შემოსავლის 44%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც ყველაზე ღარიბი ოჯახების 20% შემოსავლების მხოლოდ 5%-ს იღებს. უმუშევრობა სოციალ-ეკონომიკური სიღუაცის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დეგრემინანტს წარმოადგენს. იგი უფრო ქალაქის მოსახლეობისათვისაა დამახასიათებელი, სადაც უმუშევრობის მაჩვენებელი 18.5%-ია, მაშინ როდესაც სოფლად ეს მაჩვენებელი სამჯერ უფრო დაბალია (4.5%).

² * – შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მკაცრი კრიტერიუმების მიხედვით

³ ** – შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მოქნილი კრიტერიუმების მიხედვით

არსებობს განსხვავება სილაგაკის მაჩვენებლებს შორის ქალაქად და სოფლად – იგი უფრო მაღალია ქალაქად არაფულად შემოსავლებში განსხვავების გამო, რაც ბევრად მაღალია სოფლად, მაშინ როდესაც ფულადი შემოსავლები შედარებით თანაბარია.

კახეთის მოსახლეობის სოციალური სტატუსის შედარება ქვეყნის მთელ მოსახლეობასთან ნაჩვენებია ცხრილში 4⁴.

	კახეთი სულ	ქალა- ქად	სოფლ ად	საქართველო სულ
სიღარიბის დონე	50.0	69.8	45.2	22.0
უკიდურესი სიღარიბის დონე	28.9	47.4	24.3	
სირარიბის სიღრმე	23.4	37.2	20.0	21.1
სიღარიბის სიმწვავე	14.2	24.1	11.8	11.2

ცხრილი 4. მოწყვლადობა კატეგორიების მიხედვით

როგორც ცხრილიდან ჩანს სიღარიბის დონე ქალაქად შეადგენს 70%-ს, ხოლო სოფლად 45%-ს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უკიდურესად ღარიბი მოსახლეობის მაჩვენებელი ქალაქად ორჯერ აღემატება იგივე მაჩვენებელს სოფლად. ასევე სიღარიბის დონე ბევრად მაღალია ქალაქად, ვიდრე სოფლად.

3.2 მონაცემები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ყველაზე გავრცელებული დაავადებების პრევალენტობისა და სიხშირის მაჩვენებლები კახეთში მთელი ქვეყნის მაჩვენებლებთან შედარებით.⁵

	კახეთი		საქართველო	
	პრევალენტობა	სიხშირე	პრევალენტობა	სიხშირე
ენდოკრინული დაავადებები	5978.7	860.5	3628.1	684.4
თანდაყოლილი ანომალიები	84.5	11.1	147.3	27.3
ინფექციური და პარაზიტული დაავადებები	874.5	645.4	1786.1	1271.3
კანისა და კანქვეშა ქსოვილების დაავადებები	450.9	306.3	774.5	543.7
ორსულობა, მშობიარობა და მშობიარობის შემდგომი გართულებები	143.1	115.9	631.6	521.6
ნერვული სისტემისა და გრძნობის ორგანოების დაავადებები	2067.6	681	3289.1	1178.5
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	2260.9	693.5	2591.1	958.1
??ახალწარმონაქმნები ნეოპლაზმა	1033.7	171.9	935.6	190.9
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	6001	1305.1	6494.8	1616.1
სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებები	375.5	188.4	370	196.8

⁴ 2004 წელს

⁵ წყარო: NCDCMS, თბილისი 2004

რესპირატორული სისტემის დაავადებები	5244.1	3734.4	7022.3	5387.9
ღამიანებები/გრაემები და მოწამელის შემთხვევები	899.1	795.5	845.2	743.2
ფიქტური და ქცევითი აშლილობები	2003.3	123.8	2445.8	174.7
შარდსაქესო სისტემის დაავადებები	1127.5	466.9	1599.3	720.2
კუნთონჩხოვანი სისტემისა და შემაერთებული ქსოვილების დაავადებები	661.4	279.7	731.5	245.5
შაქრიანი დიაბეტი	1341.9	143.4	1144.4	165.4
ტუბერკულოზი	104.4	70.7	142.0	91.3

ცხრილი 5. დაავადებათა გავრცელება და სიხშირე

დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის 2004 წლის მონაცემების⁶ მიხედვით უკანასკნელი რამოდენიმე წლის განმავლობაში კახეთის მოსახლეობის სამედიცინო პრობლემებს შორის ძირითადი იყო რესპირატორული, გულსისხლძარღვთა, ენდოკრინული და საჭმლის მომნელებელი სისტემების და ინფექციური დაავადებები. უნდა აღინიშნოს, რომ ენდოკრინული დაავადებების პრევალენტობა ქვეყნის საერთო მაჩვენებელზე გაცილებით მაღალია. დანარჩენი მაჩვენებლები ქვეყნის საერთო მაჩვენებლებთან შედარებით იგივეა, ან დაბალი. რაც შეეხება სიხშირეს, კახეთში ყველაზე ხშირია რესპირატორული და სისხლის მიმოქცევის სისტემების დაავადებები.

სხვა რეგიონებთან შედარებით კახეთში მაღალია სისხლი მიმოქცევის სისტემის დაავადებების მაჩვენებელი. სისხლის წნევა პირდაპირ კავშირშია გულის კორონარული დაავადებითა და ინსულტით გამოწვეულ სიკვდილიანობასთან. ჰიპერტენზია საშუალოდ ორჯერ ან სამჯერ მრდის სხვადასხვა კარდიოვასკულარული დაავადებების განვითარების რისკს. ამდენად პჯდ ღონებზე ჰიპერტენზიის ეფექტური პრევენციის და შემთხვევების აღქვატური მენჯამენტის უზრუნველყოფა ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩიყვისა და შაქრიანი დიაბეტის მაღალი პრევალენტობა საჭიროებს შესაბამისი პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების განხორციელებას პჯდ ღონებზე, რაც უზრუნველყოფს ამ დაავადებების აღქვატურ კონტროლს. არსებული მონაცემები ცხადყოფს, რომ მოსახლეობაში საკმაოდაა გავრცელებული ნევროზები და დეპრესია, რაც ასევე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს პჯდ-სათვის.⁷

სხვა რეგიონებთან შედარებით კახეთში მაღალია ავთვისებიანი სიმსივნეების მაჩვენებელი. ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის/კონტროლის და სარძევე ჯირკვლის/საშვილოსნოს ყელის სკრინინგის პროგრამების ხელშეწყობა პჯდ ღონებზე.

კახეთში ტუბერკულოზის შემთხვევების სიხშირე მოითხოვს DOTS პროგრამის გადაუდებელ დანერგვას და ინსტიტუციონალიზაციას პჯდ ღონებზე, რაც უზრუნველყოფს ტუბერკულოზის ეფექტურ კონტროლს.

ცხრილში მოყვანილია შობადობისა და სიკვდილიანობის საბაზისო მონაცემები

⁶ წყარო: NCDCMS, თბილისი 2004

⁷ მამაუკა ჯიბუგი, ჯანდაცვის საჭიროებათა შეფასება კახეთში, თბილისი 2005

რეგიონი	მშობიარობა		საკეისრო კვეთა		დედათა სიკვდილიანობა		
	სულ	ბინაზე მშობიარობა	სულ	ყოველ 1 000 ცოცხლად-შობილზე	სულ	ყოველ 100 000 ფერტილური ასაკის ქალზე	ყოველ 1 000 ცოცხლად-შობილზე
კახეთი	3,034	551	372	129	1	1	35
საქართველო	46,631	1,180	7,773	168.05	21	1.81	45.28

ცხრილი 6. შობადობა და დედათა სიკვდილიანობა

3.3. სამედიცინო დაწესებულებები და მათი საქმიანობა

2004 წელს კახეთის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფდა 22 საავადმყოფო, 28 პოლიკლინიკა და 104 ამბულატორია⁸ (ასევე 7 საფერშლო-საბებიო პუნქტი). ამბულატორია წარმოადგენს პჯდ მომსახურების ყველაზე გავრცელებულ მიმწოდებელს. არსებობს როგორც დამოუკიდებელი, ისე ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში შემაჯავალი ამბულატორიები. 2002 წლიდან 2004 წკამდე მათი რაოდენობა 153-დან შემცირდა 104-მდე. ამ პერიოდში თითქმის უცვლელია იმ პოლიკლინიკების რაოდენობა, რომლებიც პჯდ დონეზე უზრუნველყოფენ მეორეული დონის მომსახურებას. სხვა ტიპის დაწესებულებებს წარმოადგენენ დისპანსერები, სამედიცინო ცენტრები და საფერშლო-საბებიო პუნქტები.

ჰოსპიტალურ მომსახურებას უზრუნველყოფს 22 საავადმყოფო, რომელთა საწოლების საერთო რაოდენობა შეადგენს 800-ს (სამშობიაროებისა და სპეციალიზირებული საავადმყოფოების ჩათვლით).

		საავადმყოფოები			პოლიკლინიკები			დისპანსერები			სულ	ამბულატორიები		კაბინეტ- (გარდა სტომბა)	საფერშ. პუნქტ.	
		სულ	მხატ შორის	სამშობიარო	საწოლები	დამოუკიდებელი	მ. შ.	გაერთიანებ.	სულ	საწოლებით		საწოლები	სამედიც. ცენტრ. სულ			დამოუკიდებელი
2002	კახეთი	19	3	5	777	20	5	5	8			3	104	49		8
	საქართ.	251	65	52	16550	274	83	96	78	10	250	43	674	287	9	306
2003	კახეთი	20	3	5	769	19	6	7	8	1	6	1	55	49	2	11
	საქართ.	248	62	52	15816	277	93	102	77	11	253	44	394	282	17	335
2004	კახეთი	22	8	6	769	20	7	8	8	1	6	2	68	36	1	7
	საქართ.	246	105	51	15513	276	93	102	76	11	253	52	453	229	17	381

ცხრილი 7. სამედიცინო დაწესებულებების სტრუქტურა

	ექიმები	საშუალო მედ. პერსონალი	სულ	ექიმები ყოველ 100 000 მოსახლეზე
კახეთი	1319	1199	2518	323.93
საქართველო	21396	21622	43018	489.44

ცხრილი 8. ჯანდაცვის შრომითი რესურსები

⁸ წყარო: NCDCMS, თბილისი 2004

რაც შეეხება პჯდ-ს, კახეთის რეგიონში მთელი სამედიცინო პერსონალის 56% დასაქმებულია პჯდ სისტემაში. პჯდ ღონებზე პერსონალის შეფარდება მოსახლეობასთან რეგიონში შეადგენს 144 ექიმ-სპეციალისტს, 131 ექთანს, 8 ბებიჩაქალს, 28 სტომატოლოგს და 23 ადმინისტრაციულ და ფინანსურ პერსონალს ყოველ 100.000 მოსახლეზე.

პროფესია	ყოველ 100 000 მოსახლეზე
ექიმები	144
ექთნები	131
ბებიჩაქალები	8
სტომატოლოგები	28
ადმინისტრაცია	23

ცხრილი 9. პჯდ სამედიცინო კადრები კახეთის რეგიონში

2003 წელს კახეთის რეგიონის პჯდ სისტემაში სულ დასაქმებული იყო 1.612 ადამიანი. აქედან 584.5 იყო სხვადასხვა სპეციალობის ექიმი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ პჯდ მომსახურებას. სპეციალიზაციის მხრივ ყველაზე მეტია პედიატრები და ზოგადი თერაპევტები; მათი უმრავლესობა მუშაობს ამბულატორიებში სოფლის ექიმად.

პჯდ პერსონალის დეტალური განაწილება შემდეგნაირია:

პროფესია	რაოდენობა
ექიმები	584.5
დიაგნოსტიკ. ერსონალი	119.5
ფარმაცევტები	2.5
სტომატოლოგები	113
ბებიჩაქალები	31
ექთნები	532
ადმინისტრაც./ფინანსური პერსონალი	98
სხვა პერსონალი (დასუფთავება, ა.შ.)	131.5

ცხრილი 10. პჯდ პერსონალის დეტალური განაწილება

პჯდ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის საერთო რაოდენობის საშუალოდ 36%-ს შეადგენენ ექიმ-სპეციალისტები (45% საავადმყოფო/პოლიკლინიკისათვის და 255 ბავშვთა/მოზრდილთა პოლიკლინიკებისათვის, ხოლო 42% სამედიცინო პერსონალი), პერსონალი საერთო რაოდენობის 86%-ს შეადგენს სამედიცინო პერსონალი (100% სამედიცინო და საფერშლო ამბულატორიული პუნქტებისათვის, 62% რკინიგზის ამბულატორიებისათვის); ექთნები შეადგენენ სამედიცინო პერსონალის 38%-ს, ხოლო ბებიჩაქალები 2%-ს. ადმინისტრაციული/საფინანსო პერსონალი საერთო რაოდენობის 6%-ია (25% დიაგნოსტიკური-სამკურნალო ცენტრებისათვის და 0.% საფერშლო ამბულატორიული პუნქტებისათვის); სხვა პერსონალი შეადგენს პერსონალის საერთო რაოდენობის 8%-ს (33% რკინიგზის ამბულატორიისათვის და 0.% საფერშლო ამბულატორიული პუნქტებისათვის).

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი შეიცავს მონაცემებს ჰჯდ დაწესებულებებსა და გადაუღებელი დახმარების სამსახურებში მიმართულების/მიღების შესახებ კახეთის რეგიონში ერთ მოსახლეზე. ყველა მაჩვენებელი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია.

რეგიონი	ვიზიტები, სულ	ამბულატორიულ პოლიკლინიკური სამსახურები				მიმართვა გადაუღებელი დახმ. სამსახურებში	
		ექიმთან ვიზიტი	15	ბინაზე ვიზიტი	15	სულ	15
			წლამდე ასაკის		წლამდე ასაკის		წლამდე ასაკის
კახეთი	1.62	1.52	1.27	0.08	0.17	0.03	0.000
საქართველო	1.97	1.80	1.64	0.12	0.26	0.05	0.003

ცხრილი 11. მიმართულების/მიღების მაჩვენებელი

იმუნიზაციის მაჩვენებელი მთლიანად დაბალია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე, გარდა ბცქ-ვ ვაქცინაციისა, რომელიც ყველაზე ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ქვეყანაში.

რეგიონი	იმუნიზაციის მაჩვენებელი - %				
	ბცქ-ვ	დჰტ -3	ოპვ-3	ვირუს. ჰეპატიტი ბ-3	წითელა-1
კახეთი	75.3	83.1	69.2	86.5	90.9
საქართველო	88.0	78.0	65.8	63.7	86.5

ცხრილი 12. იმუნიზაციის მაჩვენებელი

სულ 2002⁹ წელს კახეთის რეგიონის ყველა ჰჯდ დაწესებულებაში განხორციელებული იქნა 569.708 კონსულტაცია/ლონისძიება, აქედან 35% - პრევენციული მომსახურებისათვის, 50% - სამკურნალო კონსულტაციები ბავშვთა/მომზრდილთა პოლიკლინიკებში, 4% - ბინაზე ვიზიტები (ეს მონაცემები არ მოიცავს დაუფიქსირებელ “არაოფიციალურ” კონსულტაციებს).

კვლევამ გვიჩვენა¹⁰ რომ 2002 წელს კახეთის რეგიონში სულ ჩატარდა 94.158 ლაბორატორიული ან დიაგნოსტიკური გამოკვლევა, რომელთაგან უმეტესი ნაწილი განხორციელდა რაიონულ პოლიკლინიკებში – საშუალოდ წელიწადში 5184, თითოეულ ლაბორატორიაში შესრულებულ 133 ტესტთან შედარებით.

4. ჰჯდ მიმწოდებელთა ქსელი

4.1. ჰჯდ ქსელისა და მისი დაფინანსების არსებული მდგომარეობა

ჰჯდ დაწესებულებების შენობა-ნაგებობების მდგომარეობა ასეთია; მათი უმრავლესობა აშენებულია 1980-1989 წლებში. შენობათა უმეტესი ნაწილი (67.9%)

⁹ ლოქ. დინეკე ვენეკამფი, მარიანა ფოგაკისი, ნათია რუხაძის, გიორგი წაქაძის, ინგო ნეუს, GIS & RIS Consulting Center-Geographic-ის და ვინსენგ დელონის მონაწილეობით

¹⁰ რეგიონის ძირითადი გეგმის შემუშავება კახეთის ჰჯდ სისტემისათვის. ლოქ. დინეკე ვენეკამფი, მარიანა ფოგაკისი, ნათია რუხაძის, გიორგი წაქაძის, ინგო ნეუს, GIS & RIS Consulting Center-Geographic-ის და ვინსენგ დელონის მონაწილეობით.

საჭიროებს სერიოზულ შეკეთებას. დაახლოებით 4% არ ექვემდებარება შეკეთებას. დაწესებულებათა თითქმის ნახევარს ესაჭიროება სახურავის რემონტი და ამის შემდეგ ინტერიერის განახლება (39.6%).

ჰჯდ დაწესებულებათა 85%-ს ელექტროენერგიას აწვდის სახელმწიფო კომპანია. დაწესებულებათა 30-34%-ს საერთოდ არ მიეწოდება ელექტროენერგია ბაფხულისა და ბამთრის პერიოდში, ხოლო ნახევარზე მეტს კი მიეწოდება არარეგულარულად. კახეთის რეგიონის ჰჯდ დაწესებულებების უმეტესი ნაწილისათვის (94%) მიწოდებული წყალი სასმელად ვარგისია. დაწესებულებათა 40%-ს არ გააჩნია პრობლემები წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით, ხოლო დაწესებულებათა მეოთხედი განიცდის სირთულეებს ამ მიმართებით. წყლით მომარაგების საკითხი ელექტროენერგიის მიწოდებასთან შედარებით გაცილებით უკეთ არის მოგვარებული.¹¹

რაც შეეხება ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსებას, პირდაპირი გადარიცხვები ხორციელდება შემდეგნაირად:

- ფინანსთა სამინისტროდან/ხაზინიდან უზრუნველყოფილებს;
- ადგილობრივი ბიუჯეტებიდან უზრუნველყოფილებს;
- ფინანსთა სამინისტროდან/ხაზინიდან ჯანდაცვის პარალელური სისტემის ხელმძღვანელ ორგანოებში და შემდეგ უზრუნველყოფილებს;

რაც შეეხება ჯანდაცვის სისტემის კერძო დაფინანსებას, გადახდა ხორციელდება პირდაპირი წესით პაციენტების მიერ და ასევე კერძო სადაზღვევო კომპანიებიდან (მოსახლეობის მიერ კერძო სადაზღვევო გადასახადებიდან); აქვე უნდა გავითავსოთ უნდა იყოს თემზე დაფუძნებული სადაზღვევო სქემებიც.

კერძო სადაზღვევო კომპანიები ავლენენ კერძო სამედიცინო სადაზღვევო ბაზრის გაფართოების სულ უფრო მზარდ ტენდენციას. ექსპერტთა გაანგარიშებით ამჟამად სამედიცინო დაზღვევა მოიცავს კერძო სადაზღვევო ბაზრის დაახლოებით 17%-ს. თუმცა, მოცემულ წილში დომინირებს კორპორაციული დაზღვევა, მაშინ როდესაც ინდივიდუალური სამედიცინო დაზღვევა მხოლოდ მცირე პროპორციითაა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე არ არსებობს სათანადო შესაძლებლობები იმისათვის, რომ მოხდეს სოფლის რეგიონების მაცხოვრებლების დაზღვევა (რადგან სოფლის რეგიონებში არ ფუნქციონირებენ დიდი ადგილობრივი კომპანიები).

უშუალო არაფორმალური გადახდები ქვეყანაში შეადგენს სამედიცინო მომსახურებაზე საერთო ხარჯების 75-87%-ს.¹²

2002 წელს ჩატარებული ოჯახისა და ინდივიდუალური ჯანმრთელობის და ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხების კვლევის შედეგების საფუძველზე გაკეთებული მიახლოებითი გაანგარიშებებით კახეთის მოსახლეობამ ამბულატორიულ მომსახურებაზე ბამთრის პერიოდში დაახლოებით 1.2 მილიონი ლარი დახარჯა. ამ გადახდების უდიდეს ნაწილს (დაახლოებით 60%) მოიცავდა გადასახადი სამედიცინო პერსონალისათვის).

¹¹ საოჯახო მედიცინის მიწოდების ევროპული მოდელებიდან ნაწარმოები გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმის საფუძველზე რეკომენდირებულია, რომ შემდგომი დაგეგმვა ორიენტირებული იყოს 159 ჰჯდ დაწესებულებიდან 57-ზე. აქედან გამომდინარე გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა დაადგინეს, რომ 2005 წლის განმავლობაში ევროკავშირის რესურსებით შესაძლებელია 57 ჰჯდ დაწესებულების რემონტი


¹² საქართველო: ჯანდაცვის სექტორის მიმოხილვა. მსოფლიო ბანკი. ანგარიში №29413-გვ. ივნისი, 2004. ვაშინგტონი. აღამიანთა განვითარების სექტორის განყოფილება. ევროპისა და შუა აზიის რეგიონი, გვ. 108.

ქვე სახელმწიფო დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამა.

2005 წლის ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 19.673.000 ლარს (რაც 33%-ით მეტია 2004 წლის ბიუჯეტთან შედარებით).

პროგრამა მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს:

მათგან ყველაზე დიდია (17.736.000 300 ლარი) მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების კომპონენტი (რომელიც მოიცავს მაღალმთიანი რეგიონების პროგრამებსაც).



სურათი 2. ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის სტრუქტურა

მეორე უდიდესი კომპონენტი ფოკუსირებულია ცალკეულ სპეციალისტებზე, რომლებიც ჩვეულებრივ მუშაობენ დისპანსერებსა ან ქალთა კონსულტაციებში. ეს კომპონენტი მოიცავს ამბულატორიულ კონსულტაციებს ისეთ სფეროებში, როგორცაა ფსიქიატრია, გუბერკულოზი, კიბოს დიაგნოსტიკა/მკურნალობა და ორსულთა დახმარება.

კიდევ ერთი სახელმწიფოებრივი მასშტაბის კომპონენტს, რომელიც შედის ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამაში და ხორციელდება სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ, წარმოადგენს წვევამდელთა სამედიცინო შემოწმება.

პირველი კომპონენტის ფარგლებში უფასო მომსახურებით სარგებლობენ მოსახლეობის შემდეგი ჯგუფები:

- 0-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვები;
- 65+ ასაკის მოსახლეობა;
- 15-65 ასაკის ქრონიკული პაციენტები (ჩამონათვალში 7 დაავადება);
- მოსახლეობის სხვა ჯგუფები (ომის ვეტერანები, გერმინალურ სტადიაში მყოფი კიბოთი დაავადებულნი, სხვა).

2003-2004 წლის¹³ დაფინანსებასთან შედარებით ამბულატორიული დახმარების კომპონენტით განსაზღვრული მომსახურების მოცულობაში (კონსულტაციები, ლაბ. კვლევები, გადაუღებელი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები) დიდი ცვლილებები არ არის შეგანილი.

	ზოგადი პრაქტიკის გუნდი		მაღალმთიანი რეგიონის ზოგადი პრაქტიკის გუნდი	
	2004	2005	2004	2005
ექიმის ხელფასი	100	115	135	147
ექთნის ხელფასი	70	80.5	94	103
გადასახადები	53	39.1	71	50
მედიკამენტები	30	20	30	20
ლაბ. ტესტები	50	45	30	30
ადმინისტრაცია	70	65	50	50
სულ ერთ თვეში	373	364.6	410	400
სულ ერთ წელიწადში	4476	4375.2	4920	4800

ცხრილი 13. პჯდ გუნდის ბიუჯეტი 2004-2005 წლებისათვის

სამედიცინო გუნდების ბიუჯეტი 2005 წლისათვის (2004 წელთან შედარებით) უმნიშვნელოდ შემცირებულია, რაც განპირობებულია მედიკამენტებსა და გადასახადებზე (ლაბ. ტესტები და ადმინისტრაციული ხარჯები ზოგადი პრაქტიკის სტანდარტული გუნდისათვის) დაფინანსების შემცირებით, თუმცა სამედიცინო პერსონალის ხელფასები გაიზარდა. 2004-2005 წლებში საშუალო დაფინანსება ერთ სულ მოსახლეზე საბაზისო ამბულატორიული მომსახურებისათვის კახეთის რეგიონში თითქმის იგივე დარჩა და შეადგენს 2.7 ლარს.

სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის კახეთის ოფისის მონაცემებით ამბულატორიული დახმარების უზრუნველყოფელთათვის ყოველთვიურად ირიცხებოდა 90.000 ლარი. გადახდები წარმოებს 2004 წლის ბოლოს დადებული საკონტრაქტო ხელშეკრულების საფუძველზე. სოციალური გადასახადის 20%-მდე შემცირებით საშუალო თვიური გრანსფერი შემცირდა და შეადგენს დაახლოებით 85.000 ლარს, ხოლო ფაქტიური გადახდები მხოლოდ 2%-ით.

უფრო მეტიც, 2004 წელს კახეთში ე.წ. “სპეციალიზირებული ამბულატორიული მომსახურებისათვის” დაიხარჯა დაახლოებით 177708 ლარი. ამ მომსახურების მიწოდება (მეანობა-გინეკოლოგია, ფსიქიატრია, ტუბერკულოზი) ხორციელდებოდა 14 უზრუნველყოფელის მიერ (კახეთში არ ფუნქციონირებს სპეციალიზირებული ონკოლოგიური სამსახურები).

მომსახურების უზრუნველყოფის ანაზღაურება ხდება განსხვავებული სახით:

- ფიქსირებული გადასახადები ტუბერკულოზის სპეციალისტებისათვის;
- გადასახადი მეან-გინეკოლოგის კონსულტაციისათვის;
- ფიქსირებული ბიუჯეტი ფსიქიატრიისათვის;

¹³ დეტალებისათვის იხილეთ: პჯდ როლი და ფუნქციები საქართველოში – არსებული მდგომარეობა. საქართველოს ჯანდაცვის სექტორის რეფორმის პროგრამა – CNTR. 024201: პჯდ – ადამიანთა რესურსების პოლიტიკის კომპონენტი. OPM, სექტემბერი, 2004.

ამ მომსახურების დამატებითი დაფინანსება შეადგენს 0.44 ლარს ერთ სულზე. სულ სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის მიერ ყველა სახის ამბულატორიულ მომსახურებაზე კახეთის რეგიონისათვის ერთ სულ მოსახლეზე გამოყოფილია დაახლოებით 3.2 ლარი.

დამატებითი სახელმწიფო თანხები პჯდ უზრუნველყოფელთა ქსელისათვის გამოიყოფა სამოგადობრივი ჯანდაცვის პროგრამებით (ჩვეულებრივ რაიონული პოლიკლინიკებისათვის). ადგილობრივი პჯდ ქსელი ძირითადად ფინანსდება მუნიციპალიტეტების მიერ (საბ. ჯანდაცვის ერთიანი პროგრამების ფარგლებში გამოყოფილია ადგილობრივი ბიუჯეტის 1.5%). მაგალითად 2005 წელს თელავის საბ. ჯანდაცვის ცენტრისთვის ეს თანხა შეადგენს 37.000 ლარს, ხოლო საბ. ჯანდაცვის დეპარტამენტისგან გამოყოფილი თანხები (იმუნიზაციის მასშტაბების მონიტორინგი) შედარებით მცირეა (700-800 ლარი).

2000 წელს რაიონებში¹⁴ პჯდ უზრუნველყოფელების შემოსავლების სტრუქტურა შემდეგი სახის იყო:

	პოლიკლინიკები	ამბულატორიები
მომსახურებაზე გადასახადი	43%	43%
ლაბ. ტესტების გადასახადი	20%	11%
გადასახადი სამედიცინო ცნობებისათვის	17%	19%
ანამბლურება სახელმწიფო გადახდელის მიერ	17%	24%
გადასახადი მედიკამენტებზე	1%	0%
რეგისტრაციის გადასახადი	1%	0%
დონაციები	1%	3%

ცხრილი 14. პჯდ მიმწოდებლების შემოსავლების სტრუქტურა

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მიმწოდებლები მნიშვნელოვნად იყვნენ დამოკიდებული არაფორმალურ გადასახადებზე, რამდენადაც სახელმწიფო დაფინანსება პოლიკლინიკებისათვის შეადგენდა 17%-ს ხოლო ამბულატორიებისათვის 24%-ს. 2001 წლიდან რაიონებში შემოდებულ იქნა ამბულატორიული სამედიცინო დახმარების მიზნობრივი სახელმწიფო დაფინანსების პრინციპი (საბ. ჯანდაცვის დეპარტამენტის, ხოლო შემდგომში სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ). თუმცა, როგორც ეს იქნა დადგენილი საქართველოში მოქმედი საერთაშორისო პროექტების მეშვეობით¹⁵, სახელმწიფო დაფინანსება ვერ ფარავს სამედიცინო პრაქტიკის წარმოების მიმდინარე ხარჯებსაც კი (ფუნქციონირების მისაღები დონის უზრუნველსაყოფად). სახელმწიფო დაფინანსების უდიდესი ნაწილი და ასევე არაფორმალური გადასახადები (ოჯახების კვლევით მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე) იხარჯება პერსონალის ანამბლურებაზე.

¹⁴ პჯდ ქსელი დასავლეთ საქართველოში: გურია, იმერეთი და სამეგრელო. ტექნიკური ანგარიში. საერთაშორისო ფონდი "კურაციო". 2000.

¹⁵ GVG და OPM პროექტები

4.2. პჯდ ქსელის გეგმიური განვითარება

2003 წლის ივლისიდან 2004 იანვრამდე პერიოდში IRIS/ECOTEC-ის მიერ ევროკომისიისათვის მომზადდა კახეთის რეგიონის პჯდ სისტემის ძირითადი რეგიონალური გეგმა. პროექტის ძირითადი ამოცანა იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის დახმარების გაწევა კახეთის რეგიონში და მთლიანად საქართველოში პჯდ რესურსების უფრო ეფექტურად განაწილების სისტემის შემუშავებასა და დანერგვაში.

რეგიონის ძირითადი გეგმის შემუშავებისათვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მექანიზმები და მეთოდები:

- ინდიკატორების ნუსხა;
- დაწესებულებათა შეფასების კითხვარი;
- სამიზნე ჯგუფებთან დისკუსიების მოწყობა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა დეტალური გამოკითხვა;
- გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (გსს).

პჯდ ქსელის რესტრუქტურირებისა და ოპტიმიზაციისათვის გამოყენებულ იქნა შემდეგი ზოგადი კრიტერიუმები:

- გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა საცხოვრებელი ადგილიდან დაწესებულებამდე მგზავრობისათვის საჭირო დროის თვალსაზრისით;
- შერჩეული დაწესებულებებზე განპირობებული უბნები მოქცეული ინდა იყოს წინასწარ განსაზღვრული სამგზავრო დროის ფარგლებში;
- დაწესებულებების სიდიდე უნდა შეესაბამებოდეს მოსახლეობის მოცვის არეალს.

ქვეყნის მასშტაბით მაქსიმალური მოცვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შერჩეულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

- საცხოვრებელი ადგილიდან სამედიცინო დაწესებულებამდე მგზავრობის დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს¹⁶;
- შერჩეულ დაწესებულებებზე განპირობებული უბნების ურთიერთგადაფარვის თავიდან აცილება;
- დაწესებულებებზე მიმავრებული მოსახლეობის რაოდენობა უნდა შეადგენდეს 2000-15000 მოსახლეს იმის მიხედვით, ქალაქში მდებარეობს დაწესებულება, თუ სოფელში. ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს 15 წუთის ფარგლებში ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა.

იმის გამო რომ ფიქსირებულ ადგილებში უკვე არსებობს პჯდ დაწესებულებები, საჭირო გახდა რეგიონის მასშტაბით გარკვეული ცვლილებების განხორციელება:

1. პჯდ დაწესებულებები, რომლებიც მდებარეობს ისეთ ტერიტორიაზე, სადაც ტრანსპორტით მისვლა 15 წუთზე მეტ დროს მოითხოვს.

გეოგრაფიულად უახლოესი პჯდ დაწესებულების შერჩევა.

ასეთ დაწესებულებამდე მისასვლელად საჭირო დროის განსაზღვრა. მისაღებია? (20-30 წთ). თუ მისაღები არ არის გათვალისწინეთ მოსახლეობის რაოდენობა.

თუ მოსახლეობის რაოდენობა 1000 ადამიანზე ნაკლებია, უნდა შეიქმნას მობილური სამედიცინო სამსახურები და/ან ოჯახის ექიმმა უნდა განახორციელოს რეგულარული ვიზიტები ამ სოფლებში.

2. პჯდ დაწესებულებები, რომლებიც განლაგებულია 15 წუთის ფარგლებში ხელმისაწვდომობის ადგილებში, მაგრამ მოსახლეობის მცირე რაოდენობით.

¹⁶ მგზავრობის დროში იგულისხმება დროის ის მონაკვეთი, რომელიც საჭიროა პჯდ დაწესებულებაში ტრანსპორტით მისასვლელად გზის ხარისხის გათვალისწინებით. მოასფალტებული გზისათვის ეს იქნება 80 კმ/სთ, ხოლო გაუვალი გზისათვის – 5 კმ/სთ.

თუ მოსახლობის რაოდენობა 1000 ნაკლებია უნდა შეიქმნას მობილური სამედიცინო სამსახურები და/ან ოჯახის ექიმმა უნდა განახორციელოს ბინამე რეგულარული ვიზიტები.

3. შერჩეული პჯდ დაწესებულებები მეგისმეტად მცირეა ან მეგისმეტად დიდი მოცვის შესაბამისი არეალისათვის.

შეარჩიეთ უახლოესი უფრო მოზრდილი ან უფრო მცირე პჯდ დაწესებულება (მაგრამ ამ დაწესებულებამდე მგზავრობის დრო და მოცვის არე შეიძლება შეიცვალოს).

გააფართოვეთ არსებული შერჩეული დაწესებულება იმ შემთხვევაში, თუ იგი ძალზედ პატარაა. თუ შერჩეული დაწესებულება მეგისმეტად დიდია, გააუქმეთ მისი ნაწილი, ან ააშენეთ ახალი დაწესებულება.

4. დაწესებულებები გააუქმეთ ეგაპობრივად, მაგრამ ისინი, რომლებიც ჯერ კიდევ ემსახურებიან მოსახლეობის მცირე რაოდენობას და/ან ისეთ მოსახლეობას, რომლისთვისაც ხელმსაწვდომობა შემცირდა უნდა გაუქმდეს უკანასკნელ რიგში.

ამ მოდელის მიხედვით იმ დაწესებულებების რაოდენობა, რომელთა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა მანქანით მგზავრობისას 15 წუთს¹⁷ არ აღემატება, შემცირდა 159-დან 50-მდე¹⁸.

გემოთ აღწერილი კრიტერიუმების მიხედვით შერჩეული 50 პჯდ დაწესებულება მოიცავს მოსახლეობის 99%-ს 15 წუთის ფარგლებში გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გარანტიით. ეს ნიშნავს არსებული პჯდ დაწესებულებების რაოდენობის 69%-ის შემცირებას.

პილოტური პროექტით მოცულია სოფლების 83%, ხოლო მოსახლეობის დარჩენილი რაოდენობა, რომელიც ცხოვრობს 15 წუთიანი ზონის გარეთ, შეადგენს მხოლოდ 3816 ადამიანს.

	რეორგანი- ზაციამდე	რეორგანი- ზაციის შემდეგ	შემცირება %-ით	სტანდარტი
პჯდ დაწესებულებები	159	50	69	
სოფლების მოცვა	315	260	17	
მოსახლეობის მოცვა	100%	99%	1	
მოსახლეობის რაოდენობა 15 წუთიანი ზონის გარეთ		3.816		
მოსახლეობა 1 ექიმზე	701	1.322		2.000
მოსახლეობა 1 ექთანზე	513	934		1.000

ცხრილი 15. პჯდ დაწესებულებების რაოდენობის შემცირება

¹⁷ 15 წუთის ფარგლებში ხელმისაწვდომობის არეალში პჯდ დაწესებულების შერჩევის მხარდამჭერი არგუმენტი ეფუძნებოდა SCF კვლევის მონაცემებს, რომელთა მოხედვითაც ტრანსპორტის უკმარისობა არ წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულებისათვის მიმართვის ერთ-ერთ უმთავრეს შემზღვეველ პირობას.

¹⁸ საოჯახო მედიცინის მიწოდების ევროპული კრიტერიუმების საფუძველზე რეკომენდირებულია, რომ შემდგომი დაგეგმვა ორიენტირებული იყოს 149 პჯდ დაწესებულებიდან 57 ერთეულზე. აქედან გამომდინარე გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა დაადგინეს, რომ 2005 წლის განმავლობაში ევროკავშირის რესურსებით შესაძლებელია 57 შერჩეული პჯდ ერთეულის რემონტი

	საწესწეს ლებების რაოდენობა	%
განთავსებული საკუთარ შენობაში	25	51,0
განთავსებული საერთო შენობაში	20	40,8
განთავსებული სხვის მფლობელობაში მყოფ შენობაში	4	8,2
სულ	49	

ცხრილი 16. ჰჯდ დაწესებულებების განაწილება მფლობელობის მიხედვით

	დაწესებულე ბების რაოდენობა	%
შენობა საჭიროებს რემონტს	42	93,3
რემონტს აზრი არ აქვს, საჭიროა ახალი შენობა	3	6,7

ცხრილი 17. დაწესებულებების განაწილება მათი ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით

ცხრილიდან სჩანს, რომ თითქმის ყველა დაწესებულება საჭიროებს ან რემონტს ან შეცვლას.

შერჩეული ჰჯდ დაწესებულებების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია დანართში 1.

დანართი 1 მოცავს სამ ვარიანტს. პირველი ვარიანტი შემოთავაზებულია ჯანდაცვის პოლიტიკის განყოფილების მიერ და გულისხმობს მოცვის დიფერენცირებულ არეალებს 1500-დან 2200 მოსახლემდე.¹⁹ მეორე სრულად ოპტიმიზირებული ვერსია ეფუძნება 2000 მოსახლეზე გაანგარიშებულ მოცვის არეალს, გარდა რამოდენიმე მაღალმთიანი რაიონისა. ხოლო უკიდურესად ოპტიმიზირებული მესამე ვარიანტის მიხედვით კი მოცული მოსახლეობის რაოდენობა უნდა შეადგენდეს 3000-ს²⁰. ყველა ეს ვარიანტი განსხვავდება მხოლოდ სამედიცინო გუნდების რაოდენობით (თითოეულ ჰჯდ დაწესებულებაში განთავსებული სამედიცინო პრაქტიკების რაოდენობით). გარდა ამისა დანართში 1 მოცემულია იმ პირველი 15 დაწესებულების ჩამონათვალი, რომელიც დაიწყებს ფუნქციონირებას 2006 წლის აპრილიდან. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ჯანდაცვის პოლიტიკის განყოფილების მიერ შემოთავაზებულ ვარიანტის მიხედვით შერჩეული ჰჯდ დაწესებულებების განაწილებას მოსახლეობის მოცვის მიხედვით.

¹⁹ mosaxleobis mocvis are 1000 mosaxleze gaangariSebiT mTiani regionisaTvis, 1500 – soflis regionevisaTvis, 2000 – raionuli centrebis mosaxleobisaTvis da 2200 qalaevisaTvis.

²⁰ 3000 მოსახლის მოცვის არეალის მომსახურება შეიძლება განხორციელდეს ერთი სამედიცინო გუნდის მიერ, იმ დაშვებით, რომ სამკურნალო ვიზიტების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ გაიზარდება. ამ შემთხვევაში ჰჯდ პრაქტიკის სამუსაო დროის დაახლოებით 50% დაეთმობა საკურაციო მომსახურებას.

მოცვის არე დაწესებულებებისათვის %	რაოდენობა	%
>15.000 მოსახლე.	9	18%
5.000 - 15.000 მოსახლე.	18	36%
2.000 - 5.000 მოსახლე.	10	20%
< 2.000 მოსახლე.	13	26%
1.000 - 2.000 მოსახლე.	4	8%
<1.000 მოსახლე.	9	18%

ცხრილი 18. დაწესებულებების განაწილება მოსახლეობის მოცვის არეალის მიხედვით

4.3. პჯდ დაწესებულებებისა და პერსონალის იურიდიული სტატუსი

პჯდ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და წინადადებები რეფორმირებული ჯანდაცვის დაწესებულებების იურიდიული სტატუსის შესახებ²¹:

- პილოტური პროექტი არ უნდა დაიწყოს 2005 წლის 1 მარტამდე. ეს მისცემს დაინგერესებულ მხარეებს საჭირო დროს სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებიდან სახელმწიფო პროგრამების, შესყიდვების და კონტრაქტების პროცედურების დამტკიცებამდე;
- შენარჩუნებული იქნება მოგებაზე მომუშავე ორგანიზაციებისა (შპს) და პოლიკლინიკურ-ამბულატორიული გაერთიანებების არსებული იურიდიული სტატუსი.
- პჯდ სერვისების საკონტრაქტო პირობები, ფინანსური აღრიცხვა/ანგარიშგების პროცედურები უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, გამჭვირვალე და ადვილად კონტროლირებადი, რათა თავიდან ავიცილოთ რეფორმირებული პჯდ დაწესებულებებისათვის გამოყოფილი თანხების არასათანადოდ გამოყენება, კერძოდ იმ პოლიკლინიკურ-ამბულატორიულ გაერთიანებების შემთხვევაში, სადაც თანაარსებობენ “პილოტური და არაპილოტური” ამბულატორიები და პოლიკლინიკები.
- იმ ადგილებში სადაც იურიდიული სტატუსის მქონე პჯდ დაწესებულებები არ არსებობს, საჭიროა არამომგებიანი იურიდიული პირის სტატუსის მქონე ახალი დაწესებულებების დაფუძნება, რაც მათ შეუქმნის უფრო ხელსაყრელ იურიდიულ და საგადასახადო გარემოს.
- ოჯახის ექიმები მიიღებენ ინდივიდუალური მეწარმის იურიდიულ სტატუსს, ხოლო კონტრაქტებს მათთან გააფორმებს ადგილობრივი ხელისუფლება და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. რეკომენდირებულია, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ შრომით ხელშეკრულებებში შეიგანონ სპეციალური პირობები, რათა უზრუნველყონ ოჯახის ექიმების შენარჩუნება გეოგრაფიულად დაშორებულ ადგილებში (მაგ. მათ მომზადებაზე დახარჯული რესურსების ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ მომზადებული პერსონალი განსაზღვრულ ვადამდე დაგოვებს სამუშაო ადგილს).

სექტემბრის დასაწყისში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ცვლილებებს შეიგანს ჯანდაცვის კანონში და გააუქმებს სალიცენზიო

²¹ პჯდ საბჭოს 2005 წლის 21 ივლისს ჩატარებული შეხვედრის მასალები.

მოთხოვნებს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მომსახურების წარმოებაზე, საშუალებას მისცემს ოჯახის ექიმებს აწარმოონ საქმიანობა როგორც ინდივიდუალურმა მეწარმეებმა.

4.4. პჯდ მიმწოდებლების აკრედიტაცია და ლიცენზირება

4.4.1. პჯდ მიმწოდებლების აკრედიტაცია და ლიცენზირება

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზანია ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა აწარმოოს საქართველოს ჯანდაცვის კანონის საფუძველზე. სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი მექანიზმია სამედიცინო პერსონალისა და ორგანიზაციების ლიცენზირება და სერტიფიცირება (აკრედიტაცია).

4.4.2. პჯდ მიმწოდებლების ლიცენზირება

მუხლი 1. საქართველოს კანონიდან სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ (პრეზიდენტის ბრძანება №2254-III, 2003 წლის 8 მაისი) და საქართველოს კანონი - “სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირება და წარმოებაზე უფლების გაცემის საფუძველი” არეგულირებენ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ლიცენზირების, ცვლილებების შეგანის, საქმიანობის შეწყვეტისა და განახლების წესებს და ამასთან განსაზღვრავენ იმ საქმიანობებს, რომლებიც ექვემდებარება ლიცენზირებას და ლიცენზირების დამატებით პირობებს.

მუხლი 2 განმარტავს ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს:

- ა) სამედიცინო საქმიანობა – საქმიანობა, რომელიც უკავშირდება დაავადებათა პრევენციას, დიაგნოსტიკას, მკურნალობას და რეაბილიტაციას და აკმაყოფილებს სამედიცინო მომსახურების ქვეყანაში მიღებულ პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს;
- ბ) მომსახურების ხარისხის აუდიტი – მომსახურების ხარისხის შეფასება დადგენილ ნორმებთან მისი შეესაბამისობის განსაზღვრის მიზნით;
- გ) სამედიცინო ან ფარმაცევტული დაწესებულების პასპორტი – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტანდარტების აქტით განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნები (შენობის მახასიათებლები – შენობის დიზაინი, პერსონალი, აღჭურვილობა, სამუშაოს შინაარსი), რომლებიც დაწესებულებამ უნდა დააკმაყოფილოს იმისათვის, რომ მიიღოს ლიცენზია გარკვეული საქმიანობის წარმოებაზე.

მუხლი 4 აღწერს ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობების ტიპებს.

როგორც პჯდ სისტემის დანერგვის შედეგი, ეს საქმიანობა უნდა დაექვემდებაროს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებას (იხ. პუნქტი 4.3.). საჭიროა არსებული კანონის დამტკიცება იმერეთსა და აჭარაში მსოფლიო ბანკისა და კახეთში ევროკავშირის პროექტების გამოცდილების საფუძველზე.

4.5. პჯდ ორგანიზაცია და მართვა

რეგიონის გენერალური გეგმის წარმოდგენილი ნაწილი ფოკუსირებულია საქართველოში პირველადი ჯანდაცვის დაფინანსებაში მონაწილე მთავარი მოქმედი პირების მონაწილეობაზე. მასში ასევე გათვალისწინებულია შესაბამისი ორგანიზაციების როლი, ფუნქციები და მათ შორის ურთიერთობები. ამ დოკუმენტში ასევე მოცემულია პროექტის ანალიზის საფუძველზე შემუშავებული წინადადებები, რომლებიც ეხება პირველადი ჯანდაცვის სექტორის ფინანსური მენეჯმენტისა და ორგანიზაციის გაუმჯობესებას მაკრო და მიკრო ეკონომიკურ დონეებზე.

4.5.1. პროცესში მონაწილე დაწესებულებების ორგანიზაციული მოწყობა და დანიშნულება

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - სახელმწიფოებრივი დონე

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სახელმწიფოს მიერ სექტორისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში ადგენს თითოეულ სახელმწიფო პროგრამაზე გასაცემი თანხის ოდენობას. კერძოდ ეს მოიცავს პირველადი ჯანდაცვის ბიუჯეტის გაანგარიშებას და ამ პროგრამების შინაარსის განსაზღვრას. სამინისტროს ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტმა უნდა შეიმუშაოს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები. ამ დეპარტამენტის მთავარი ამოცანაა „საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების მიზნით შეიმუშაოს ჯანდაცვის სექტორის მხარდაჭერის სტრატეგია და ტაქტიკა²². დეპარტამენტს, სხვა მრავალთან ერთად, გააჩნია შემდეგი ფუნქციები: ჯანდაცვის სექტორის, სახელმწიფო პროგრამებისა და თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება; ძირითადი სამედიცინო სერვისებისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა და მონაწილეობა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა ლიცენზირების პროცესში. სამინისტრო ლიცენზიებს გასცემს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებზე, რათა მათ აწარმოონ განსაზღვრული სახის სამედიცინო მომსახურების მიწოდება მოსახლეობისათვის და ადგენს დაწესებულებების აკრედიტაციის ნორმებს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ რეგულარულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ახლადდადგენილი ნორმებისა და დებულებების შესახებ, ჯანდაცვის რეგიონალურ დეპარტამენტს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტსა და წამლების სააგენტოს. მომდევნო დონეზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომსახურების მიმწოდებლებისა და პაციენტებისათვის.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა განახორციელოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის (SUSIF) მუშაობის შედეგების რეგულარული მონიტორინგი, როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე რეგიონალურ დონეებზე.


²² საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულება ექსპერტთა შესახებ

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – რეგიონალური დონე

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონალურ დეპარტამენტებს, უზრუნველყოფელებსა და პაციენტებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ახლად დადგენილი დებულებებისა და ნორმების შესახებ. პჯდ დაწესებულებებისა და სამედიცინო გუნდების შერჩევა და დანიშვნა უნდა ხდებოდეს მუნიციპალიტეტებთან (ადგილობრივი მთავრობა) მჭიდრო თანამშრომლობით.

ჯანდაცვის რეგიონალურმა დეპარტამენტებმა უკუკავშირით უნდა უზრუნველყონ სამინისტრო და მიაწოდონ მას ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორცაა პჯდ სისტემის ფუნქციონირება, გადასატრევი პრობლემების იდენტიფიცირება, მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებები და ადგილობრივი დონეზე შემუშავებული ღონისძიებები.

ჯანდაცვის რეგიონალური დეპარტამენტი, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად (მუნიციპალიტეტი – ადგილობრივი მთავრობა და ეკონომიკის სამინისტროს სააგენტო) პასუხს აგებს პჯდ დაწესებულებების გენერალურ მენეჯერთან კონტრაქტის დადებაზე.



სურათი 3. საინფორმაციო ნაკადების რეგულირება

- სოციალური დაზღვევის ერთიანო სახელმწიფო ფონდი (SUSIF) – ეროვნული დონე

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით SUSIF-ი პასუხისმგებელია ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების აღსრულებაზე, ისეთი ძირითადი ფუნქციების განხორციელების მეშვეობით, როგორცაა კონტრაქტების დადება სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფელებთან, კონტროლი, მონიტორინგი, მონაცემთა საინფორმაციო ბაზის გამოყენება მოცვის არეში მცხოვრები მოსახლეობის ნაციონალური რეგისტრის სახით

და ბიუჯეტის შესრულება მიმწოდებელთა ანაზღაურების ჩათვლით. უნდა მოხდეს ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და მონაცემები ანგარიშების სახით უნდა მიეწოდოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს.

გარდამავალ პერიოდში (2006-2008) სახელმწიფო შემსყიდველი იურიდიული სტატუსის მქონე კერძო სამართლის სუბიექტთან დებს და ხელს აწერს კონტრაქტს, რომელიც ითვალისწინებს სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების სუბსიდირების უზრუნველყოფას. ოპტიმიზირებული პჯდ დაწესებულებებისათვის ექსკლუზიური შეღავათების დაშვების მიზნით უნდა მომზადდეს და ბიუჯეტის კანონში შეტანილ უნდა იქნეს სათანადო შესწორებები. მომავალში (2008 წლის შემდეგ) თანახმად კანონისა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კონტრაქტი უნდა დაიდოს საოჯახო მედიცინის პრინციპებზე დაფუძნებული პჯდ-ს ყველა მიმწოდებელთან და დაწესებულებასთან.

კონტროლის ღონისძიებები მოიცავს შემდეგ ეტაპებს/პროცედურებს:

- ანგარიშ/ფაქტურების შეკრება თვეში ერთხელ;
- ანგარიშ/ფაქტურების შემოწმება;

ვარიანტი 1: ანგარიშ-ფაქტურების წარდგენა ხაზინაში და ანაზღაურების კონტრაქტთან შესაბამისობის დაზუსტება;

ვარიანტი 2: ანაზღაურების შესაბამისობის დაზუსტება კონტრაქტთან მიმართებაში და მიმწოდებელთათვის მისი პირდაპირი გადახდა;

- უმიმწოდებელთათვის გაცემული ანაზღაურების საფუძველზე ანგარიშების მომზადება ბიუჯეტის აღსრულების შესახებ;
- ჯანდაცვის ფინანსური საინფორმაციო სისტემის (HFIS) მართვა.

მონიტორინგი უნდა განხორციელდეს მონაცემთა საინფორმაციო ბაზის, შეთანხმებული და კონტრაქტში განსაზღვრული შედეგების მიწოდებული ინდიკატორების, ანგარიშ/ფაქტურებისა და მოცვის არეში რეგისტრირებული მოსახლეობის შესახებ მონაცემების საფუძველზე. ყოველ მიმწოდებელს მონიტორინგი უნდა ჩაუტარდეს წელიწადში ერთხელ მაინც.

- **სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (SUSIF) – რეგიონალური დონე**

SUSIF-ის რეგიონალური ადმინისტრაციის უშუალო პასუხისმგებლობას განეკუთვნება კონტრაქტირება საოჯახო მედიცინის პრინციპებზე დაფუძნებულ ყველა შერჩეულ პჯდ დაწესებულებასა და მიმწოდებელთან. მომავალში (2008 წლიდან) ეს პროცესი განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

კონტროლის ღონისძიებები მოიცავს შემდეგ ეტაპებს/პროცედურებს:

- ანგარიშ-ფაქტურების შეკრება თვეში ერთხელ;
- ანგარიშ-ფაქტურების შემოწმება;


ვარიანტი 1: ანგარიშ-ფაქტურების წარდგენა ხაზინაში და ანაზღაურების კონტრაქტთან შესაბამისობის დაზუსტება;

ვარიანტი 2: ანაზღაურების შესაბამისობის დაზუსტება კონტრაქტთან მიმართებაში და უზრუნველყოფელთათვის მისი პირდაპირი გადახდა;


- უზრუნველყოფელთათვის გაცემული ანაზღაურების საფუძველზე ანგარიშების მომზადება ბიუჯეტის აღსრულების შესახებ;
- ჯანდაცვის ფინანსური საინფორმაციო სისტემის (HFIS) მართვა.

მონიტორინგი უნდა განხორციელდეს მონაცემთა საინფორმაციო ბაზის, შეთანხმებული და კონტრაქტში განსაზღვრული შედეგების; მიწოდებული ინდიკატორების, ანგარიშგაქვებისა და მოცვის არეში რეგისტრირებული მოსახლეობის შესახებ მონაცემების საფუძველზე. ყოველ უზრუნველყოფელს მონიტორინგი უნდა ჩაუტარდეს წელიწადში ერთხელ მაინც.

SUSIF-ი ანგარიშგააღებულა სახელმწიფოებრივი დონის – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და ჯანდაცვის რეგიონალური დეპარტამენტების წინაშე და ცენტრალურ დონეს აწვდის მონაცემთა ელექტრონულ ბაზისათვის.



სურათი 4. ვარიანტი 1 – ფინანსური ინფორმაციის ნაკადები და გადახდების წარმოება SUSIF-ის მიერ



სურათი 5. ვარიანტი 2 – ფინანსური ინფორმაციის ნაკადები და გადახდების წარმოება SUSIF-ის მიერ


პროექტის გუნდი დაჟინებით გირჩევთ ვარიანტი 2-ის დანერგვას.

• **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული და რეგიონალური ცენტრები ვალდებული არიან სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფაზე, ჯანდაცვის რეგიონალურ დეპარტამენტს მიაწოდონ ინფორმაცია სტატისტიკური ანგარიშებისა და ჯანდაცვის ადგილობრივი საჭიროებების შესახებ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონალური ცენტრები ახორციელებენ საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინირებას რეგიონში; კრებენ სტატისტიკურ ინფორმაციას სამედიცინო მომსახურების ადგილობრივი მიმწოდებლებისგან, ამუშავებენ ამ მონაცემებს და აწვდიან მათ დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულ ცენტრსა და სხვა შესაბამის დაწესებულებებს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონალური დეპარტამენტის ძირითადი ვალდებულებებია:

- ეპიდემიოლოგიური სიტუაციის ანალიზი და მართვა რეგიონში;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებების ორგანიზება, კოორდინირება და განხორციელება დაავადებათა პრევენციის მიზნით;
- ინვალიდობისა და ნაადრევი სიკვდილიანობის შემცირება
- ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემების (HMSI) მენეჯმენტი.



სურათი 6. სტატისტიკური ინფორმაციის ნაკადები

• მუნიციპალიტეტები

მომავალში მუნიციპალიტეტებს პირველადი ჯანდაცვის სისტემაში არ მიენიჭებათ რაიმე დანიშნულება, მათი როლი შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ისინი ჯანდაცვის რეგიონალური დეპარტამენტსა და სამოგალოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტთან ერთად მოამზადებენ გეგმას ჯანდაცვის საჭიროებების და ასევე ადგილობრივ პერსონალთან და დაწესებულებებთან დაკავშირებული საჭიროებების შესახებ.

სანიგარული ზედამხედველობისა და ჰიგიენური სტანდარტების დეპარტამენტმა (DSSHS), რომელიც შედის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში, უნდა გაზარდოს საწარმოთა სერტიფიცირების ეფექტიანობა, უზრუნველყო მათი შესაბამისობა სანიგარიისა და ჰიგიენის ნორმებთან და განახორციელოს შიდა სანიგარული კონტროლი.

DSSHS ქსელი შედგება სანიგარული ზედამხედველობისა და ჰიგიენური სტანდარტების რეგიონალური ინსპექციებისგან. ისინი საკუთარ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას იმ ამოცანებზე, რომლებიც შედიოდა სანიგარულ-ეპიდემიოლოგიურ დეპარტამენტების კომპეტენციაში, როგორცაა დასუფთავება და სამრეცხაო, კვება, პროფესიული დაავადებები, ბავშვთა და მოზრდილთა ჰიგიენა და დაწესებულებათა (საწარმოთა) სერტიფიცირება. მუნიციპალიტეტის მფლობელობაში მყოფი დაწესებულებები იჯარით გაიცემა საოჯახო მედიცინის გუნდებზე.

მუნიციპალიტეტი (ადგილობრივი მთავრობა) ხელმძღვანელობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად (ჯანდაცვის რეგიონალური დეპარტამენტი და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააგენტო) ვალდებულია კონტრაქტები დადოს პირველადი ჯანდაცვის გენერალურ მენეჯერთან.

- **ეკონომიკური განვითარების სამინისტრო**

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პირველადი ჯანდაცვის სფეროში არ გააჩნია რაიმე როლი. სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი დაწესებულებები (შენობები) იჯარით მიეცემა საოჯახო მედიცინის გუნდებს. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააგენტოს ვალდებულებაა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად (მუნიციპალიტეტი, ჯანდაცვის რეგიონალური, დეპარტამენტები) კონტრაქტები დაიდოს პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების გენერალურ მენეჯერთან.

- **ფინანსთა სამინისტრო**

სახელმწიფო ბიუჯეტის გაანგარიშება და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოთავაზების ინტეგრირება ჯანდაცვის ეროვნულ ანგარიშებში.

- **ვარიანტი 1 (იხილეთ 4.5.1):** ფინანსთა სამინისტრო რეგიონალური საგადასახადო ინსპექციების მეშვეობით ახორციელებს გადახდებს პირველადი ჯანდაცვის სამსახურებისათვის, მას შემდეგ რაც SUSIF-ი წარუდგენს ხაზინას ანგარიშ-ფაქტურებს და მოხდება კონტრაქტის მიმართ გადახდების შესაბამისობის დამუშავება. ფინანსთა სამინისტრო არ აწარმოებს უზრუნველყოფელთა და რეგიონალური და ეროვნული SUSIF-ის ანგარიშ-ფაქტურების შეფასებასა და მონიტორინგს, რაც განხორციელდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.
- **ვარიანტი 2 (იხილეთ 4.5.1):** SUSIF-ი ან სახელმწიფო შემსყიდველი ახორციელებს გადახდებს მას შემდეგ, რაც ისინი მოამზადებენ ანგარიშ-ფაქტურების ვერიფიკაციის დოკუმენტს. ფინანსთა სამინისტრომ უნდა მიიღოს ბიუჯეტის ანგარიში და საგადასახადო ინსპექციების მეშვეობით აწარმოოს SUSIF-ის შედეგების მონიტორინგი. ფინანსთა სამინისტრო არ აწარმოებს უზრუნველყოფელთა ანგარიშ-ფაქტურების შეფასებას და მონიტორინგს.

4.5.2. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა

ისეთ ადგილებში, სადაც ფუნქციონირებს 5 პჯდ გუნდი, უნდა დაფუძნდეს კერძო სამართლის იურიდიული პირი – არამომგებიანი ორგანიზაცია (პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებელი ორგანიზაცია – PHCDO).

ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანებების პჯდ დაწესებულებების ოპტიმიზირებული ფილიალები და განყოფილებები, ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, იქ სადაც დამოუკიდებელი პჯდ ერთეულების გახსნა ჯერ კიდევ არ არის შესაძლებელი (კახეთის რეგიონის გამოცდილების საფუძველზე).

- იურიდიული სუბიექტის ფილიალი – წარმოადგენს განცალკევებულ ქვედანაყოფს, რომელიც არ მდებარეობს იურიდიული სუბიექტის შენობაში და სრულიად ან ნაწილობრივ ასრულებს ოპტიმიზირებული პჯდ დაწესებულების ფუნქციებს.
- იურიდიული სუბიექტის განყოფილება – წარმოადგენს იურიდიული სუბიექტის ქვედანაყოფს და ფუნქციონირებს იურიდიული სუბიექტის შენობაში (აქვს იგივე მისამართი).

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს მონაწილეობით შექმნილი დაწესებულებები სახელმწიფოს მიერ აქციათა 100%-იანი საკუთრებით. მომავალში

მოხდება ამ ობიექტების ეგაპობრივი პრივატიზაცია, სადაც სახელმწიფოს წილი 50%-ზე მეტი იქნება. კერძო კაპიტალზე დაფუძნებული პჯდ დაწესებულებებს შეიძლება იყოს მომგებიანი დაწესებულებები. პრივატიზაციის სტიმულირებისა და ფილიალებისა და განყოფილებების ოპტიმიზაციის მიზნით, და იმ შემთხვევებში, როდესაც საბანკო სესხის გამოყენება მოხდება კერძო მხარის მიერ, შეიძლება მთავრობისგან, ბანკის ვალის დაფარვამდე, მათ მიეცეთ პჯდ-ს გაანგარიშებულ ხარჯებს ბევრით დამატებით (რაიმე სპეციალური ფონდიდან) ფინანსური მხარდაჭერა (ოდენობა და დრო უნდა განისაზღვროს). ოპტიმიზებული პჯდ დაწესებულებების პრივატიზაციის პროცესი დაიწყება 2012 წლიდან, პროფილის შეცვლის გარეშე.²³

იურიდიული სტატუსის საკითხი აღნიშნულ იქნა პუნქტში 4.3. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია ანუ უზრუნველყოფელი იქნება სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო ორგანიზაცია. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას უნდა უზრუნველყოფდეს გენერალური მენეჯერი. ექიმისა და ექთნის დაქირავება მოხდება უზრუნველყოფელის მიერ; ექიმები მიიღებენ კერძო მეწარმეების სტატუსს და იმუშავენ კერძო კონტრაქტის საფუძველზე.

4.5.3. პჯდ უზრუნველყოფელის, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის – არამომგებიანი დაწესებულების ორგანიზაციული და სამენეჯმენტო ამოცანები

საოჯახო მედიცინის გუნდის, როგორც პჯდ მიმწოდებელის ძირითადი ფუნქციებია:

პაციენტის მართვა

- წარმოადგენს რა სამედიცინო მომსახურებასთან პირველი კონტაქტის ადგილს ჯანდაცვის სისტემაში უნდა უზრუნველყოს მომხმარებელი ღია და შეუზღუდავი ხელმისაწვდომობით, მიუხედავად პაციენტის ასაკისა, სქესისა და ნებისმიერი სხვა მახასიათებლებისა გაუწიოს მას მომსახურება ჯანმრთელობის ნებისმიერ პრობლემასთან დაკავშირებით.
- ეფექტიანად იყენებს ჯანდაცვის რესურსებს პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში სხვა პროფესიონალებთან მუშაობის კოორდინირების მეშვეობით და სხვა სპეციალისტებთან რეფერალური სისტემის მართვის საშუალებით; საჭიროების შემთხვევაში საკუთარ თავზე იღებს პაციენტების ინტერესების დამცველის ფუნქციას;
- შეიმუშავებს ადამიანზე ფოკუსირებულ მიდგომას, რომელიც ორიენტირებულია ინდივიდზე, მის ოჯახზე და იმ საზოგადოებაზე, რომელსაც იგი განეკუთვნება;
- აგარებს უნიკალურ კონსულტაციებს, რომლის დროსაც ექიმსა და პაციენტს შორის ჩამოყალიბებული ეფექტური კომუნიკაციებით საფუძველი ეყრება ხანგრძლივ ურთიერთობებს;
- პაციენტის საჭიროების შესაბამისად პასუხს აგებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში სისტემატური მომსახურების უზრუნველყოფაზე.
- იღებს სპეციფიკურ გადაწყვეტილებებს იმ დაავადებათა პრევენციისა და სისხირის გათვალისწინებით, რომლებიც გავრცელებულია მისდამი გაპიროვნებულ უბანზე;

²³ კანდაცვის პოლიტიკის განყოფილება – რეფორმირებული პჯდ დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მენეჯმენტი

- ახორციელებს ცალკეული პაციენტების როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული პრობლემების მართვას;
- ახორციელებს ისეთი დაავადებების მართვას, რომლებიც შეიძლება არადიფერენცირებულად იყოს წარმოდგენილი; აღრეულ ეტაპზე და საჭიროებდეს სასწრაფო ჩარევას;
- ხელს უწყობს მისი პაციენტების ჯანმრთელობას და კეთილდღეობას სათანადო და ეფექტური ინტერვენციების გამოყენებით;
- განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება მასზე განპიროვნებული თემის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე;
- აგვარებს პაციენტების ჯანმრთელობის პრობლემებს მათი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული და ეგზისტენციალური განზომილებების გათვალისწინებით;
- აცნობს პაციენტებს მათ უფლებებს.

პჯდ მიმწოდებლის ზოგადი მენეჯერის ძირითადი ამოცანებია:

პრაქტიკის მენეჯმენტი

- საექიმო უბანზე მცხოვრები მოსახლეობის რეგისტრაცია მათი უბანზე მიმავრების პროცესში;
- პრაქტიკის საბანკო ანგარიშების მენეჯმენტი;
- პრაქტიკის ფინანსური ანგარიშების მენეჯმენტი საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად და საგადასახადო ინსპექციაში საჭირო მონაცემების წარდგენა (ბალანსი, მოგება, მარალი და სხვადასხვა ფინანსური ანგარიშები);
- ანაბლაურებაზე ყოველთვიური მოთხოვნის მომზადება და მისი წარდგენა რეგიონალურ SUSIF-ში;
- პრაქტიკისა და პერსონალის ორგანიზაცია;
- ანგარიშების გაგზავნა რეგიონალურ SUSIF-ში, სამოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტებსა და ჯანდაცვის რეგიონალურ დეპარტამენტებში;
- ექსპლოატაციის ხარჯებისა და გადასახადების გადახდა;
- ანგარიშების, მიმართვების, წამალთდანიშნულებებისა და საბუღალტრო ანგარიშებისათვის ნორმატიული-სტანდარტული ფორმების გამოყენება;
- კონტრაქტების ხელმოწერა;
- პერსონალის მართვა.

4.5.4. პროფკავშირები და პროფესიული ასოციაციები

საქართველოს ექთანთა ასოციაცია ფოკუსირებულია საექიმო განათლებასა და პროფესიულ სტანდარტებზე.

ზოგადი პრაქტიკისა და ოჯახის ექიმთა ასოციაცია დაარსდა 1995 წლის 8 დეკემბერს. პროფესიული ჯგუფების ზეგავლენა პოლიტიკის შემმუშავებელთა გადაწყვეტილებებზე გარკვეულწილად შეზღუდულია, თუმცა ისინი განაგრძობენ ამ მიმართულებით მუშაობას. პროექტის რეკომენდაციაა, რომ ექიმებმა და ექთნებმა იმუშაონ მათი ასოციაციების ფარგლებში.

5. პჯდ მომსახურების შესყიდვა

5.1. სახელმწიფო შემსყიდველი და მისი იურიდიული სტატუსი

5.1.1. სახელმწიფო შემსყიდველი

სახელმწიფო შემსყიდველის განმარტება:

„ჯანდაცვის ორგანიზაცია, რომელიც შეაფასებს განსაზღვრული მოსახლეობის საჭიროებებს და ყიდულობს მომსახურებას მათი მიმწოდებლებისაგან ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“²⁴.

სახელმწიფო შემსყიდველმა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში უნდა განახორციელოს რამოდენიმე ამოცანა:

- გენდერის ჩატარება ან მიმწოდებელთა შერჩევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- მიმწოდებლებთან კონტრაქტების დადება (პჯდ-ს საოჯახო მედიცინის გუნდები);
- ანგარიშ/ფაქტურების შემოწმება;
- პჯდ მიმწოდებლების ანაზღაურების საკითხები (იხ. 4.5.1. –რეკომენდირებულია ვარიანტი 2-ის მიხედვით);
- ფინანსური განაცხადის მომზადება ბიუჯეტის კონტროლისათვის;
- კონტრაქტით დაქირავებული მიმწოდებლებისა და საექიმო უბანზე მცხოვრები რეგისტრირებული მოსახლეობის მონაცემთა საინფორმაციო ბაზა;
- ანგარიშგება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინაშე.

დანერგვის ეტაპზე 2-3 წლის განმავლობაში გენდერები უნდა იქნეს შეჩერებული. ადამიანთა რესურსების მომზადების გეგმა შეთანხმებული უნდა იყოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, ECD-სა და ჯანდაცვის ადგილობრივ დეპარტამენტებთან და წარედგინოს სახელმწიფო შემსყიდველს.

5.1.2. იურიდიული სტატუსი

თანახმად პრეზიდენტის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულებისა № 558 სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ძირითადი ამოცანებია:

- „ჯანმრთელობის, სოციალური დაზღვევის, დასაქმებისა და სხვა სახელმწიფო პროგრამების რეალიზება, მოსახლეობის სოციალური დაზღვევის ორგანიზება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დახმარებების გაცემა“;

- „სამედიცინო, სოციალური დაზღვევის, დასაქმების და სხვა სახელმწიფო პროგრამების მიხედვით შესრულებული სამუშაოს ღირებულების, პენსიების, დახმარებების და სოციალური დაზღვევის სხვა გადასახადების გადარიცხვა გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში“.

- „საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაცია და მათი პერსონიფიკაცია სოციალური დაცვის სისტემაში ფიზიკური და იურიდიული პირების ჩართვის მიზნით“.

გადასახადების ახალი კოდექსის გამოყენებამ და სამედიცინო სამსახურებისათვის უშუალოდ ხაზინის მიერ გადასახადების წარმოებამ მნიშვნელოვნად შეცვალა SUSIF-ის როლი (იანვარი, 2005).

²⁴ უიტერი, 1997

პჯდ-ს და მომსახურების საბაზისო პაკეტის შესყიდვების დანერგვასთან ერთად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებულებით, SUSIF-მა უნდა უზრუნველყოს პჯდ პროგრამისათვის საჭირო ადმინისტრირება.

5.2. კონტრაქტების საკითხი პჯდ-ის სისტემაში

5.2.1. პჯდ-ს კონტრაქტების სისტემა

კონტრაქტის განმარტება: „*კონტრაქტი ეს არის ორი ან მეტი მხარის შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს ოფიციალური ურთიერთობების დამყარებას.* თუ ასეთი შეთანხმება შეიცავს კონტრაქტის ძირითად ელემენტებს, ვერც ერთი მხარე ვერ დაარღვევს მათ, თუ კი ეს წინასწარ არ იქნება შეთანხმებული ამ მხარეთა შორის. ნებისმიერი შეთანხმება საქონლის ან მომსახურების მიწოდებაზე გარკვეული ანაზღაურების საფასურად, რომელიც შეესაბამება მოცემულ განმარტებას წარმოადგენს კონტრაქტს. კონტრაქტში მონაწილე ყველა მხარე კანონის ძალით ვალდებულია შეასრულოს კონტრაქტის პირობები. ამიგომ მხარეები დიდი გულსყურით უნდა მოეკიდონ კონტრაქტის დადების საკითხს – წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგები შეიძლება იყოს მათთვის არასასურველი და დაკავშირებული დიდ ხარჯებთან“.

ჰარდინგისა და ფრიკერის ნაშრომის მიხედვით (2003) კონტრაქტირების პროცესის უპირატესობები სახელმწიფოს სექტორისათვის მდგომარეობს შემდეგში:

- **კონკურენციული ძალები:** კონტრაქტმა შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უზრუნველყოფელებზე, როგორც მათი საქმიანობის გაუმჯობესების, ასევე ფასების თვალსაზრისით;
- **დაგეგმვა და პოლიტიკის შემუშავება:** კონტრაქტირების პროცესი საჭიროებს და ხელს უწყობს დაგეგმვის და პოლიტიკის სრულყოფას საქონლისა და მომსახურებათა მოცულობის, ხარჯების, ხარისხის, რეაგირებადობის, მოსახლეობის ჯანმრთელობის საჭიროებებისა და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის ნაკადების გაუმჯობესების მეშვეობით;
- **ფასების სტაბილურობა:** კონტრაქტები მთავრობისათვის წარმოადგენს საჭირო სამედიცინო მომსახურების შეთანხმებული და აქედან გამომდინარე პროგნოზირებადი ფასებით შესყიდვის მექანიზმს.

გარდა ამისა, კონტრაქტებით ასევე შესაძლებელია გაუმჯობესდეს სამედიცინო მომსახურების სამართლიანად განაწილების პრინციპის სრულყოფა, რადგან საქართველოს მთავრობამ შეიძლება შემოიღოს ისეთი კონტრაქტები, რომლებიც ფოკუსირებული იქნება მომსახურების მიწოდებაზე მოსახლეობის უღარიბესი და დაუცველი ჯგუფებისათვის.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიძლება გამოიყენოს კონტრაქტირების პროცესი იმისათვის, რომ წარმართოს კერძო სექტორის მიერ სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესი ჯანმრთელობის ეროვნული ამოცანების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

კონტრაქტირების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ის, რომ პჯდ უზრუნველყოფელები კერძო სუბიექტებს წარმოადგენენ (იხ. 3.3. და 3.4.). სახელმწიფო არ არის მათი მფლობელი, მაგრამ ფლობს შენობებს (მნიშვნელოვანი აკრედიტაციის თვალსაზრისით). კონტრაქტირება შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: ხელშეკრულების დამდებ მხარეს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მომსახურების მიწოდებაზე, მათ შორის პერსონალის დაქირავება, განთავისუფლება, ხელფასების

გადახდა, ძირითადი მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შესყიდვა და განაწილება, სამედიცინო დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და კადრებით დაკომპლექტება.

კონგრატაციების ზოგადი მოგვიანება უკავშირდება იმ თეორიებს, თუ რაგომ ვერ ახორციელებს ხელისუფლება მომსახურების უზრუნველყოფას. კონგრატაციების მთავარი პირობა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო სექტორის გრადიციული ორგანიზაციული ფორმა, იერარქიული ბიუროკრატია არაეფექტურია და რომ სხვადასხვა საბაზრო მექანიზმის შემოღება მნიშვნელოვნად გაზრდის სახელმწიფოს მიერ მომსახურების მიწოდების ეფექტიანობას.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, SUSIF-მა და მიმწოდებლებმა უნდა გამოიყენონ კონგრატაციების ისეთი სისტემები, როდესაც სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფელთან კონგრატაციას დებს უშუალოდ სახელმწიფო შემსყიდველი (SUSIF).

5.2.2. კონგრატაციების შინაარსი

კონგრატაციები შემსყიდველსა (მაგალითად, SUSIF) და პჯდ მიმწოდებელს (მაგ. თვითდაქირავებული პჯდ გუნდები ან პჯდ მენეჯერი) შორის შექმნის სამართლებრივ პლატფორმას პჯდ-ს მიწოდებისათვის საქართველოში. კონგრატაციი უნდა შეიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- შესავალი ან კონგრატაციის საგანი და პჯდ განმარტება
საოჯახო მედიცინის პრინციპებზე დაფუძნებული პჯდ დაწესებულებები წარმოადგენენ პაციენტთან პირველადი კონტაქტის ადგილს.
ყოვლისმომცველი პჯდ მომსახურების მიწოდება განხორციელდება საოჯახო მედიცინის გუნდის მიერ (1 ექიმი + 1 ექთანის), რაც მოიცავს:
 - კურაციულ პჯდ მომსახურებას;
 - პრევენციულ მომსახურებას: ბავშვების იმუნიზაცია და ასევე მომრდილთა ვაქცინაცია ტეგანუსზე, საბაზისო პრევენციული გასინჯვები მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის;
 - საბაზისო ლაბორატორიულ ტესტებს;
 - მედიკამენტები: ჩვენ გთავაზობთ მომსახურებათა საბაზისო პაკეტში ესენციალური მედიკამენტების სპეციფიკურ ჩამონათვალის შეგანას „კატასტროფული დაფარვის“ სახით.
 - მომსახურების სახეები, რომლებიც არ შედის მომსახურებათა საბაზისო პაკეტში; მომსახურება, რომელიც განეკუთვნება პიროვნების პირადი ინტერესების სფეროს (მაგალითად, სერტიფიკატების ან ცნობების გაცემა); აკუპუნქტურა და კოსმეტიკური მანიპულაციები.
 - უფლებამოსილი პირები და ხელმოწერებიპასუხისმგებელი პირის განსაზღვრა, როგორც შემსყიდველის, ასევე უზრუნველყოფელის მხრიდან, რომელიც ხელს აწერს კონგრატაციას და პასუხს აგებს კონგრატაციის პირობების შესრულებაზე.
- საკონგრატაციო პერიოდი, ფისკალური წელი
დრო, რომელსაც მოიცავს კონგრატაციი (და კონგრატაციის განახლების შესაძლო დონისძიებები მისი წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად).

- კონგრატის პირობები
 - ლიცენზირებული ექიმები;
 - აკრედიტებული დაწესებულებები;
 - გაწეული მომსახურება.
- პირობები:
 - სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფელი ახორციელებს საექიმო უბანში მაცხოვრებელი მოსახლეობის რეგისტრაციას, ხოლო მათ აგრეგირებას კი შემსყიდველი;
 - მიმართვის სისტემა: „მეკარიბჭის“ ფუნქციის მექონე პჯდ ახორციელებს პაციენტების მიმართვებს სამედიცინო მომსახურების მეორეულ და მესამეულ დონეებზე + ამ დონეებიდან დაბრუნებული პაციენტების მონიტორინგი;
 - მედიკამენტების დანიშვნა/გამოწერა;
 - პაციენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება მათი უფლებების შესახებ;
 - საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება;
 - სამედიცინო ჩანაწერებისა და სტატისტიკის წარმოება;
 - შემსყიდველისათვის შერჩეული ინდიკატორების მიწოდება (უგილიზაცია /რეფერალური მიმართვების რაოდენობა /წამალთ-დანიშნულებების, რეცეპტების რაოდენობა /სპეციფიური დაავადებების შემცირება /პრევენცია/იმუნიზაცია).
 - გარანტიები
 - ჰიგიენა;
 - სამედიცინო მომსახურების/მკურნალობის ხარისხი.
 - ექიმთა უფლებები და მოვალეობები:
 - აღჭურვილობის სათანადო მომსახურება;
 - პაციენტების მკურნალობა კლინიკურ დონემდე;
 - პირველადი დახმარების გაწევა
 - შემსყიდველის, „მეთვალყურის“ და სტატისტიკის დეპარტამენტის უზრუნველყოფა საჭირო ინფორმაციით, როგორცაა სამედიცინო სტატისტიკა, ფინანსური და სამენეჯმენტო ინფორმაცია;
 - გარანტირებული ხელფასები
 - გადამზადება.
 - სამუშაო გრაფიკი
 - 8 საათი დღეში და 5 დღე კვირაში;
 - 24 საათიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
 - გადახდის/ანაზღაურების მეთოდი:
 - კაპიტაციური > კურაციული მომსახურებისათვის;
 - მომსახურების გადასახადი > პრევენციული მომსახურებისათვის;
 - თანაგადახდა > მედიკამენტებისათვის
 - საბანკო ანგარიში
 - შედეგების მონიტორინგი (შემსყიდველის მოვალეობა, რომელიც უნდა ლეგალიზებული იქნეს კონგრატით):
 - ანგარიშგება;
 - ინდიკატორები.
 - ჯარიმები:
 - არაფორმალური გადახდები;
 - რეფერალური სისტემა

- ღოკუმენტის გაყალბება.
- კონფლიქტის გადაჭრა
- პჯდ ექიმის მიერ მომზადების ხარჯების დაფარვა მისი თანამდებობების ან სამუშაოს შეცვლის შემთხვევაში

განსაზღვრული კონტრაქტი უნდა დამტკიცდეს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით, სტანდარტული კონტრაქტის სახით. ასეთი სტანდარტული ფორმის შეცვლა არ შეუძლია არც შემსყიდველს და არც მიმწოდებელს. კონტრაქტი უნდა შედგებოდეს შემდეგი სამი ნაწილისაგან:

- წინაპირობები;
- შეთანხმების საგანი;
- იურიდიული მხარე.

კონტრაქტის ნიმუში უნდა შეთანხმდეს OPM/AbtCoReform-ის პროექტებსა და სადამბლვევო ფონდის, ჯანდაცვის სამინისტროს და ჯანდაცვის პოლიტიკის განყოფილების ადგილობრივ ექსპერტებთან.

5.3. სხვა (არასახელმწიფო) შემსყიდველები

სხვა არასახელმწიფო შემსყიდველებს განეკუთვნებიან არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სადამბლვევო კომპანიები, კერძო კომპანიები ან ცალკეული ოჯახები. მათი მხრიდან უნდა არსებობდეს ინტერესი იმისა, რომ გამოიყენონ ან ხელშეკრულება დადონ უშუალოდ განახლებულ პჯდ დაწესებულებებთან და გადაამზადებულ ექიმებთან, ხოლო სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს დაინტერესება იმისა, რომ პჯდ სერვისების შესყიდვა 100%-ით მოხდეს სახელმწიფო შემსყიდველის კონტრაქტით. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება ნიადაგი კორუფციისათვის. თუ სახელმწიფოს ინტერესებში შედის შეუნარჩუნოს არასამთავრობო სექტორის იმუნიზაციისა და ვაქცინაციის პროგრამების განხორციელება, მაშინ კონტრაქტი უნდა დაიდოს სახელმწიფო შემსყიდველსა და არასამთავრობო ორგანიზაციას შორის. სერვისებთან დაკავშირებით შემსყიდველსა და პჯდ დაწესებულებას შორის იდება კონტრაქტი.

6. მომსახურების საბაზისო პაკეტი და მისი უზრუნველყოფა

6.1. მომსახურების საბაზისო პაკეტის განმარტება

მომსახურების საბაზისო პაკეტით მოსახლეობას უფლება ეძლევა სახელმწიფო მოცვით მიიღოს სრული ან ნაწილობრივი მომსახურება. მომსახურების იმ საფასური, რომლებიც არ არის შეტანილი პაკეტში, მაგრამ რომელსაც ექიმები კვლავაც აწარმოებენ, უნდა გადაიხადოს პაციენტმა.

საბაზისო პაკეტი ახალი პჯდ სისტემისათვის მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- პრევენცია
- მკურნალობა
- ლაბორატორია
- მედიკამენტები
- ადმინისტრირება.

პრევენციის კომპონენტი

მოსახლეობას უფლება აქვს უფასოდ მიიღოს იმუნიზაცია და შემდეგი სახის პრევენციული სერვისები:

იმუნიზაცია	ასაკობრივი ჯგუფი	სისშირე
ბცე – ტუბსაწინააღმდეგო იმუნიზაცია	0-1	1ხ
ოპვ – ორალური პოლიო ვირუსი	0-5	5ხ
დჟგ – აცრა ლიფტერია, ყივანახველა ტეტანუსი	0-4	4ხ
ჰპ ბ – იმუნიზაცია ჰეპატიტი ბ	0-1	3ხ
წითელას იმუნიზაცია	0-5	2ხ
ყბაყურას იმუნიზაცია	0-5	2ხ
წითელას, ყბაყურას და წიგელას იმუნიზაცია	1-14	3ხ
ყივანახველას იმუნიზაცია	0-6	3ხ
ყბაყურასა და წითურას იმუნიზაცია	1-5	2ხ
დიფთერიისა და ტეტანუსის იმუნიზაცია	5	1ხ
დიფთერიისა და ტეტანუსის იმუნიზაცია	14	1ხ
ცოფის იმუნიზაცია – კომბინირებული კურსი ანტირაბიული იმუნოგლობულინით	ნებისმიერი ასაკი	6ხ
ტეტანუსის იმუნიზაცია – გამაძლიერებელი დოზა	15-19	1ხ
	20-55	1 X 10 წელიწადში
	რისკ-ჯგუფებისათვის	1 X 5 წელიწადში
	ჭრილობების შემთხვევაში არაავაქცინებულ პირებში	3ხ
პოლიომიელიტის იმუნიზაცია – გამაძლიერებელი დოზით დამამთავრებელი კლასების მოწაფეებისათვის	15-19	1ხ
პოლიომიელიტის იმუნიზაცია – მომრდილთათვის განსაკუთრებული რისკის დროს	20-55	1ხ

ცხრილი 19. საბაზისო პაკეტში შეტანილი იმუნიზაციის ღონისძიებები

პრევენციული შემოწმებები	ასაკობრივი ჯგუფი	სისშირე
პიროვნების ჯანმრთელობის შემოწმება	15-65	1 X 3 წელიწადში
ესლ მაღალი რისკი	40-64 მამაკაცი 50-64 ქალი	1 X 3 წელიწადში
დიაბეტის მაღალი რისკი	45+	1 X 3 წელიწადში
ხანდაზმულთა შემოწმება	65-75	1 X 3 წელიწადში
ხანდაზმულთა შემოწმება	75+	1 X 1 წელიწადში
ბავშვების ჯანმრთელობის შემოწმება	0-1	14 X
ბავშვების ჯანმრთელობის შემოწმება	1-2	2 X
ბავშვების ჯანმრთელობის შემოწმება	3-12	5 X
ანგენაგალური დახმარება		9 X

ცხრილი 20. საბაზისო პაკეტში შეტანილი პრევენციული შემოწმებები

მკურნალობის კომპონენტი

მოსახლეობას აქვს უფლება მკურნალობის მისაღებად მიმართონ პჯდ ექიმებს. თუმცა სახელმწიფო დაფინანსება არ მოიცავს შემდეგი სახის მკურნალობას:

- აკუპუნქტურა
- ნებისმიერი სახის კოსმეტიკური მომსახურება

მკურნალობის მიზნით გაკეთებული ვიზიტი პაციენტისათვის უფასოა:

- ვიზიტი უნდა განხორციელდეს პჯდ ექიმის ოფიციალური სამუშაო საათების განმავლობაში, თუკი ადგილი არ აქვს ურგენტულ შემთხვევას
- ვიზიტი ხორციელდება დაწესებულებაში.

პაციენტს უფლება აქვს მოითხოვოს პჯდ ექიმის ვიზიტი ბინაზე იმ შემთხვევაში, თუ მას ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესების რისკის გარეშე არ შესწევს უნარი მიაღწიოს დაწესებულებაში. ასეთი ვიზიტისათვის პაციენტმა უნდა გადაიხადოს ფიქსირებული თანაგადახდის თანხა.

ლაბორატორიის კომპონენტი

პაციენტს უფლება აქვს უფასოდ მიიღოს შემდეგი სახის ლაბორატორიული მომსახურება (რომლის დაფარვა ხდება ვიზიტზე თანაგადახდით მიღებული თანხით), რომელიც მას დაუნიშნა თავისმა პჯდ ექიმმა:

ლაბორატორიული ტესტი
სისხლის საერთო ანალიზი
შარდის საერთო ანალიზი
ტესტი ფარულ სისხლდენაზე
გლუკოზის დონე სისხლში
ვაგინალური ნაცხი
სისხლის რეზუსი/ჯგუფი
სეროლოგიური ტესტი სგვდ (ვასერმანი)
კრეატინინის ტესტი
ქოლესტერინის ტესტი
სისხლის შედეღება
პროგრამბინის ტესტი

ცხრილი 21. საბაზისო პაკეტში შეტანილი ლაბორატორიული ტესტები

წამლის კომპონენტი

წამლის კომპონენტი წარმოადგენს საბაზისო პაკეტის ყველაზე წინააღმდეგობრივ ნაწილს. ამჯამად პაციენტებს სახელმწიფო სუბსიდიების მეშვეობით მიეწოდება მედიკამენტების ძალზედ მცირე რაოდენობა. მოსახლეობის უმეტესობა იძულებულია წამლების უდიდესი ნაწილი შეიძინოს საბაზრო ფასებით, რის შედეგადაც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ერთის მხრივ ეზღუდება ხელმისაწვდომობა მედიკამენტებისადმი, ხოლო მეორეს მხრივ ასეთი სიგუაცია აქვეითებს მოსახლეობის მოტივაციას, რათა მიმართონ პჯდ დაწესებულებებს.

მკურნალობის პროგნოზებისა და იმ დაავადებების მედიკამენტების სქემების ანალიზის საფუძველზე, რომელთა მკურნალობაც შედის პჯდ ღონის კომპეტენციაში²⁵,


²⁵ იხ. ნემეცი, ქაროსანიძე – მედიკამენტები საქართველოს პჯდ სისტემაში. GVG, 2005

შემუშავებულ იქნა მედიკამენტების ორი ნუსხა (ბავშვებისა და მოზრდილებისათვის). წამლების ამ ნუსხებთან დაკავშირებული წლიური დანახარჯების²⁶ დაანგარიშებისას გამოყენებულ იქნა ამ დაავადებათა პრევალენტობისა და შემთხვევათა სიხშირის მახვენებლები საქართველოს პირობებისათვის.

ორივე ეს ნუსხა მოცემულია დანართში 7 თითოეული შემთხვევისათვის მოცემულ მედიკამენტზე საშუალო დანახარჯებით; ამასთან დანართი შეიცავს საერთო წლიური დანახარჯების გაანგარიშებას როგორც კახეთის რეგიონისათვის, ასევე მთლიანად საქართველოსათვის და იმ პაციენტთა შესაბამის წლიურ რაოდენობას, რომლებსაც ექნებათ მოთხოვნა ამ მედიკამენტებზე.

რამდენადაც მედიკამენტებზე დანახარჯების მოცვა სახელმწიფო სახსრებით ამ (დანართში 7 წარმოდგენილი საკმაოდ ლიმიტირებული ნუსხის შემთხვევაშიც კი) არ არის გათვალისწინებული არსებულ სახელმწიფო ბიუჯეტში²⁷, სუბსიდირებული მედიკამენტების სქემაში გათვალისწინებული უნდა იყოს პაციენტების მიერ უშუალო გადახდების მნიშვნელოვანი წილი. მოცემულ დოკუმენტში გაანალიზებულია სუბსიდირებული მედიკამენტების სხვადასხვა სქემები²⁵ - თანადაზღვევა, თანაგადახდა თითოეული პაკეტისათვის, დარიცხვა დაავადების ყოველ ეპიზოდზე და წლიური დარიცხვა.

სუბსიდირებული მედიკამენტების ზოგადი სქემა მოცემულია სურათზე 7 “სუბსიდირებული მედიკამენტების ზოგადი სქემა”, რომელშიც კომბინირებული სახითაა წარმოდგენილი სუბსიდირებული მედიკამენტების ზემოთ აღნიშნული სქემების უმეტესობა და რომელიც რეკომენდირებულია საბაზისო პაკეტის წამლის კომპონენტის სახით.



სურათი 7. სუბსიდირებული მედიკამენტების ზოგადი სქემა

²⁶ სპეციფიკური მონაცემები კახეთის რეგიონისათვის არ არსებობს, კახეთის მონაცემები გაანგარიშებულია ქვეყნის მონაცემების საფუძველზე.

²⁷ დაახლოებით წლიურად 180 მილიონი ლარი მოზრდილებისათვის და 10 მილიონი ლარი ბავშვებისათვის

სუბსიდირებული მედიკამენტების ზოგად სქემაში გამოყოფილია სამი ასაკობრივი ჯგუფი – 15 წლამდე ასაკის ბავშვები, 65 წლამდე ასაკის მოზრდილები და 65 წელზე უფროსი მოსახლეობა. თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში არსებობს მისთვის დამახასიათებელი ზღვრები. პირველი არის “მოტივაციის” ზღვარი. პაციენტი იხდის მხოლოდ მისი წამლების თანადაზღვევას (ფიქსირებული პროცენტული წილი) ვიდრე კალენდარული წლის დასაწყისიდან მის მიერ შეძენილი წამლების თანხა არ მიაღწევს მოტივაციის ზღვარს. ამ ზღვარს ზემოთ პაციენტი თავად იხდის მედიკამენტების სრულ ღირებულებას, ვიდრე კალენდარული წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მის მიერ შეძენილი მედიკამენტების საერთო ღირებულება არ მიაღწევს “კატასტროფულ” ზღვარს. ამ ზღვარს ზემოთ მედიკამენტების დანახარჯების სრულ დაფარვას უზრუნველყოფს სახელმწიფო შემსყიდველი და პაციენტს აღარ სჭირდება წლის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში შეძენილი მედიკამენტების საფასურის გადახდა.

მოტივაციის ზღვრის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მან ხელსაყრელი გახადოს მოსახლეობისათვის ჰჯდ სისტემით სარგებლობა, ხოლო კატასტროფული ზღვრის შემორებით შესაძლებელი ხდება დავიცვათ მოსახლეობა კატასტროფულად მაღალი ხარჯებისაგან, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააზარალოს მათი სოციალური მდგომარეობა.

სუბსიდირებული მედიკამენტების ზოგადი სქემის თითოეული ვარიანტი შეიძლება აღწერილ იქნას ექვსი პარამეტრით – მოტივაციის და კატასტროფული ზღვრები და თანადაზღვევა ხარჯების დასაფარავად მოტივაციის ზღვრამდე. სამივე ეს პარამეტრი ეხება თითოეულ ასაკობრივ ჯგუფს.

დანართი 8 წარმოგვიდგენს მოდელირების შედეგებს რომლებიც მოიცავს ასეთი პარამეტრების თითქმის ყველა მისაღებ კომბინაციას და შეიძლება გამოყენებულ იქნას საერთო სახელმწიფო დანახარჯების გასაანგარიშებლად როგორც კახეთის რეგიონის, ასევე მთელი საქართველოსათვის. თავდაპირველად ჩვენ გთავაზობთ შემდეგ ვარიანტებს:

ვარიანტი 1 – (როგორც მოტივაციის ასევე კატასტროფული ხარჯების მოცვა)

ასაკობრივი ჯგუფი/პარამეტრი	მოტივაციის ზღვარი	თანადაზღვევა	კატასტროფული ზღვარი
0-15	20	25%	100
15-65	0	არ არსებობს	200
65+	20	50%	100

ვარიანტი 2 – მხოლოდ კატასტროფული ხარჯების მოცვა

ასაკობრივი ჯგუფი/პარამეტრი	მოტივაციის ზღვარი	თანადაზღვევა	კატასტროფული ზღვარი
0-15	0	არ არსებობს	100
15-65	0	არ არსებობს	200
65+	0	არ არსებობს	100

ცხრილი 22. სუბსიდირებული მედიკამენტების ზოგადი სქემის პარამეტრები

სუბსიდირებული მედიკამენტების ზოგადი სქემა იძლევა პაციენტის სოციალურ სტატუსისადმი შესაბამისი მოდიფიკაციის განხორციელების შესაძლებლობას. მოსახლეობის დაუცველი ჯგუფებისათვის მოტივაციის ზღვარი შეიძლება იყოს უფრო მაღალი, ხოლო კატასტროფული ზღვარი კი უფრო დაბალი, რაც იძლევა სახელმწიფო

დაფინანსების უფრო მიზნობრივი გამოყენების შესაძლებლობას იმ ადამიანების დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც გააჩნიათ ამის საჭიროება.

ადმინისტრაციის კომპონენტი

სერვისებს, რომლებსაც უზრუნველყოფს სახელმწიფო, ან სახელმწიფო ორგანიზაცია, განეკუთვნება:

- წვევამდელთა სამედიცინო შემოწმება.

ყველა სხვა სახის სამედიცინო შემოწმების გადასახადს, რომელიც განეკუთვნება პიროვნების კერძო ინტერესს, იხდის თავად პაციენტი.

6.2. საბაზისო პაკეტით სარგებლობის უფლებამოსილება

საქართველოს ყველა მუდმივ მაცხოვრებელს უფლება აქვს ისარგებლოს საბაზისო პაკეტით, რომლის აღწერილობაც მოცემულია 6.1 ქვეთავში.

6.3. საბაზისო პაკეტის უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები

პირველადი ჯანდაცვის უზრუნველყოფისას გამოიყენება შემდეგი საბაზისო პრინციპები:

- პჯდ უზრუნველყოფელის თავისუფალი არჩევა – ამ პრინციპის მიზანია პაციენტის როლის გაზრდა ჯანდაცვის სისტემაში და პჯდ უზრუნველყოფელებისათვის სამედიცინო მომსახურებისა და მათი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მოტივაციის შექმნა გაზრდა. მოქალაქეები რეგისტრირდებიან მათ მიერ შერჩეულ პჯდ უზრუნველყოფელთან. რეგისტრაცია უფლებას ანიჭებს მათ ისარგებლონ დადგენილი საბაზისო პაკეტის ყველა მომსახურებით. რეგისტრაციის შეცვლა შეიძლება სამ თვეში ერთხელ, თუკი არსებობს უზრუნველყოფელის შეცვლის მნიშვნელოვანი მიზეზი (მაგ. საცხოვრებელი ადგილის შეცვლა). იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე რეგისტრირებული არ არის უზრუნველყოფელთან, მაშინ მას მოუწევს ყველა გამოყენებული პჯდ სერვისის ღირებულების სრული ანაზღაურება სახელმწიფო სუბსიდირების გარეშე (პრევენციისა და იმუნიზაციის ჩათვლით) დადგენილი გარიფების მიხედვით. თავისუფალი არჩევანის პრინციპი არ მოქმედებს გარდამავალ პერიოდში.
- მეკარიბჭის ფუნქცია – ყველა პაციენტს აქვს უფლება სახელმწიფო სუბსიდიებით მიიღოს ე.წ. ელექტიური მომსახურება ჯანდაცვის მეორეულ და მესამეულ დონეებზე მხოლოდ იმ პჯდ უზრუნველყოფელის მიმართვის საფუძველზე, რომელთანაც იგი არის რეგისტრირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში პაციენტმა უნდა გადაიხადოს მომსახურების სრული ღირებულება სპეციალისტის ან საავადმყოფოს გარიფების მიხედვით სახელმწიფო სუბსიდირების გარეშე. ეს არ ეხება იმ შემთხვევებს, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას და სქესობრივი გზით გადაამდებ დაავადებებს.

7. აქლ ლაზინანსება

7.1. ჰჯდ პრაქტიკების ხარჯები

პროექტის გუნდის მიერ შემუშავებულ იქნა ხარჯების ყოვლისმომცველი მოდელი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის ჰჯდ დაწესებულებებს (საექთნო პუნქტი, სოლო ჰჯდ პრაქტიკა, ჯგუფური პრაქტიკა, რომელიც შედგება 2 ან 5 სამედიცინო გუნდისაგან, ბიოქიმიური ლაბორატორია), რომლებსაც გააჩნიათ განსხვავებული აღჭურვილობა (საგრანსპორტო საშუალებით ან მის გარეშე, კომპიუტერული ტექნიკით ან მის გარეშე).

მოდელი შეიცავს არაპერიოდულ ხარჯებს (ამორტიზაციას და არაამორტიზებულ ინვესტიციებს), პერიოდულ ხარჯებს (სარემონტო-საექსპლუატაციო ხარჯები, კომუნალური მომსახურების ხარჯები, დამხმარე სამსახურების ხარჯები, სამედიცინო და საოფისე მასალების, საკომუნიკაციო და საწვავის ხარჯები) და პერსონალის ხარჯებს (სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალის ხელფასები, სწავლების ხარჯები და პროფესიული ლიგერატურის შეძენის ხარჯები).

ხარჯების მოდელისათვის მონაცემები აღებულ იქნა ნორმატიული ბაზიდან და წინააღმდეგობაში მოდის არსებულ რეალობასთან. გაკეთდა რამოდენიმე საკვანძო დაშვება:

- სამედიცინო პერსონალის ხელფასი არსებულთან შედარებით გაიზარდა თვეში 250 ლარამდე ჰჯდ ექიმისათვის და 150 ლარამდე ექთნისათვის²⁸;
- საოფისე ფართის ღირებულება ჰჯდ პრაქტიკისათვის შეფასებულ იქნა 500 ლარად 1მ² ამორტიზაციის 20-წლიანი პერიოდით (თანახმად საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსისა). სოლო ჰჯდ პრაქტიკის წარმოებისათვის სათანადოდ მიჩნეულ იქნა 89მ² ფართი²⁹
- ზოგიერთ შემთხვევაში ამორტიზაციის პერიოდი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი აღჭურვილობის ფუნქციონირების ხანგრძლივობასთან.

ხარჯების მოდელის შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ ტარიფების გასაანგარიშებლად, რის საფუძველზეც მოხდება ჰჯდ პრაქტიკების ანაზღაურება, ხოლო მეორეს მხრივ საერთო სახელმწიფო დაფინანსების განსაზღვრისათვის, რომლის საფუძველზეც მოხდება ჰჯდ სისტემის სათანადო დაფინანსება. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდება ჰჯდ პრაქტიკების აღექვამურად დაფინანსება, ჩვენ ინფორმაცია გვექნება დაფინანსების დეფიციტის მოცულობის შესახებ. ახლა ჩვენ შეგვიძლია გადავწყვიტოთ, ვუმზუნველყოთ თუ არა სხვა წყაროებიდან თუ კვლავაც დავგოვოთ ჰჯდ პრაქტიკა არასაკმარისი დაფინანსების პირობებში. ამ უკანასკნელი შემთხვევისათვის ხარჯების მოდელი გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად შეიძლება კომპრომისის გაკეთება.

დანართი 3 წარმოგიდგენს პრაქტიკისა და ლაბორატორიის ყველა ტიპის სრულ მოდელს. ცხრილში შეჯამებულია ხარჯების მოდელის ძირითადი მაჩვენებლები იმ

²⁸ არსებულ ხელფასებთან შედარებით ასეთი 100%-ზე მეტი მაგებაც კი ვერ უმზუნველყოფს სამედიცინო პერსონალის სათანადო სოციალურ სტატუსს.

²⁹ რამდენადმე ნაკლებია საერთაშორისო სტანდარტზე, რომელიც შეადგენს დაახლოებით 110 მ²

ცალკეული სამედიცინო პრაქტიკისა, რომელიც ემსახურება საშუალო ასაკის 2000 მოსახლეს. ამ ტიპის პრაქტიკა გამოყენებული იქნება ანაზღაურების გარიფების განსაზღვრის ეტალონი.

სვეტებში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

- ერთეულის ფასი ერთი პრაქტიკისათვის ნიშნავს განსზღვრული პუნქტის წლიურ ხარჯს ლარებში
- კუმულაციური ხარჯები აჯამებს ერთეულის ხარჯებს ხარჯვის პუნქტების იერარქიის მიხედვით.
- ხარჯების პუნქტის შეფარდებითი წილი განსაზღვრავს მოცემული ხარჯების საერთო წილს
- ცვლადი ხარჯების წილი წარმოადგენს ერთეულის ხარჯის გაანგარიშებულ პროცენტულ წილს, რომელიც დამოკიდებულია მოცული მოსახლეობის რაოდენობაზე ან პრაქტიკის უგილიზაციაზე.
- ერთეულის ცვლადი ხარჯები წარმოადგენს ცვლადი ხარჯების წილისა და ერთეულის ხარჯების ნამრავლს.

ცხრილი 23. ხარჯების მოდელის შეჯამებული ფორმა

ხარჯის ტიპი	1 პრაქტიკის ხარჯები	ერთეულის კუმულაციური ხარჯები	ხარჯების ტიპების შეფარდებითი წილი	ცვლადი ხარჯების წილი	ცვლადი ხარჯები
სამედიცინო პერსონალის ხარჯები	5 400	5 400	28,6%	0%	0
არასამედიცინო პერსონალის ხარჯები	720	6 120	3,8%	0%	0
სხვა პერსონალის ხარჯები	510	6 630	2,7%	0%	0
სამედიცინო მარაგები პრაქტიკისათვის (გადაუღებელი წამლები და მასალები)	989	7 619	5,2%	80%	791
სამედიცინო მარაგები ლაბორატორიისათვის	242	7 861	1,3%	80%	193
სამედიცინო მარაგები იმუნიზაციისათვის	587	8 448	3,1%	100%	587
სამედიცინო მარაგები პრევენციული გასინჯვებისათვის	672	9 120	3,6%	100%	672
საოფისე მასალები	768	9 888	4,1%	40%	307
კომუნალური ხარჯები	1 326	11 213	7,0%	5%	66
კომუნიკაციის ხარჯები	479	11 692	2,5%	30%	144
საწვავის ხარჯები (გენერატორისათვის)	370	12 062	2,0%	0%	0
სერვისი	983	13 044	5,2%	20%	197
მოვლა-შენახვა (შენობის)	986	14 030	5,2%	5%	49
აღჭურვილობის ამორტიზაცია (პრაქტიკა)	2 170	16 200	11,5%	0%	0
აღჭურვილობის ამორტიზაცია (ლაბორატ.)	460	16 660	2,4%	0%	0
შენობის ამორტიზაცია (პრაქტიკა)	1 750	18 410	9,3%	0%	0
აღჭურვილობის ამორტიზაცია (ლაბორატ.)	470	18 880	2,5%	0%	0
საერთო ხარჯი	18 880				3 007

წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ ისეთი ცალკეული პრაქტიკის საერთო წლიური ხარჯები, რომელიც მომსახურებას უწევს 2000 მოსახლეს დადგენილი საბაზისო პაკეტის მიხედვით (პრევენციული მომსახურების ჩათვლით)

შეადგენს 18 475 ლარს³⁰, ხოლო აქედან 2 384 ლარი (12.9%) დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე და უტილიზაციაზე.

ცხრილში მოცემული ციფრების საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს, თუ რა ზეგავლენას ახდენს მოცული მოსახლეობის სხვადასხვა რაოდენობები ცალკეული პრაქტიკის საერთო ხარჯებზე და ერთ სულ მოსახლეზე დანახარჯების ოდენობაზე. იხ ცხრილი ქვემოთ..

მოცული მოსახლეობა	1000	1500	2000	2200	2500
საერთო ხარჯი ყოველ პრაქტიკაზე	17 377	18 129	18 880	19 181	19 632
ხარჯი ერთ სულზე	17.4	12.1	9.4	8.7	7.9

ცხრილი 24. დამოკიდებულება მოცული მოსახლეობის რაოდენობასა და ერთ სულ მოსახლეზე დანახარჯებს შორის

როგორც ცხრილიდან ჩანს, პრაქტიკის წლიური ხარჯი მნიშვნელოვნად არ იცვლება მოცული მოსახლეობის რაოდენობასთან ერთად, მაშინ როდესაც საკმაოდ თვალნათელია ცვლილებები ერთ სულ მოსახლეზე ხარჯებში, 17.3-დან 1000 მოსახლეზე 6.6-მდე 3000 მოსახლის მოცვის არეალში. ეს მხოლოდ ხაზს უსვამს ჰჯდ უზრუნველყოფილების დაბალანსებისა და ოპტიმიზაციის მნიშვნელობას.

წარმოდგენილი ცხრილი გაანგარიშებული იყო იმ დაშვების საფუძველზე, რომ სამედიცინო პერსონალის ხელფასები არ უნდა იყოს დამოკიდებული მოცული მოსახლეობის რაოდენობაზე. თუ ვივარაუდებთ, რომ ხელფასების მხოლოდ ნახევარი იქნება ფიქსირებული, ხოლო დანარჩენი დამოკიდებული იქნება მოცული მოსახლეობის რაოდენობაზე, მივიღებთ შემდეგ ცხრილს:³¹

მოცვის არეალი	1000	1500	2000	2200	2500
საერთო ხარჯი ყოველ პრაქტიკაზე	16 027	17 454	18 880	19 451	20 307
ხარჯი ერთ სულზე	16.0	11.6	9.4	8.8	8.1

ცხრილი 25. დამოკიდებულება მოცული მოსახლეობის რაოდენობასა და ერთ სულ მოსახლეზე დანახარჯებს შორის (მედპერსონალის ცვლადი ხელფასები)

ამავე დროს სოლო პრაქტიკის საერთო ხარჯებში ცვლადი ხარჯების წილი გაიზრდება 12.9%-დან 28.5%-მდე. თუმცა ასეთი დაშვება განაპირობებს პრობლემებს ისეთი ქვეყნებისათვის, როგორცაა საქართველო, სადაც ტერიტორიის უმეტესი ნაწილი უჭირავს სოფლისა და მთიან რეგიონებს. უმჯობესი იქნებოდა მოგვეზიდა ექიმები ასეთ რეგიონებში სამუშაოდ, ვიდრე შევთავაზოთ მათ დაბალი ხელფასები. მოსახლეობის რაოდენობა ასეთ რეგიონებში უფრო მცირეა ქალაქის დასახლებებთან შედარებით.

ხარჯების მოდელი ასევე გვიჩვენებს ერთი სამედიცინო გუნდის ხარჯების დამოკიდებულებას ჰჯდ დაწესებულებაში მოქმედი რამოდენიმე სამედიცინო გუნდის ხარჯებთან (იმ დაშვებით, რომ ყველა სამედიცინო გუნდი მუშაობს ერთ შენობაში).

³⁰ უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანხა მოიცავს ფართის ამორტიზაციასა და სარემონტო-საექსპლუატაციო ხარჯებს, ლაბორატორიისა და იმუნიზაციის მსაღებისა (ვაქცინები) და პრევენციული მომსახურების ხარჯების წილს. პრაქტიკის ხარჯები მოიცავს ასევე კომპიუტერული ტექნიკის ხარჯებსაც.

³¹ ნაგარაუდევია, რომ ნორმატიული ხელფასი დაენიშნება ისეთ პრაქტიკას, რომლებიც ემსახურებიან 2000 მოსახლეს. პრაქტიკებს, რომლებიც ემსახურებიან უფრო მეტ მოსახლეობას, დაენიშნებათ უფრო მაღალი ხელფასი და პირიქით.

პჯღ გუნდების რაოდენობა	1	2	5
საერთო ხარჯი ყოველ პრაქტიკაზე	18 880	34 589	86 459
ხარჯი ყოველ პჯღ გუნდზე	18 880	17 295	17 292

ცხრილი 26. თითოეული სამედიცინო გუნდის ხარჯების დამოკიდებულება პრაქტიკის სიდიდესთან

მომდევნო ქვეთავში ხარჯების მოდელის საფუძველზე მიღებული შედეგები გამოიყენება ანაზღაურების მექანიზმების საბაზისო პარამეტრების განსაზღვრისათვის.

7.2. პჯღ პრაქტიკის ანაზღაურება

პჯღ პრაქტიკის ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს ჯანდაცვის პოლიტიკის ამოცანებსა და პჯღ უზრუნველყოფელების იურიდიულ სტატუსს; მან უნდა შექმნას სათანადო მოტივაცია მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის, შეასაბამისი მოცულობისა და სტრუქტურის მომსახურების მიწოდებისა და მწირი რესურსების ეფექტიანად გამოყენებისათვის. ანაზღაურების მექანიზმები ადმინისტრირებისა და კონტროლის თვალსაზრისით მარტივი უნდა იყოს.

სამწუხაროდ, ასეთი ერთიანი მექანიზმი არ არსებობს და ხშირად საჭირო ხდება ანაზღაურების ორი ან მეტი მექანიზმის კომბინირება და/ან მათი შევსება სხვა მაკონტროლებელი პროცედურებით. ამ მიზეზით ჩვენ ვთავაზობთ საბიუჯეტო დაფინანსებისა და კაპიტაციური პრინციპით ანაზღაურების კომბინირებულ ფორმას. კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ ხარჯების რა ნაწილის დაფინანსება მოხდება ბიუჯეტიდან და რა ნაწილი დაფინანსდება კაპიტაციური პრინციპით. საზოგადოდ შენაგანის ფაქტორებზე დაფუძნებული საბიუჯეტო დაფინანსება უფრო უკეთ ესადაგება რეალურ ხარჯებში ცალკეულ ცვლილებებს, ხარჯებთან დაკავშირებით უფრო ადვილად კონტროლირებადია, მაგრამ არ შეიცავს მოტივაციას დანაზღაურების გასაკეთებლად და სამუშაოს უკეთ შესასრულებლად. მეორეს მხრივ კაპიტაციას გააჩნია მოტივაცია სამედიცინო დახმარების ხარისხის სისტემატური გაუმჯობესებისათვის (მაგრამ მხოლოდ სარეგისტრაციო გადასახადის შემოღებასთან ერთად), იგი ნაკლებად მგრძობიარეა რეალურ ფასებში ცვლილებებისადმი და ქმნის მეორეულ და მესამეულ დონეებზე მიმართვების მაჩვენებლის გაზრდის მოტივაციას. მესამე მექანიზმი, რომელიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნას პრევენციული საქმიანობის ანაზღაურებაში³², ქმნის მომსახურების მაქსიმალურად გაზრდის მოტივაციას, რაც განაპირობებს შემომარაგებასა და სახელმწიფო ფონდების ამოწურვის საშიშროებას.³³

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია საბიუჯეტო და კაპიტაციური დაფინანსების შერეული ფორმის ხუთი სხვადასხვა ვარიანტი, რომელთა განხილვაც ქვემოთ იქნება მოცემული. კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო ამ ხუთი ვარიანტის შემუშავებას მდგომარეობდა იმაში, რომ ხარჯების ის პუნქტები, რომლებიც უფრო ხშირად იცვლება მოსახლეობის რაოდენობასთან ერთად, უნდა დაიფაროს კაპიტაციური დაფინანსებით, მაშინ როდესაც ფიქსირებული ხარჯების დაფარვა უნდა მოხდეს ბიუჯეტიდან.

³² იხ. ნემეცი, კაროსანიძე – რეკომენდაციები საქართველოში პჯღ სისტემის რეფორმისათვის თბილისი 2005

³³ ეს საფრთხე არ ემუქრება პრევენციულ სამედიცინო მომსახურებას, რადგანაც ჩვეულებრივ პრევენციული მომსახურების სიხშირე კარგად არის განსაზღვრული.

ხარჯის ტიპი	1	2	3	4	5
სამედიცინო პერსონალის ხარჯები	b	c/b	c	c	b
არასამედიცინო პერსონალის ხარჯები	b	c	c	c	b
სხვა პერსონალის ხარჯები	b	c	c	c	b
სამედიცინო მარაგები პრაქტიკისათვის (გადაუღებელი წამლები და მასალები)	c	c	c	c	b
სამედიცინო მარაგები ლაბორატორიისათვის	c	c	c	c	b
სამედიცინო მარაგები იმუნიზაციისათვის	c	c	c	c	b
სამედიცინო მარაგები პრევენციული გასინჯვებისათვის	c	c	c	c	b
საოფისე მასალები	c	c	c	c	b
კომუნალური ხარჯები	b	c	c	c	b
კომუნიკაციის ხარჯები	b	c	c	c	b
საწვავის ხარჯები (გენერატორისათვის)	b	c	c	c	b
სერვისი	b	c	c	c	b
მოვლა-შენახვა (შენობის)	b	c	c	c	b
აღჭურვილობის ამორტიზაცია (პრაქტიკა)	b	b	b	c	b
აღჭურვილობის ამორტიზაცია (ლაბორატ.)	b	b	b	c	b
შენობის ამორტიზაცია (პრაქტიკა)	b	b	b	c	b
აღჭურვილობის ამორტიზაცია (ლაბორატ.)	b	b	b	c	b

ცხრილი 27. საბიუჯეტო და კაპიტალური დაფინანსების შერეული ფორმების ვარიანტები (b – ბიუჯეტი, c – კაპიტაცია, k – უფასოდ მიწოდება)

ვარიანტები, რომლებშიც გათვალისწინებულია პერსონალის ხარჯების დაფარვა ბიუჯეტიდან გულისხმობს იმას, რომ ხელფასები რჩება იგივე, მიუხედავად მოცული მოსახლეობის რაოდენობისა³⁴. მეორე ვარიანტი უშვებს, რომ ხელფასის მხოლოდ ნახევარია ფიქსირებული, ხოლო დანარჩენი დამოკიდებულია ექიმთან რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობაზე. ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს სამედიცინო პერსონალზე ხარჯების დაფარვას კაპიტალური პრინციპით, არ იძლევა სამედიცინო პერსონალისათვის ფიქსირებული შემოსავლის გარანტიას. ბაზარზე ყველაზე მეტად ორიენტირებულია მეოთხე ვარიანტი, რომელიც გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როდესაც გვაქვს კერძო სამედიცინო დაწესებულებების ქსელი პაციენტების თავისუფალი მიმავლების პრინციპით. მეხუთე ვარიანტი სრულიად განსხვავებულია და გულისხმობს სრულ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ პჯდ დაწესებულებას.

ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს, თუ როგორი უნდა იყოს საბიუჯეტო წილი თითოეული ვარიანტისათვის ცალკეულ პრაქტიკაში მოსახლეობის სხვადასხვა რაოდენობის მოცავით (1000, 1500, 2200 და 2500).

³⁴ რაც ყოველთვიურად შეადგენს 250 ლარს ექიმებისათვის და 125 ლარს ექთნებისათვის

ვარიანტი/მოცული მოსახლეობა	1000	1500	2000	2200	2500
1	15 395	15 509	15 623	15 668	15 737
2	7 550	7 550	7 550	7 550	7 550
3	4 850	4 850	4 850	4 850	4 850
4	0	0	0	0	0
5	17 377	18 129	18 880	19 181	19 632

ცხრილი 28. ცალკეული პრაქტიკის წლიური ბიუჯეტი (ლარებში)

უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელი არ არის დაწესებულებას სრული თანხა მხოლოდ ფულადი სახსრების სახით მიეცეს. ზოგიერთი პუნქტი საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტმა დაწესებულებას შეიძლება მიაწოდოს მაგალითად ვაქცინების სახით. ყველა ვარიანტში, გარდა მეოთხე ვარიანტისა, შეგანილია შენობების ამორტიზაციის პუნქტი. დაწესებულებებს, რომლებიც არ არიან შენობების მფლობელები (იგი სახელმწიფო საკუთრებაა), არ მიეცემათ ბიუჯეტიდან თანხა ხარჯების ამ პუნქტისათვის და ნაცვლად ამისა სახელმწიფო თავის თავზე აიღებს ამორტიზაციის ხარჯებს.

კაპიტაციური გადახდა წარმოადგენს საბიუჯეტო ნაწილის შემავსებელ კომპონენტს. გამონაკლისს წარმოადგენს ვარიანტი 5 ითვალისწინებს მხოლოდ საბიუჯეტო დაფინანსებას. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ როგორი უნდა იყოს კაპიტაციური დაფინანსების წილი იმისათვის, რომ თანაბრად დაიფაროს ის ხარჯები, რომლებიც ამ ხუთივე ვარიანტში არ იქნება ბიუჯეტით მოცული. გავიხსენოთ, რომ სამედიცინო პერსონალისათვის ნორმატიული შემოსავალი გარანტირებულია მხოლოდ ვარიანტებით 1 და 5, ხოლო ვარიანტი 3-ით მხოლოდ 2000 მოსახლის მოცვის შემთხვევაში. ვარიანტი 2 იძლევა მხოლოდ სამედიცინო ხელფასების ნახევარის დაფარვის გარანტიას იმ შემთხვევაში, თუ მოცული მოსახლეობის რაოდენობა განსხვავდება 2000-ისაგან.

ვარიანტი/მოცული მოსახლეობა	1000	1500	2000	2200	2500
1	2.0	1.7	1.6	1.6	1.6
2	8.5	6.6	5.7	5.4	5.1
3	9.8	8.0	7.0	6.8	6.5
4	14.7	11.2	9.4	9.0	8.4
5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ცხრილი 29. ცალკეული პრაქტიკის წლიური კაპიტაციური კოეფიციენტი (ლარებში)

როგორც კაპიტაციური, ასევე საბიუჯეტო დაფინანსება არ იძლევა იმის მყარ მოტივაციას, რომ უზრუნველყოფილ იქნას ზოგიერთი სერვისები, მაგ. პრევენციული მომსახურება, რაც ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს. არსებობს ამ მოტივაციის გაძლიერების ორი ვარიანტი. შესაძლებელია ამ სერვისების ანაზღაურება მომხდეს მომსახურებაზე გადასახადის მექანიზმით. პრევენციული მომსახურების სიხშირე ყოველთვის ბუსტაღაა გაწერილი, ამდენად ანაზღაურების ამ პრინციპის ძირითადი ნაკლი, მომსახურების გადაჭარბებით მიწოდება, გამოირიცხულია. თითოეული პრევენციული მომსახურების ანაზღაურება ხდება უშუალოდ დახარჯული მასალების ხარჯების საფუძველზე (მაგ. საიმუნობაციო ვაქცინა), სამედიცინო პერსონალის მიერ მომსახურების გაწევაზე დახარჯული დროისა და ყოველ წუთზე ბედნადები და პერსონალის ხარჯების ინდექსის მიხედვით

(იხ. დანართი 3 და 4, სადაც დეტალურადაა წარმოდგენილი იმუნიზაციისა და სხვა პრევენციული მომსახურების ხარჯები). გაანგარიშებულია, რომ ცალკეული პრაქტიკის წლიური შემოსავალი იმუნიზაციისა და პრევენციული მომსახურებიდან საშუალოდ უნდა შეადგენდეს 3400 ლარს. თუ პრევენციული მომსახურების ასანამდლურებლად გამოყენებულ იქნება მომსახურებაზე გადასახადის პრინციპი, მაშინ კაპიტაცია (ან ბიუჯეტი) უნდა შემცირდეს დაახლოებით ერთ სულზე 1.7 ლარით წელიწადში, რისი შევსებაც მოხდება პრევენციული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლიდან.

გარდამავალი პერიოდისათვის ჩვენ რეკომენდაციას ვუწვევთ მეორე ვარიანტს. იგი გულისხმობს პჯდ დაწესებულების მიერ მიწოდებული პრევენციული მომსახურების რაოდენობის მონიტორინგს. თუ ასეთი სერვისების რაოდენობა ვერ აღწევს წინასწარ განსაზღვრულ ზღვრულ დონეს (მაგ. რაოდენობის 95%, რაც შეესაბამება მოცული მოსახლეობის რაოდენობასა და სტრუქტურას), ამ შემთხვევაში სახელმწიფო შემსყიდველი უმცირეს დაწესებულებას ანამდლურებას.

კაპიტაციურ მეთოდს როგორც წესი თან ახლავს გარკვეული რისკის დაბალანსების ფაქტორები. ზოგადად რომ ითქვას, რისკების დაბალანსება კაპიტაციის ფორმულისათვის გამოიყენება იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ რეგისტრირებული მოსახლეობის ნეგატიური არჩევანი (თავისუფალი არჩევანის შემთხვევაში), რაც შეიძლება განახორციელონ პჯდ უზრუნველმყოფელებმა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ პირობებში, როდესაც მოქალაქეები თვითონ ირჩევენ პჯდ დაწესებულებას. რისკების დაბალანსების მეორე მიზანია პჯდ უზრუნველმყოფელების სამართლიანად ანამდლურება, რომელიც დაეფუძნება რეალურად გაწეულ ხარჯებს, რამდენადაც სხვადასხვა ჯგუფებისათვის უგილიზაციის მაჩვენებელი განსხვავდება ერთმანეთისაგან და მათი პროგნოზირება შესაძლებელია. თუ არ მოქმედებს პჯდ უზრუნველმყოფელის თავისუფალი არჩევის და საბაზისო პაკეტის ფარგლებში თანაგადახდის პრინციპი, მაშინ გამოიყენება რისკის დაბალანსების ასაკობრივი ფაქტორი. ოფიციალური თანაგადახდის არსებობის პირობებში უნდა მოხდეს კაპიტაციური ანამდლურების დაბალანსება სოციალურ გარემოებებზე ორიენტაციით, ხოლო თავისუფალი არჩევანის პირობებში აუცილებელი გახდება დაბალანსების გლობალური პრინციპის გამოყენება რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით³⁵.

ასაკის მიხედვით დაბალანსება ხდება ყოველი ასაკობრივი ჯგუფისათვის ვიზიტების მოსალოდნელი რაოდენობის მიხედვით (იხ. დანართი 6). თუ პრევენციული მომსახურების ანამდლურება მოხდება კაპიტაციური პრინციპით, ჩვენი წინადადებაა გამოიყენებულ იქნას ხუთ ასაკობრივ ჯგუფად დაყოფის პრინციპი. ბავშვების სამ ასაკობრივ ჯგუფად დაყოფის არგუმენტად გამოდგება ის ფაქტი, რომ ისინი პრევენციული მომსახურების მთელი მოცულობის საკმაოდ დიდ ნაწილს მოიცავენ, რაც პჯდ სერვისების უგილიზაციის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

ასაკობრივი ჯგუფი	0-1	1-3	3-15	15+
ინდექსი (ასაკის მიხედვით)	3.3	2.1	1.2	1.

ცხრილი 30. დაბალანსების ასაკობრივი ფაქტორები კაპიტაციის დროს³⁶

³⁵ იხ. ნემეცი, ქაროსანიძე – საქართველოში პჯდ რეფორმის რეკომენდაციები, GVG, თბილისი 2005

³⁶ ინდექსი მოზრ ილთათვის 65+ ძალზე დაბალია, ის უნდა იყოს დაახლოებით 2.5. კაპიტაცია ეყრდნობა სდესფ-ის 2003 წლის მონაცემებს, რომელიც უფროსი ასაკისათვის გამოყენების დაბალ დონეს უჩვენებს

7.3. ლაბორატორიების ანაზღაურება

ლაბორატორიების სერვისების ანაზღაურების უმარტივესი გზაა მათი შეგანა პჯდ პრაქტიკის კაპიტაციის კოეფიციენტში, რაც ფაქტიურად მოცემულია 7.2-ში. იმ შემთხვევაში, თუ ლაბორატორია წარმოადგენს პჯდ მიმწოდებლის ორგანიზაციული სტრუქტურის შემადგენელ ნაწილს, ყველა ლაბ. მიმართვები და შესაბამისი საინფორმაციო და ფინანსური საკითხები წყდება პრაქტიკის მიგნით. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ დაინერგოს ასეთი პრინციპი ყველგან, სადაც ამის საშუალება არსებობს. იმ შემთხვევაში, თუ პჯდ პრაქტიკას უხდება ლაბორატორიული პაციენტების მიმართვა დაწესებულების გარეთ არსებულ ლაბორატორიებში, ფინანსური საკითხები შეიძლება გადაიჭრას მომსახურებაზე გადასახადის პრინციპით, როდესაც ლაბორატორიის ანაზღაურება მოხდება დანართი 5-ში აღწერილი მექანიზმების მიხედვით, ან კაპიტაციური ანაზღაურებით, თუ მოცული მოსახლეობა შეიძლება ნათლად განისაზღვროს.

7.4. აუთიაქების მომსახურების ანაზღაურება

საკითხი მდგომარეობს შემდეგში – რა ფასების მიხედვით მოხდება აუთიაქების ანაზღაურება სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული წამლებისათვის. ეს ასევე დამოკიდებულია წამლების სუბსიდირების მასშტაბებზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მცირე რაოდენობის წამლების სუბსიდირება, მაშინ უნდა მიღებულ იქნას ადმინისტრირებაზე ორიენტირებული მიდგომა. არსებობს რამოდენიმე ვარიანტი:

- წამლის ფასის განსაზღვრა ბაზრის მიერ

ეს ყველაზე მარტივი ვარიანტია. ამ შემთხვევაში მთავრობა და სახელმწიფო შემსყიდველი კარგავენ კონტროლს იმ წამლის ფასებზე, რომელთა დაფარვაც (ნაწილობრივ მაინც) მოხდება სახელმწიფო ხარჯებით. მაგალითად შეიძლება გამოდგეს ამერიკული პროგრამა Medicaid³⁷.

- წამლის ფასის განსაზღვრა სახელმწიფოს მიერ

ფიქსირებულ ფასებს ესენციალურ წამლებზე განსაზღვრავს სახელმწიფო ან აკრედიტირებული სააგენტო. შეიძლება გამოყენებულ იქნას რამოდენიმე სახის მიდგომა:

- წამლის ფასი განისაზღვრება როგორც რომელიმე მეზობელ ქვეყანაში (მაგ. სლოვენია)³⁸ მსგავსი წამლის საშუალო ფასის ფიქსირებული პროცენტი (მაგ. 85%)
- წამლის ფასი განისაზღვრება ჩვეულებრივი საგნდერო პროცესით.³⁹ სახელმწიფო შემსყიდველს შეუძლია უშუალოდ შეიძინოს წამლები (მაკედონია), ან ისარგებლოს საბითუმო ბაზების მომსახურებით

³⁷ მარტა ანა ჰოლგი, რეცეპტით გასაცემი წამლების ფასების შენარჩუნების სტრატეგია და წინადადებები აშშ რეფორმისათვის

³⁸ იური ფუერსტი – მედიკამენტებზე ფასთწარმოქმნა და ანაზღაურება

- წამლის ფასი განისაზღვრება სპეციალური კომისიის მიერ, რომელიც ემორჩილება წინასწარ განსაზღვრულ წესებს (საფრანგეთი)⁴⁰
- ფასი განისაზღვრება მთავრობასა და ფარმაცევტული ნაწარმით მოვაჭრეებს შორის დადებული ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე (დიდი ბრიტანეთი).

- წამლის ფასების განსაზღვრა სარეკომენდაციო ფასების საფუძველზე.

სახელმწიფო არ განსაზღვრავს წამლის ფასებს. თუმცა, იგი აღგენს სარეკომენდაციო ფასებს სუბსიდირებული მედიკამენტებისათვის და ამდენად განსაზღვრავს იმ მაქსიმალურ ფასს, რომელსაც სახელმწიფო შემსყიდველი გადაიხდის შერჩეული ჯგუფის მედიკამენტებისათვის. სარეკომენდაციო ფასები ღვინდება ცალკეულ გენერიკულ კატეგორიებზე და ნაწარმზე, რომლებიც მსგავსია – მაგრამ არა გენერიკულად იდენტური – და ასევე იმ ნაწარმზე, რომლებსაც მსგავსი თერაპიული ეფექტი გააჩნიათ. სარეკომენდაციო ფასი როგორც წესი ოდნავ მაღალია იგივე ჯგუფის წამლის მინიმალურ ფასთან შედარებით, რაც უზრუნველყოფს სიახლეების დანერგვას, წამლების სათანადო მარაგის შექმნას და ეფექტური კონკურენტული ფასის დადგენას. სარეკომენდაციო ფასები შეიძლება დაიყოს ორ ქვეჯგუფად, რომლებიც ასახავენ პროდუქტის როგორც სხვადასხვა ღირებულებას, ისე მათი მიწოდების სხვადასხვა საშუალებებს. პაციენტებს მოეთხოვებათ სხვაობის დაფარვა იმ დანიშნულ წამლებზე, რომელთა ფასიც აღემატება სარეკომენდაციო ფასს. ასეთი მაგალითები არსებობს გერმანიაში⁴¹, ჩეხეთში და ნიდერლანდებში⁴²

7.5. მომსახურების იმ სახეების ანაზღაურება, რომლებიც არ არის შეგანილი საბაზისო პაკეტი

ასეთი მომსახურების ანაზღაურება ხდება პაციენტის მიერ საკუთარი ჯიბიდან. ეს შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხასიათის მომსახურება, მაგ. ცნობა მართვის მოწმობის ასაღებად, ცნობა იარაღის შესაძენად, სიცოცხლის დაზღვევა და ა.შ. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ფასები ყოველ ასეთ მომსახურებაზე განისაზღვროს ერთიანი ნუსხის მიხედვით, რომელიც აუცილებლად გამოკრული იყოს მოსაცდელში. ფასთწარმოქმნა მოხდება შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

ფასი=მომსახურების საშუალო ხანგრძლივობა * პერსონალის და გედნაღები ხარჯების ინდექსი + პირდაპირი ხარჯები

საშუალო ხანგრძლივობა ნიშნავს მომსახურების გაწვევისათვის საჭირო საშუალო ხანგრძლივობას, გედნაღები ინდექსი წარმოადგენს პჯდ პრაქტიკის

³⁹ ასევე ხდება ამჟამად საქართველოში. SUSIF-ი განსაზღვრავს წამლის ფასს, რომელს იმპორტიც ხორციელდება ტენდერის მეშვეობით სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში

⁴⁰ მარტა ანა ჰოლგი, რეცეპტით გასაცემი წამლების ფასების შენარჩუნების სტრატეგია და წინადადებები რეფორმისათვის აშშ-ში

⁴¹ მიჰალ პროკესი – ჩეხეთის რესპუბლიკა - მედიკამენტებზე ფასთწარმოქმნა და ანაზღაურება

⁴² განისა კარინო – გამჭვირვალობისაკენ სწრაფვა. პოლანდიის წამლის ანაზღაურების სისტემა

საშუალო ხარჯის პროპორციულ წილს დროის ყოველ მოცემულ ერთეულზე (წუთი, საათი), ხოლო პირდაპირი ხარჯები - მომსახურებაზე დახარჯული სამედიცინო მარაგების (მასალები ან წამლები) საშუალო ხარჯია.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ტარიფების ნიმუშებს, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ხანგრძლივობის მომსახურებისათვის. ტარიფი ეფუძნება პერსონალის და ზედნაღები ხარჯების ინდექსს, და პირდაპირი ხარჯების საშუალო მაჩვენებელს.

ვიზიტის/მომსახურების საშუალო ხარჯი	მომსახურების ხანგრძლივობა	პერსონალის ხარჯი 1 წუთზე	ზედნაღები ხარჯები 1 წუთზე	სამედიცინო მასალების საშუალო ხარჯი	საერთო ხარჯი (ლარი)
მომსახურება (15 წუთი)	15	0,117	0,111	0,989	4,4
მომსახურება (30 წუთი)	30	0,117	0,111	0,989	7,8

ცხრილი 31. ტარიფები უშუალო გადახდით მიღებული მომსახურებისათვის

ტარიფები იმ მომსახურებისათვის, რომელთა დაფარვაც უნდა მოხდეს პაციენტის მიერ, უნდა თვალსაჩინო უნდა იყოს მოქალაქეებისათვის/პაციენტებისათვის და დამტკიცებული უნდა იყოს დაწესებულების მენეჯერის მიერ მაინც. კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად უნდა მონაწილეობდნენ ამ ტარიფების დამტკიცებაში სახელმწიფო ორგანოები (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან მუნიციპალიტეტი). ეს ეხება მხოლოდ სახელმწიფო პჯდ დაწესებულებას, რომელიც ფუნქციონირებს სახელმწიფო შემსყიდველის საკონტრაქტო ქსელის ფარგლებში.

8. პჯდ ღაფინანსება სასლმწიფო ბიუჯეტით

8.1. ბიუჯეტი “რეფორმირებული” პჯდ მიმწოდებლებისათვის

დოკუმენტის წინა პარაგრაფში მოცემული იყო კახეთის რეგიონის რეფორმირებული პჯდ დაწესებულებების სახელმწიფო დანახარჯების დაგეგმვისათვის საჭირო ყველა მონაცემი.

დაგეგმვისათვის საჭირო უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას წარმოადგენს კახეთის რეგიონში რეფორმირებული პჯდ ქსელის სრული აღწერა. იხ. ცხრილი

	მოცული მოსახლეობა 1000	მოცული მოსახლეობა 1500	მოცული მოსახლეობა 2000	მოცული მოსახლეობა 2200
გუნდების რაოდენობა	35	159	70	0
მოცული მოსახლეობა	33 828	242 803	135 712	0
დაწესებულებების რაოდენობა	8	41	8	0

ცხრილი 32. რეფორმირებული პჯდ დაწესებულებების სტრუქტურა ჯანდაცვის პოლიტიკის განყოფილების წინადადებების მიხედვით (ვარიანტი 1)

გუნდების რაოდენობა 1 დაწესებულებაში	დაწესებულებების რაოდენობა	გუნდების რაოდენობა
1	11	7
2-3	10	26
4-5	15	64
>5	21	167

ცხრილი 33. რეფორმირებული პჯდ დაწესებულებების სტრუქტურა მათი სიდიდის მიხედვით

თუ ჩვენ ცხრილში 32 მოცემული სამედიცინო გუნდების რაოდენობის მიმართ გამოვიყენებთ პუნქტში 7.2. გაანგარიშებულ ბიუჯეტისა და კაპიტაციური დაფინანსების მაჩვენებელს, მივიღებთ რეფორმირებული პჯდ ქსელის წლიური ანაზღაურებისათვის საჭირო დაფინანსების საერთო რაოდენობას ანაზღაურების ვარიანტების მიხედვით.

ვარიანტი	ანამლაურების ტიპი	თანხა გუნდისათვის 1000 მოსახლეზე	თანხა გუნდისათვის 1500 მოსახლეზე	თანხა გუნდისათვის 2000 მოსახლეზე	თანხა გუნდისათვის 22000 მოსახლეზე	საერთო რაოდენობა	თანხა ერთი მოქალაქის მომსახურებაზე
1	საბიუჯეტო ნაწილი	538,817	2,465,885	1,093,585	0	4,810,508	11.7
	კაპიტაციური ნაწილი	67,059	424,104	221,058	0		
2	საბიუჯეტო ნაწილი	264,257	1,200,483	528,515	0	4,651,908	11.3
	კაპიტაციური ნაწილი	286,757	1,603,074	768,822	0		
3	საბიუჯეტო ნაწილი	169,757	771,183	339,515	0	4,495,771	10.9
	კაპიტაციური ნაწილი	332,425	1,930,858	952,033	0		
4	საბიუჯეტო ნაწილი	0	0	0	0	4,493,602	10.9
	კაპიტაციური ნაწილი	496,497	2,715,956	1,281,149	0		
5	საბიუჯეტო ნაწილი	608,199	2,882,473	1,321,628	0	4,812,300	11.7
	კაპიტაციური ნაწილი	0	0	0	0		

ცხრილი 34. პჯდ ქსელის დაფინანსების საერთო რაოდენობა კახეთის რეგიონისათვის ჯანდაცვის პოლიტიკის განყოფილების წინადადებების მიხედვით

ცხრილიდან ჩანს, რომ ანამლაურების სხვადასხვა ვარიანტები იძლევა უმნიშვნელო განსხვავებებს საერთო რაოდენობაში (განსხვავება დაახლოებით 8%-ს შეადგენს). ბუნებრივია, რომ ვარიანტი 4 – (სრული კაპიტაცია), რომელიც არ იძლევა ნორმატიული ხელფასის გარანტიას, განაპირობებს ყველაზე დაბალ თანხას, რადგანაც მოცული მოსახლეობის საშუალო რაოდენობა კახეთის რეფორმირებულ პჯდ ქსელში ნორმატიულ 2000 მოსახლეზე ნაკლებია. ფაქტიურად მათი რიცხვი შეადგენს 1562-ს (264 პჯდ გუნდი მომსახურებას უწევს 412.000 მოსახლეს).

თუ ჩვენ იგივე პროცედურას გამოვიყენებთ სრულად ოპტიმიზირებული ქსელისათვის, მივიღებთ შემდეგ შედეგებს:

ვარიანტი	ანამლაურების ტიპი	თანხა გუნდისათვის 2000 მოსახლეზე	საერთო რაოდენობა	თანხა ერთი მოქალაქის მომსახურებაზე
1	საბიუჯეტო ნაწილი	3,312,002	3,983,658	9.7
	კაპიტაციური ნაწილი	671,656		
2	საბიუჯეტო ნაწილი	1,600,645	3,936,608	9.5
	კაპიტაციური ნაწილი	2,335,963		
3	საბიუჯეტო ნაწილი	1,028,245	3,920,871	9.5
	კაპიტაციური ნაწილი	2,892,626		
4	საბიუჯეტო ნაწილი	0	3,892,601	9.4
	კაპიტაციური ნაწილი	3,892,601		
5	საბიუჯეტო ნაწილი	4,002,646	4,002,646	9.7
	კაპიტაციური ნაწილი	0		

ცხრილი 35. პჯდ ქსელის დაფინანსების საერთო რაოდენობა კახეთის რეგიონისათვის (სრულად ოპტიმიზირებული)

როგორც ვხედავთ, სრულად ოპტიმიზირებული ქსელის შემთხვევაში განსხვავებები ანამლაურების ვარიანტებს შორის კატეგორიულად დაყოფილი პჯდ დაწესებულებების ქსელთან შედარებით კიდევ უფრო მცირეა და ჩვეულებრივ წლიურად 800.000 ლარით ნაკლებია (ანუ 2 ლარით ნაკლებია ერთ სულ მოსახლეზე).

ფაქტიურად ეს ზუსტად ის თანხაა, რომელიც გადახდილი უნდა იყოს ქსელის მხოლოდ ნაწილობრივი ოპტიმიზაციისათვის.

იგივე პროცედურა გამოიყენება უკიდურესად ოპტიმიზირებული ქსელისათვის (146.5 სამედიცინო გუნდი 57 ჰჯდ დაწესებულებაში, მოსახლეობის მოცვა ზოგადად შეადგენს 3000 მოსახლეს) და მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 36.

ვარიანტი	ანაზღაურების გიპი	თანხა გუნდისათვის 2000 მოსახლეზე	საერთო რაოდენობა	თანხა ერთი მოქალაქის მომსახურებაზე
1	საბიუჯეტო ნაწილი	2 322 102	2 945 175	7,1
	კაპიტაციური ნაწილი	623 074		
2	საბიუჯეტო ნაწილი	1 106 106	2 870 038	7,0
	კაპიტაციური ნაწილი	1 763 932		
3	საბიუჯეტო ნაწილი	710 556	2 845 597	6,9
	კაპიტაციური ნაწილი	2 135 041		
4	საბიუჯეტო ნაწილი	0	2 801 691	6,8
	კაპიტაციური ნაწილი	2 801 691		
5	საბიუჯეტო ნაწილი	2 986 211	2 986 211	7,2
	კაპიტაციური ნაწილი	0		

ცხრილი 36. ჰჯდ ქსელის დაფინანსების საერთო რაოდენობა კახეთის რეგიონისათვის (სრულად ოპტიმიზირებული)

ჩვენ ვხედავთ, რომ სრულ ოპტიმიზაციასთან შედარებით უკიდურეს ოპტიმიზაციას შეუძლია წლიურად მოიგანოს კიდევ 800.000-1000.000 ლარი.

ახლად აღდგენილი ჰჯდ დაწესებულებები ფუნქციონირებას დაიწყებენ ეტაპობრივად. 15 ობიექტი მზად უნდა იყოს 2006 წლის აპრილისათვის (იხ. დანართი 1) და დარჩენილი 34 დაწესებულება განახლებული უნდა იყოს 2007 წლის იანვრისათვის. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ახალი სისტემის ფუნქციონირების ხავერდოვანი დაწყებისათვის საჭირო სახელმწიფო დაფინანსების რაოდენობას, ძველი სისტემის დაფინანსების გათვალისწინებით. აღნიშნულმა თხუთმეგმა ახალმა ობიექტმა არსებული სახელმწიფო დაფინანსების გარდა შეიძლება მოითხოვოს დამატებით დაფინანსების ქვემოთ მოცემული ოდენობა 2006 წლის სამი კვარტალისათვის:

	ამორტიზაციით	ამორტიზაციის გარეშე
HPU-ს ვარიანტი	529 408	329 337
სრულად ოპტიმიზირებული	346 522	215 566
უაღრესად ოპტიმიზირებული	269 517	167 662

ცხრილი 37. დამატებითი დაფინანსება 15 ახლად გარემონტებული ჰჯდ დაწესებულებებისათვის 2006 წელს

იმ შემთხვევაში თუ დამატებით 15 დაწესებულება დაიწყებს ფუნქციონირებას 2006 წლის 1 ივლისიდან, დაფინანსება (ამორტიზაციის გარეშე) გაიზრდება შესაბამისად 220 000, 140 000 და 110 000 ლარით.

მედიკამენტების კომპონენტი

ჩვენ გამოვყავით მედიკამენტებით სარგებლობის ორი ვარიანტი – პირველი მოიცავდა როგორც მოგივაციის, ასევე კატასტროფულ კომპონენტს, ხოლო მეორე მხოლოდ კატასტროფულ კომპონენტს. დანართი 8 წარმოგვიდგენს შემდეგ გაანგარიშებებს სუბსიდირებული მედიკამენტების ზოგადი მოდელის სპეციფიკური პარამეტრებისათვის.

ვარიანტი 1	კახეთი	საქართველო
ბავშვები 15 წლამდე	540 000	5 458 000
15-65 ასაკის მოზრდილები	945 000	10 275 000
65+ ასაკის	2 031 000	16 140 000
სულ	3 516 000	31 873 000

ცხრილი 38. მედიკამენტების სუბსიდირების სქემის ხარჯები – ვარიანტი 1

ვარიანტი 2	კახეთი	საქართველო
ბავშვები 15 წლამდე	83 000	878 000
15-65 ასაკის მოზრდილები	945 000	10 275 000
65+ ასაკის	1 144 000	11 234 000
სულ	2 172 000	22 387 000

ცხრილი 39. მედიკამენტების სუბსიდირების სქემის ხარჯები – ვარიანტი 2

შეჯამება:

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში მოცემულია რეფორმირებული პჯდ სისტემის ოპტიმიზაციის სამი ვარიანტისათვის როგორც კახეთის რეგიონისათვის, ისე მთელი ქვეყნისათვის⁴³ იმის გათვალისწინებით, რომ პჯდ დაწესებულებების პროფილი მთელს ქვეყანაში იგივე ქნება. გაანგარიშებულია ორივე სახის, ამორტიზაციით და მის გარეშე⁴⁴, ხარჯები, ისევე როგორც საერთო ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე.

	პჯდ პრაქტიკის საერთო ხარჯი ლაბ. ჩათვლით			პჯდ პრაქტიკის საერთო ხარჯი ლაბორატორიით ამორტიზაციით გარეშე			ხარჯი წამლებზე	
	HPU რეკომენდ.	სრული ოპტიმიზაც.	უკიდურესი ოპტიმიზაც.	HPU რეკომენდ.	სრული ოპტიმიზაცია.	უკიდურესი ოპტიმიზაც.	ვარიანტი 1	ვარიანტი 2
კახეთი	4 427 316	3 586 899	2 747 314	3 249 297	2 665 456	2 093 603	3 516 000	2 172 000
საქართველო	42 625 392	37 345 440	26 879 298	31 675 304	27 751 725	20 483 488	31 873 000	22 387 000

ცხრილი 40. საერთო წლიური ხარჯების შეჯამებული მაჩვენებლები

⁴³ სხვა რეგიონებთან შედარებით კახეთის რეგიონში ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე რამდენადმე მაღალია ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობის გამო

⁴⁴ პჯდ პრაქტიკების ხარჯები დაბალანსებულია 0.92 ფაქტორით ცალკეული და ჯგუფური პრაქტიკების წილთან

	პულ პრაქტიკის საერთო ხარჯები ლაბ. ჩათვლით			პულ პრაქტიკის საერთო ხარჯები ლაბ. ჩათვლით ამორტიზაციის გარეშე			ხარჯი წამლებზე	
	HPU რეკომენდ.	სრული ოპტიმიზაცია	უკიდურესი ოპტიმიზაცია	HPU რეკომენდ.	სრული ოპტიმიზაცია	უკიდურესი ოპტიმიზაცია	ვარიანტი 1	ვარიანტი 2
კახეთი	10,7	8,7	6,7	7,9	6,5	5,1	8,5	5,3
საქართველო	9,9	8,7	6,3	7,4	6,5	4,8	7,4	5,2

ცხრილი 41. ხარჯების შეჯამებული მაჩვენებლები ერთ სულ მოსახლეზე

2003 წელს საერთო დანახარჯებმა ამბულატორიულ დახმარებაზე (პულ და სპეციალისტები) შეადგინა 932.749 ლარი⁴⁵ კახეთის რეგიონებისათვის და 17 მლნ. ლარი მთლიანად ქვეყნისათვის 2004 წელს. აღნიშნულ ხარჯებს უნდა დაემატოს საიმუნობაციო ხარჯებიც (დაახლოებით 70.000 ლარი კახეთისათვის და 1 მლნ. ლარი საქართველოსათვის), რადგანაც ბევრ მოყვანილი გაანგარიშებები იმუნობაციის ხარჯებსაც მოიცავს. სხვაობა მიმდინარე და პილოტურ დაფინანსებას შორის დიდია და საჭიროებს შემდეგი კომენტარების გაკეთებას:

- საერთო მოცულობაში შეგანილია ამორტიზაციის ხარჯები, მაშინ როდესაც მიმდინარე დაფინანსება ამას არ მოიცავს. შენობებისა და აღჭურვილობის ამორტიზაციის ხარჯები შეადგენს დაახლოებით 1.280.000 ლარს. ეს თანხები ალბათ არ უნდა ჩაერიცხოს დაწესებულებებს, რადგან ისინი არ არიან შენობების მფლობელები და ამასთანავე საჭიროა აღჭურვილობის მფლობელობის განსაზღვრა. თუმცა აუცილებელია ამ თანხების აკუმულირება სახელმწიფო ხაზინაში, რათა არსებობდეს მომავალში დაწესებულებების რებილიტაციის საშუალება.
- საერთო ხარჯების გაანგარიშება შესრულებულია ცალკეული პრაქტიკის ხარჯების მოდელიდან წარმოებული რიგების საფუძველზე. რამდენადაც სამედიცინო გუნდების უმრავლესობა ჯგუფურ პრაქტიკაში იქნება გაერთიანებული, საერთო ხარჯები 8%-ით ნაკლები იქნება.⁴⁶ თუმცა მიღებული ეკონომია ძირითადად გამოხატულია ამორტიზაციით, რაც ალბათ არ იქნება შეგანილი ანაზღაურების გარიგებში.
- ამჟამად ხარჯების ზოგიერთი პუნქტი, რომლებიც შეგანილია ხარჯების მოდელში (კომპიუტერები), შეიძლება დისკუსიის საგანი გადეს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც მოხდება მათი გამოყენება. კითხვები შეიძლება დაისვას ასევე სამედიცინო პერსონალის ხელფასებთან დაკავშირებით, მაგრამ ხარჯების მოდელში შეგანილი ხელფასები უნდა ჩავთვალოთ როგორც სასურველი ხელფასების მინიმალური მაჩვენებელი.
- მთელი ქვეყნის მაჩვენებლებთან შედარებით კახეთის რეგიონის დაფინანსება წარსულში ნაკლები იყო, ამდენად სხვაობა ძველი და რეფორმირებული სისტემის დაფინანსებაში საკმაოდ მაღალი იქნება.

⁴⁵ 2004 წლის შესაბამისი ხარჯების მონაცემები ჯერ არ არსებობს, რაც სავარაუდოდ შეადგენს დაახლოებით 1.200.000 ლარს

⁴⁶ სრული წლიური ხარჯები მოცემულია ცხრილში 33. რეფორმირებული პულ დაწესებულებების სტრუქტურა მათი სისილის მიხედვით შეადგენს 17 334 ლარს შედარებით 18 475 ლართან ცალკეული პრაქტიკებისათვის (იგი 8%-ით ნაკლებია)

პჯდ დაწესებულებების მიმდინარე დაფინანსებასა და პჯდ დაწესებულებების განახლებული ქსელისათვის საჭირო მდგრად დაფინანსებას შორის არსებობს საკმაოდ თვალსაჩინო განსხვავება. ეს დეფიციტი თავს არ იჩენს 2006 წლის განმავლობაში, რადგან ფუნქციონირებას დაიწყებს რეფორმირებული პჯდ დაწესებულებების მხოლოდ მცირე რაოდენობა. ასევე ეს დეფიციტი საგრძნობი არ იქნება მომდევნო რამოდენიმე წლის განმავლობაშიც, რამდენადაც რეფორმირებული პჯდ ქსელი მოიცავს მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილს. პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ პჯდ დაფინანსების ინიცირებული სქემა რამდენად მდგრადი იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში. ამჯამად ძნელია ამ ფაქტორების რაოდენობრივად განსაზღვრა მომავლის პერსპექტივაში, რადგან ისინი დამოკიდებულია არა მხოლოდ ობიექტურ ფაქტორებზე, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების ფისკალურ გადაწყვეტილებებზე.

ამის გამო შეჯამებისათვის გამოყენებული იქნა მეორე მიდგომა. მიჩნეულია, რომ პჯდ სახელმწიფო დაფინანსების ზრდის მაჩვენებელი დამოკიდებულია ინფლაციის მაჩვენებელზე მომავალში. მომდევნო პარაგრაფებში მოცემულია პასუხები კითხვებზე, თუ რა აღმასრულებელი გაფაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული სახელმწიფო დაფინანსების ბუნებრივ ზრდასთან დაკავშირებით, რათა მომავალში,⁴⁷ ქვეყნის კონტექსტში, უზრუნველყოფილ იქნას რეფორმირებული პჯდ დაფინანსების სასურველი დონე.

რეფორმირებული პჯდ-ს ხანგრძლივი ფინანსური მდგრადობის გარანტირებისათვის ძირითადად გამოიყენება სამი მექანიზმი:

- ჯანდაცვის დაწესებულებების, განსაკუთრებით პჯდ სამედიცინო გუნდების ოპტიმიზაციის დონე;
- პჯდ პრაქტიკის ხარჯების დონე;
- პაციენტების მიერ უშუალო გადახდის დონე გამოხატული სხვადასხვა ფორმით:
 - ერთჯერადი თანაგადახდა საკურაციო ვიზიტების, ან რაიმე სხვა მომსახურებისათვის;
 - სრული გადახდა იმ მომსახურებისათვის, რომლებიც არ განეკუთვნება საბაზისო პაკეტს;
 - სრული გადახდა მოსახლეობის ჯგუფებისათვის გაწეული იმ მომსახურებისათვის, რომლებიც არ შედის პჯდ დაწესებულების სახელმწიფო დაფინანსებაში.

სამივე აღნიშნულ ფაქტორთან დაკავშირებით მიღებული უნდა იქნას გადაწყვეტილება, მაგერიალურად ხელმისაწვდომი საერთო სახელმწიფო დაფინანსების ზრდის პროცენტისა და საქართველოს პრიორიტეტების დაკმაყოფილების მიზნით.

ქვემოთ მოყვანილ ორ ცხრილში შეჯამებულია სხვადასხვა სცენარები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება მივაღწიოთ პჯდ-ს გრძელვადიან მდგრად დაფინანსებას. პირველ ცხრილში ნაჩვენებია პჯდ უზრუნველყოფელების ქსელის სრული და

⁴⁷ დროის ხანგრძლივობა დამოკიდებულია რეფორმირებული რეფორმირებული პჯდ ქსელის მშენებლობის ტემპებზე.

უკიდურესი ოპტიმიზაციის ეფექტი ღეფიციტის შევსებაზე. ამ გათვლებში არ არის შეგანილი ამორტიზაცია და მედიკამენტები.

მიმდინარე დაფინანსება	1 200 000
ახალი ქსელის დაფინანსება (ჯპგ-ს მიხედვით) ამორტიზაციის გარეშე)	3 249 297
ღეფიციტი	2 049 297
ქსელის სრული ოპტიმიზაცია	583 841
ღეფიციტი სრული ოპტიმიზაციის შემდეგ	1 465 456
ქსელის უკიდურესი ოპტიმიზაცია	571 853
ღეფიციტი უკიდურესი ოპტიმიზაციის შემდეგ	893 603

ცხრილი 42. დაფინანსების ღეფიციტი კახეთის რეგიონში და პჯდ ქსელის ოპტიმიზაციის ეფექტი

მიმდინარე დაფინანსება	18 000 000
ახალი ქსელის დაფინანსება (ჯპგ-ს მიხედვით) ამორტიზაციის გარეშე)	31 675 304
ღეფიციტი	13 675 304
ქსელის სრული ოპტიმიზაცია	755 062
ღეფიციტი სრული ოპტიმიზაციის შემდეგ	12 920 242
ქსელის უკიდურესი ოპტიმიზაცია	7 268 237
ღეფიციტი უკიდურესი ოპტიმიზაციის შემდეგ	5 652 005

ცხრილი 43. დაფინანსების ღეფიციტი საქართველოში და პჯდ ქსელის ოპტიმიზაციის ეფექტი

შემდეგ ცხრილებში მოცემულია კახეთის რეგიონში (და ზოგადად საქართველოში) სახელმწიფო დაფინანსების აუცილებელი ზრდის პროცენტი იმის გათვალისწინებით, რომ დანერგილი იქნება თანაგადახდა ყოველ ვიზიტზე (სვეტები)⁴⁸ და ხარჯები შემცირდება და/ან განსაზღვრული პროცენტით კომპენსირდება მოსახლეობის მიერ უშუალო გადახდის სხვა ფორმებით (მწკრივები), რაც საშუალებას მოგვცემს შევავსოთ წარმოდგენილ ცხრილებში განსაზღვრული ღეფიციტი:

კახეთის რეგიონი

ა) ქსელი HPU-ს რეკომენდაციის მიხედვით:

თანაგადახდა/ შემცირებული ხარჯები	0	0.5	1	1.5	2
0%	158%	141%	124%	107%	90%
5%	146%	128%	111%	94%	77%
10%	133%	115%	98%	81%	64%
15%	120%	103%	85%	68%	51%
20%	107%	90%	72%	55%	38%
25%	94%	77%	59%	42%	25%

⁴⁸ აღებულია უკილიზაციის მიმდინარე მაჩვენებელი ერთი მოსახლის 1 ვიზიტზე

ბ) სრულად ოპტიმიზირებული ქსელი

თანაგადახდა/ შემცირებული ხარჯები	0	0.5	1	1.5	2
0%	122%	105%	87%	70%	53%
5%	111%	94%	76%	59%	42%
10%	100%	82%	65%	48%	31%
15%	89%	71%	54%	37%	20%
20%	77%	60%	43%	26%	9%
25%	66%	49%	32%	15%	-2%

გ) უკიდურესად ოპტიმიზირებული ქსელი

თანაგადახდა/ შემცირებული ხარჯები	0	0,5	1	1,5	2
0%	80%	63%	45%	28%	11%
5%	71%	54%	36%	19%	2%
10%	62%	45%	27%	10%	-7%
15%	53%	36%	18%	1%	-16%
20%	44%	27%	9%	-8%	-25%
25%	35%	18%	0%	-17%	-34%

ცხრილი 44. სახელმწიფო დაფინანსების აუცილებელი ზრდა სხვადასხვა სცენარების მიხედვით კახეთის რეგიონისათვის საქართველო:

ა) ქსელი HPU-ს რეკომენდაციის მიხედვით:

თანაგადახდა/ შემცირებული ხარჯები	0	0,5	1	1,5	2
0%	76%	64%	52%	40%	28%
5%	67%	55%	43%	31%	19%
10%	58%	46%	34%	23%	11%
15%	50%	38%	26%	14%	2%
20%	41%	29%	17%	5%	-7%
25%	32%	20%	8%	-4%	-16%

ბ) სრულად ოპტიმიზირებული ქსელი

თანაგადახდა/ შემცირებული ხარჯები	0	0,5	1	1,5	2
0%	72%	60%	48%	36%	24%
5%	63%	51%	39%	27%	15%
10%	55%	43%	31%	19%	7%

15%	46%	34%	22%	10%	-2%
20%	37%	25%	14%	2%	-10%
25%	29%	17%	5%	-7%	-19%

გ) უკიდურესად ოპტიმიზირებული ქსელი

თანაგადახდა/ შემცირებული ხარჯები	0	0,5	1	1,5	2
0%	31%	19%	8%	-4%	-16%
5%	25%	13%	1%	-11%	-23%
10%	18%	6%	-6%	-18%	-30%
15%	12%	0%	-12%	-24%	-36%
20%	5%	-7%	-19%	-31%	-43%
25%	-1%	-13%	-25%	-37%	-49%

ცხრილი 45. სახელმწიფო დაფინანსების აუცილებელი ზრდა სხვადასხვა სცენარების მიხედვით მთელი საქართველოსათვის

ფისკალური პოლიტიკით უნდა განისაზღვროს, თუ სახელმწიფო დაფინანსების რა რაოდენობით გაზრდაა შესაძლებელი მომავალში იმისათვის, რათა ჩამოყალიბდეს ხანგრძლივი დროის პერსპექტივით მყარი ფუნქციონირების უნარის მქონე პჯდ სისტემა. ზემოთ მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, რომ სიტუაცია მთლიანად საქართველოში უფრო სასიკეთოა, ვიდრე კახეთის რეგიონში. მიზეზი აშკარაა, რომელიც მდგომარეობს კახეთში პჯდ სისტემის არასათანადო დაფინანსებაში საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით.⁴⁹ ქსელის ოპტიმიზაცია HPU-ს რეკომენდაციის მიხედვით უფრო ახლოს დგას ვეყნის მასშტაბით მარტივი ოპტიმიზაციის მოდელთან, რომელიც გულისხმობს 2000 მოსახლის მოცვას, ვიდრე კახეთის შემთხვევასთან.⁵⁰

რამდენადაც დაშვებულია, რომ პჯდ სახელმწიფო დაფინანსების დაახლოებით 15%-ით ზრდა ფინანსურად ხელმისაწვდომი იქნება შემდეგი 5 წლის განმავლობაში და რაიმე ფიქსირებული თანაგადახდა არ იქნება სასურველი, საჭირო გახდება ქსელის უკიდურესი ოპტიმიზაცია (იხ. ცხრილი 45 გ). ქსელის სრული ოპტიმიზაციის პირობებში საჭიროა პჯდ ამჟამინდელ ბიუჯეტს დაემატოს 40-45% (საშუალოდ 2000 მოსახლე ერთ პრაქტიკაზე).

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი ცხრილები არ მოიცავს მედიკამენტებს, რომელთა დაფინანსებაც უნდა მოხდეს სახელმწიფო დაფინანსებისა და ამორტიზაციის მაგებით.

8.2. სხვა პჯდ უზრუნველყოფელთა ბიუჯეტი

პჯდ პრაქტიკების, ლაბორატორიებისა და აფთიაქების ხარჯების ანაზრაურება განხილული იყო წინა პარაგრაფებში. პჯდ-ს ასევე განეკუთვნება ბინამე მომსახურების

⁴⁹ ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თბილისი, სადაც ქვეყნის მოსახლეობის 2/3 ცხოვრობს

⁵⁰ კვლავ, თბილისის გამო, სადაც HPU გვთავაზობს 2200 მოსახლის მოცვას

ორგანიზაცია და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურების დაწესებულებები. საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს ბინამე მომსახურების დამოუკიდებელი ორგანიზაციები და სავარაუდოდ გარკვეული დროის განმავლობაში პჯდ პრაქტიკები უზრუნველყოფენ ბინამე მომსახურებას.

9. ფუნქციონირების პროცედურები

რეფორმირებული პჯდ-სათვის უნდა შემუშავდეს და დაინერგოს ფუნქციონირების რიგი პროცედურებისა. ეს პროცედურები ართის მხრივ არეგულირებს ერთის მხრივ პჯდ დაწესებულებისა და პაციენტის ურთიერთობებს – რეგისტრაციის, მიმართვის, მედიკამენტების დანიშვნის, გადასახადების ქვიგრების შედგენის პროცედურები; ხოლო მეორეს მხრივ კი ურთიერთობებს პჯდ დაწესებულებასა და სახელმწიფო შემსყიდველს და/სახელმწიფო სტრუქტურებს შორის – ანგარიშგების, ანგარიშ/ფაქტურების შედგენისა და ანგარიშგების, ფინანსური ანგარიშების შედგენის და ხარისხის კონტროლის პროცედურები.

თითოეული პროცედურის აღწერილობა უნდა შეიცავდეს ცალკეული პირების როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრას, ვადებს, დოკუმენტების შედგენასთან და მონაცემების ფორმაგთან დაკავშირებულ საკითხებს თუ არსებობს ელექტრონული მონაცემების ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა, დოკუმენტების არქივირებისა და აუდიტის წესებს. ქვემოთ მოყვანილ პარაგრაფებში მოცემულია ამ პროცედურების მხოლოდ ბოგადი კონტურები, რაც იძლევა მათზე შემდგომი მსჯელობის შესაძლებლობას (რაც შექმნის წინაპირობებს შეუქმნის პჯდ სისტემის ფუნქციონირების სახელმძღვანელოს შემუშავებას).

9.1. რეგისტრირების პროცედურა

ამ პროცედურის მიზანია პჯდ უბნებზე მოქალაქეების რეგისტრირება. ამ პროცედურის დანერგვა მიზანშეწონილია პჯდ უზრუნველყოფელის თავისუფალი არცევის პირობებში. რეგისტრირება ბეგავლენას ახდენს როგორც მოქალაქეზე, ისე პჯდ უზრუნველყოფელზე.

რეგისტრირება უფლებას აძლევს მოქალაქეს ისარგებლოს ყველა იმ მომსახურებით, რომელიც შეგანილია ოფიციალურად დამტკიცებულ საბაზისო პაკეტში. თუ მოქალაქე არ არის რეგისტრირებული, მან უნდა გადაიხადოს ყველა მომსახურების გადასახადი ყოველგვარი სახელმწიფო სუბსიდირების გარეშე. ალგერნატივად შეიძლება გათვალისწინებულ იქნას არარეგისტრირებული მოქალაქის მიერ ერთჯერადი თანაგადახდა ყოველ ვიზიტზე.

უმეტესწილად უზრუნველყოფელების ანამბლაურება მოხდება კაპიტაციის მეთოდით რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობის (და ასაკობრივი პროფილი) მიხედვით. შეიძლება გათვალისწინებული იქნას 2-წლიანი გარდამავალი პერიოდი. ამ ხნის განმავლობაში პჯდ უზრუნველყოფელთა ანამბლაურება მოხდება არსებული მოცული მოსახლეობის მიხედვით. ორი წლის შემდეგ რეალურად რეგისტრირებული მოქალაქეების რაოდენობის მიხედვით ანამბლაურება მოხდება სახელმწიფო შემსყიდველის მიერ.

საწყისი რეგისტრაციის პროცედურა შემდეგში მდგომარეობს:

1. მოქალაქე მიდის შერჩეულ პჯდ ექიმთან ავსებს სარეგისტრაციო ფორმას. სარეგისტრაციო ფორმა ივსება სამ ეგზემპლარად; ერთი პჯდ უზრუნველყოფელისათვის, ერთი სახელმწიფო შემსყიდველისათვის და ერთი მოქალაქისათვის. სარეგისტრაციო ფორმა მოიცავს მოქალაქის სახელსა და გვარს, დაბადების თარიღს

და მისამართს, პჯდ ექიმის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, რეგისტრირების თარიღს და მოქალაქის ხელმოწერას. რეგისტრაცია ძალაშია მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

2. პჯდ უბრუნველმყოფელი ერთ ეგზემპლარს გადასცემს მოქალაქეს, მეორე ასლს ურთავს დოკუმენტაციას და მესაბე ასლს აგზავნის სახელმწიფო შემსყიდველთან.
3. სახელმწიფო შემსყიდველი მონაცემთა ბაზაში ამოწმებს, ხომ არ აქვს ადგილი ორმაგ რეგისტრაციას. ასეთის არსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება რეგისტრაციის ტარილის მიხედვით უახლესი თარიღის სასარგებლოდ.
4. სახელმწიფო შემსყიდველი მასთან კონტრაქტიგ მომუშავე ყველა პჯდ უბრუნველმყოფელს რეგულარულად (ყოველთვიურად) უგზავნის დამტკიცებული ცვლილებების ნუსხას – ახალი რეგისტრირების დადასტურების და ძველის გაუქმების შესახებ.

როგორც წესი, მოქალაქეს შეუძლია რეგისტრაციის შესცვლა სამ კალენდარულ თვეში ერთხელ. შესაძლებელია რეგისტრაციის შეცვლა დროის უფრო მოკლე პერიოდში საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის შეცვლის შემთხვევაში.

რეგისტრაციის შეცვლის პროცედურა შემდეგში მდგომარეობს:

1. მოქალაქე მიდის ახლად შერჩეულ პჯდ ექიმთან ავსებს სარეგისტრაციო ფორმას. მიუთითებს რეგისტრაციის ვადაზე შეცვლის მიზეზებს და იმ პჯდ ექიმის მონაცემებს, რომელთანაც იგი იყო რეგისტრირებული. ცვლილება ძალაშია მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.
2. ახლად შერჩეული პჯდ უბრუნველმყოფელი ერთ ეგზემპლარს გადასცემს მოქალაქეს, მეორე ასლს ურთავს დოკუმენტაციას და მესაბე ასლს აგზავნის სახელმწიფო შემსყიდველთან.
3. სახელმწიფო შემსყიდველი მონაცემთა ბაზაში ამოწმებს ცვლილების ლეგიტიმურობას და ასევე იმას, ხომ არ აქვს ადგილი ორმაგ რეგისტრაციას. თუ ცვლილების ლეგიტიმურობა ეჭვს იწვევს, სახელმწიფო შემსყიდველი უარს ამბობს ცვლილებაზე და აცობინებს ამის შესახებ მოქალაქეს.
4. სახელმწიფო შემსყიდველი მასთან კონტრაქტიგ მომუშავე ყველა პჯდ უბრუნველმყოფელს რეგულარულად (ყოველთვიურად) უგზავნის დამტკიცებული ცვლილებების ნუსხას - ახალი რეგისტრირების დადასტურების და ძველის გაუქმების შესახებ.
5. რეგისტრაციის ცვლილების დამტკიცების შემთხვევაში ახალი პჯდ ექიმი სთხოვს მის წინამორბედს ამოიროს რეგისტრაცია თავისი დოკუმენტაციიდან.

9.2. მიმართვის პროცედურა

აღნიშნული პროცედურის მიზანია მკურნალობისათვის პაციენტების მიმართვა მეორეული და მესამეული დონის სამსახურებისადმი. პჯდ ექიმები მიმართვას ახორციელებენ მხოლოდ დამტკიცებული სამედიცინო გაიდლაინებისა და კლინიკური ჩვენებების საფუძველზე.

პაციენტებს უფლება აქვთ მეორეული და მესამეული დონის მომსახურება მიიღონ სახელმწიფო დაფინანსებით (სელექტიური მომსახურებისათვის) მხოლოდ მათი პჯდ ექიმის მიერ გაცემული მიმართვის საფუძველზე.

მეორეულ დონეზე მიმართვის პროცედურა შემდეგში მდგომარეობს⁵¹:

1. პჯდ ექიმი გადაწყვეტს, რომ საჭიროა პაციენტის მიმართვა.
2. იგი ავსებს მიმართვის ფორმის პირველ ნაწილს და გადასცემს მას პაციენტს სპეციალისტისათვის წარსადგენად.
3. პჯდ ექიმი მიმართვის შესახებ ჩანაწერს აკეთებს სტატისტიკურ ფორმაში (პჯდ საინფორმაციო სისტემის ელექტრონული ფორმა).
4. პჯდ ექიმი აცხობინებს პაციენტს შესაბამისი სპეციალისტის ხელმისაწვდომობის შესახებ
5. პაციენტი მიდის სპეციალისთან და გადასცემს მას მიმართვის ფორმას.
6. პაციენტის მიღების შემდეგ სპეციალისტი:
 - ა) ავსებს მიმართვის ფორმის მეორე ნაწილს;
 - ბ) შეაქვს ჩანაწერი პაციენტისათვის დასანიშნი წამლების შესახებ;
 - გ) იტოვებს მიმართვის ფორმის პირველ ნაწილს;
 - დ) მიმართვის ფორმის მეორე ნაწილს უბრუნებს პაციენტს;
7. შევსებულ ფორმას პაციენტი უბრუნებს პჯდ ექიმს, რომელიც ათავსებს მას პაციენტის სამედიცინო ჩანაწერებში და დანიშნავს რეკომენდირებულ წამლებს.
8. საჭიროების შემთხვევაში პჯდ ექიმი უშუალოდ უკავშირდება სპეციალისტს მკურნალობის სქემის დასაზუსტებლად.

მესამეულ დონეზე მიმართვის პროცედურა შემდეგში მდგომარეობს:

1. პჯდ ექიმი გადაწყვეტს, რომ საჭიროა პაციენტის მიმართვა.
2. იგი ავსებს მიმართვის ფორმის პირველ ნაწილს და გადასცემს მას პაციენტს საავადმყოფოში წარსადგენად.
3. პჯდ ექიმი მიმართვის შესახებ ჩანაწერს აკეთებს სტატისტიკურ ფორმაში (პჯდ საინფორმაციო სისტემის ელექტრონული ფორმა).
4. პჯდ ექიმი აცხობინებს პაციენტს შესაბამისი საავადმყოფოს ხელმისაწვდომობის შესახებ.
5. პაციენტი მიდის საავადმყოფოში და გადასცემს მიმართვის ფორმას მიმღებ ექიმს.
6. გაწერის შემდეგ მკურნალი ექიმი:
 - ა) ავსებს მიმართვის ფორმის მეორე ნაწილს;
 - ბ) შეაქვს ჩანაწერი გაწერის შესახებ
 - გ) შეაქვს ჩანაწერი პაციენტისათვის დასანიშნი წამლების შესახებ;
 - დ) იტოვებს მიმართვის ფორმის პირველ ნაწილს;
 - ე) მიმართვის ფორმის მეორე ნაწილს უბრუნებს პაციენტს;
7. შევსებულ ფორმას და ჩანაწერს გაწერის შესახებ პაციენტი უბრუნებს პჯდ ექიმს, რომელიც ათავსებს მას პაციენტის სამედიცინო ჩანაწერებში და დანიშნავს რეკომენდირებულ წამლებს.
8. საჭიროების შემთხვევაში პჯდ ექიმი უშუალოდ უკავშირდება მკურნალ ექიმს მკურნალობის სქემის დასაზუსტებლად.

9.3. წამლის დანიშნვისა და ანაზღაურების პროცედურა

სახელმწიფოს მიერ მედიკამენტების უფრო ფართო ნუსხის ნაწილობრივი დაფინანსების შემთხვევაში აუცილებელია განისაზღვროს წამლის დანიშნვისა და ანაზღაურების ოფიციალური პროცედურა. გადაუღებელ აუცილებლობას წარმოადგენს

⁵¹ უმნიშვნელოდ ადაპტირებული, “პჯდ სისტემის გაძღვრების მექანიზმები”, USAID/PHRplus, 2005, იანვარი

უფრო ფართო ნუსხაში შეგანილი წამლების სავალდებულო დანიშვნის სისტემის ხელაღწევა შემოღება/დანერგვა ვიდრე ეს ამჟამად არსებობს. ეს აუცილებელია არა მხოლოდ ანაზღაურების მიზნებისათვის, არამედ საქართველოში წამლების ეფექტურად მოხმარებისათვის.

დანიშნულების ფორმა (რეცეპტი) უნდა იყოს ოფიციალური დოკუმენტი და მათი დაბეჭდვა უნდა ხდებოდეს ჯანდაცვის სამინისტროს მელამხედველობის ქვეშ. დანიშნულების ფორმა უნდა შეიცავდეს პაციენტისა და ექიმის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, დიაგნოზს, წამლის დასახელებას, დოზირებას, დანიშვნის თარიღს და ინფორმაციას იმის შესახებ, ღირებულების რა ნაწილს იხდის პაციენტი. რეცეპტის გამოყენების ვადა შეზღუდულია.

მოცემული პროცედურა გულისხმობს წამლის სუბსიდირების სქემას თანადაზღვევით და ინდივიდუალურ მღვარს სახელმწიფო სუბსიდირებზე. პაციენტის მიერ მღვარის მიღწევის კონტროლს ახორციელებს პჯდ ექიმი.

წამლის დანიშვნისა და ანაზღაურების პროცედურა შემდეგში მდგომარეობს (იხ. სურათი 8) ⁵²:

1. პჯდ ექიმი ავსებს დანიშნულების ფორმას, ამოწმებს პაციენტისათვის დადგენილ მღვარს, მის შესაბამისად ადგენს პაციენტის წილს წამლის ღირებულებაში და გადასცემს მას პაციენტს.
2. დანიშნულების ფორმა ივსება სამ ეგზემპლარად. ერთი ასლი რჩება ექიმთან ხოლო ორი დანარჩენი ეძლევა პაციენტს ხელზე.
3. პაციენტი მიდის აფთიაქში (სავარაუდოდ იმ აფთიაქების ქსელში, რომელთანაც სახელმწიფო შემსყიდველს კონტრაქტი აქვს გაფორმებული) და იძენს წამალს. ექიმის მითითების მიხედვით პაციენტი იხდის წამლის ან სრულ ღირებულებას, ან თანადაზღვევის წილს.
4. აფთიაქი იგოვებს დანიშნულების ფორმის ერთ ასლს და იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი ფარავს წამლის ღირებულებას მხოლოდ ნაწილობრივ, გადაუხდელი თანხის წილი შეაქვს სახელმწიფო შემსყიდველისათვის წარსადგენ ანგარიშ/ფაქტურაში.
5. აფთიაქი ადასტურებს წამლის გაცემას და ღირებულების გადახდას იმ ეგზემპლარში, რომელიც რჩება პაციენტთან. ალტერნატიულად, აფთიაქში შეიძლება ორი ასლი დარჩეს, ერთი მათგანი გაეგზავნება სახელმწიფო შემსყიდველს (იხ. შემდეგი პუნქტი) (ამ შემთხვევაში პაციენტს ეძლევა წამლის გაცემის ჩვეულებრივი ქვითარი).
6. სახელმწიფო შემსყიდველისათვის წარსადგენად აფთიაქი ამზადებს ანგარიშ-ფაქტურას დროის განსაზღვრულ ინტერვალებში (რომელიც განისაზღვრება სახელმწიფო შემსყიდველთან დადებული კონტრაქტის პირობებით – ორ კვირაში ერთხელ ან თვეში ერთხელ). ანგარიშ-ფაქტურას თან ერთვის ყველა დანიშნულების ფორმა და ეგზავნება სახელმწიფო შემსყიდველს.
7. სახელმწიფო შემსყიდველი ამოწმებს ანგარიშ/ფაქტურას და უნაზღაურებს თანხას აფთიაქს.

⁵² სქემაში ფერებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:


ლურჯი ბოლი – დანიშნულებების ნაკადი

წითელი ბოლი – წამლების ნაკადი

შავი ბოლი – საანგარიშო ინფორმაციის ნაკადი

მწვანე – ფულის ნაკადი

8. სახელმწიფო შემსყიდველი რეგულარულად (ყოველწლიურად) ამოწმებს პჯდ ექიმის მიერ განხორციელებულ დანიშნულებებს და ექიმის მიერ პაციენტის ინდივიდუალური ლიმიტის შედამხედველობას.




სურათი 8. წამლის მიწოდების სქემა – ვარიანტი 1

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს წამლის სუბსიდირების სქემა მხოლოდ კატასტროფული ლიმიტით, შესაძლებელია მოდიფიცირებული სქემის გამოყენება, რაც თავიდან ააცილებს ექიმს ლიმიტის კონტროლის სიმძიმეს. იხ. სურათი 9.

ალტერნატიული პროცედურა შემდეგში მდგომარეობს:

1. პჯდ ექიმი ავსებს დანიშნულების ფორმას.
2. დანიშნულება ივსება სამ ეგზემპლარად. ერთი ასლი რჩება ექიმთან ხოლო ორი დანარჩენი ეძლევა პაციენტს ხელზე.
3. პაციენტი მიდის აუთიაქში (სავარაუდოდ იმ აუთიაქების ქსელში, რომელთანაც სახელმწიფო შემსყიდველს კონტრაქტი აქვს გაფორმებული), იძენს წამალს და იხდის წამლის სრულ ღირებულებას
4. აუთიაქი იტოვებს დანიშნულების ფორმის ერთ ეგზემპლარს და ადასტურებს წამლის გაცემას და ღირებულების გადახდას იმ ეგზემპლარში, რომელიც რჩება პაციენტთან.
5. პაციენტი ანგარიშობს წლის დასაწყისიდან მის მიერ წამლებზე გადახდილ თანხას. თუ თანხა აღემატება ყოველწლიურ კატასტროფულ მღვარს, პაციენტი წარადგენს ყველა გადახდილ დანიშნულებას სახელმწიფო შემსყიდველის ოფისში.
6. სახელმწიფო შემსყიდველი ამოწმებს წარდგენილი დანიშნულებების სისწორეს და უნამბლავრებს პაციენტს კატასტროფული ლიმიტის ზევით გადახდილ თანხას.



სურათი 9. წამლის მიწოდების სქემა – ვარიანტი 2

9.4. გადასახადი ქვითრების შედგენის პროცედურა

პროცედურის მიზანია პაციენტების გადასახადების შეკრება. პაციენტებს ევალებათ გადასახადების გადახდა შემდეგ შემთხვევებში:

- მომსახურებისათვის, რომლებიც არ შედის საბაზისო პაკეტში;
- მომსახურებისათვის, რომელიც შედის საბაზისო პაკეტში, მაგრამ ექვემდებარება თანაგადახდას, ან თანადაზღვევას;
- არარეგისტრირებული პაციენტებისათვის გაწეული მომსახურებისათვის.

პაციენტებისათვის ანგარიშის წარსადგენად საჭიროა შემდეგი პრინციპების დაცვა:

- მომსახურების გარიფები განთავსებული უნდა იყოს მოსაცდელი ოთახების თვალსაჩინო ადგილას და ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს;
- იმ სერვისების გარიფები, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება უნდა იყოს უნიფიცირებული და დამკვიცებული ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.

პაციენტის მიერ გადახდების წარმოების პროცედურა:

1. პჯდ ექიმი აცხადებს პაციენტს, რომ ესა თუ ის მომსახურება ფასიანია.
2. მას შემდეგ რაც პაციენტს გაეწევა მომსახურება, იგი იხდის გადასახადს დაწესებულების სალაროში (თუ პჯდ დაწესებულება მცირე სიდიდისაა უშუალოდ ექიმთან ან ექთანთან).
3. პაციენტი იღებს თანხის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს.

4. პაციენტის მიერ გადახდილი თანხა უნდა დაფიქსირდეს საბუღალტრო წიგნში.

9.5. ხარისხის გაუმჯობესების პროცედურა

პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა იყოს ხარისხის სისტემატური გაუმჯობესება. შემუშავებულია ხარისხის გაუმჯობესების ფორმალური პროცედურა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო შემსყიდველი ან ჯანდაცვის რეგიონალური დეპარტამენტი.

პროცედურა ეფუძნება პჯდ უზრუნველყოფელების საქმიანობის რეგულარულ შეფასებას. თავის მხრივ შეფასება შედგება რანდომიზირებულად ან მიზნობრივად (განსაზღვრულ დიგნოზებზე ორიენტირებით) ჩატარებული მკურნალობის შეფასებისაგან, რომელიც ემყარება სამედიცინო დოკუმენტაციის ექსპერტულ ანალიზს. გარდა ამისა ხდება სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ხარისხისა და სისრულის შეფასება.

ხარისხის სხვა წყაროა სტატისტიკური მონაცემები პჯდ უზრუნველყოფელის საქმიანობის შესახებ. ამ მონაცემებს განეკუთვნება ვიზიტების/მიმართვების რაოდენობა, წამალთდანიშნულების მოდელი, ჩატარებული პრევენციული სერვისების რაოდენობა.

ხარისხის შეფასების მესამე წყარო შეიძლება იყოს რეგულარული გამოკითხვების ჩატარება პაციენტთა დაკმაყოფილების დასადგენად. ასეთი კომპლექსური შეფასების პროცედურის მიზანია დაეხმაროს პჯდ უზრუნველყოფელს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში.

შეფასების პროცედურა შეიძლება განახორციელოს რეგიონალურმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში იქნებიან სახელმწიფო შემსყიდველის, ჯანდაცვის რეგიონალური დეპარტამენტის და პჯდ სფეროში მოქმედი პროფესიული სამედიცინო ასოციაციების წარმომადგენლები.

9.6. ანგარიშების პროცედურა

პჯდ უზრუნველყოფელები მოვალენი არიან წარუდგინონ ანგარიშები სამედიცინო სტატისტიკის ცენტრს. ამასთან ანგარიშ/ფაქტურების წარდგენის პროცედურის ფარგლებში შერჩეული მონაცემები მათ უნდა წარუდგინონ სახელმწიფო შემსყიდველს.

არსებობს რამოდენიმე ძირითადი ვარიანტი, რომლებიც განხილულ უნდა იქნას ქვეყნის ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემის კონტექსტში.

პჯდ უზრუნველყოფელმა (ამ კონტექსტში - პჯდ პრაქტიკა) შეიძლება მოგვაწოდოს:

- ა) მხოლოდ აგრეგირებული ციფრები მისი საქმიანობის სპეციფიკური ინდიკატორებისათვის – ვიზიტების რაოდენობა პაციენტების ასაკობრივი ჯგუფის, სქესისა და ვიზიტის მიზნის მიხედვით, მიმართვების რაოდენობა, სპეციფიკური სერვისების, მაგ. იმუნიზაცია, რაოდენობა. ამ ციფრების შეგანა ხდება ქალაქის ან ელექტრონულ ფორმაში და იგზავნება სტატისტიკურ განყოფილებაში ან სახელმწიფო შემსყიდველის ფილიალში.

თუ არსებობს ამის შესაძლებლობა აღნიშნული ციფრების მიღება შეიძლება ავტომატურად პჯდ საინფორმაციო სისტემის მეშვეობით;

